"ბრძოლამ საქადრაკო დაფაზე გადაინაცვლა" A3
გამჭვირვალე ბიუჯეტი სკოლებში A8
გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 17 აპრილი, 2004 წელი. №90 (639)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

#### სულ მალე საქართველოს ახალი სახელმწიფო გერბი ექნება

ვარდების რევოლუციის დროს "აპრობირებული" ხუთჯვრიანი დროშა ქვეყნის განახლების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. საზოგადოებამ ის ძალიან მალე გაითავისა და ამიტომ სახელმწიფო დროშის სტატუსიც უპრობლემოდ მიიღო. დღეს ძნელი სათქმელია, "პუბლიკა" ახალ გერბსაც ერთსულოვნად მოიწონებს თუ არა.

A2

### ეკონომიკა

#### რას მოხმარდება დაზოგილი 200 მილიონი?

პირველი კვარტლის საბიუჯეტო წარმატებით გათამამებულმა ხელისუფლებამ ქვეყანაში სარეზერვო ფონდის შექმნის შესახებ წამოიწყო საუბარი. გადაჭარბებით შესრულებულმა შემოსავლებმა მთავრობის ინიციატივით ამ ფონდში უნდა მოიყაროს თავი.

A4

### უცხოეთი

#### უიღურების სეპარატიზმის პრობლემა

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთში მცხოვრები უიღურების სეპარატისტული მოძრაობა პრობლემას, პეკინის გარდა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებსაც უქმნის. სხვადასხვა წყაროები მოწმობს, რომ უიღურებს რამდენიმე დიდ ტერორისტულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირები აქვთ.

A5

### საზოგადოება

#### ინვალიდობას გოჭის ფასად ვეღარ მოიპოვებთ

თუ აქამდე შესაძლებელი იყო, ინვალიდობა ერთი გოჭის ან თუნდაც ქათმის ფასად მოგეპოვებინათ, დღეიდან მხოლოდ კანონი და თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაზღვრავს, ხართ თუ არა ინვალიდი და საპენსიო ასაკის შესრულებამდე მიიღებთ თუ არა პენსიას.

A6

### სამართალი

#### ქუთაისის ეკოპოლიცია მსხვილი აფიორის საქმეს გამოიძიებს

ქუთაისის ეკოპოლიცია ახალ საქმეს გამოიძიებს. საუბარია, ქუთაისის ბაზრობებზე შუა აზიიდან შემოტანილ საკვებ პროდუქტებში ჯანმრთელობისთვის საშიში მძიმე მეტალის - ტყვიის აღმოჩენაზე.

A7

# მთავრობა "მარტო სახლში"

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ თავი "მარტო სახლში" დაიგულა - პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დსთ-ს მეთაურთა სამიტზე წასვლით სასწრაფოდ "ისარგებლა", მთავრობის სხდომა მოიწვია, ჟურნალისტები შეხვედრას დაასწრო, ბევრი იხალისა, მერე მინისტრები სკამებიდან წამოყარა, ჩქარი ნაბიჯით წინ გაუძღვა და კანცელარიიდან "პირიმზემდე" სულ სირბილ-სირბილით "ჩააცუხცუხა". მოკლედ, გუშინ პრეზიდენტი თავის ჩვეულ ამპლუაში გახლდათ.*

მთავრობის სხდომაზე შეკრებილი მინისტრების უმრავლესობა გუშინ მართლაც ჰგავდა მწყემსის გარეშე დარჩენილ სამწყსოს, პრეზიდენტი სააკაშვილი კი სხდომის დაწყებისთანავე საკმაოდ ენამოსწრებულად და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მრავალმნიშვნე-

გაგრძელება A4 გვერდზე



ინტერპრესი

*პრეზიდენტი და მთავრობა ხალხში გადიან.*

# დაპირისპირება კლანთან და არა რეგიონთან

*საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის შემდეგ, გუშინ უკვე, ქვეყნის პრეზიდენტმა თავად განაცხადა, რომ უნდა ამოვიღოთ ლექსიკონიდან ფრაზა - "ცენტრსა და რეგიონს შორის შექმნილი პრობლემა".*

**"ჩვენ ვსაუბრობთ კლანზე, რომელიც ადგილზე უნდა მოჯდეს და რომელსაც სხვა ენით უნდა ესაუბრო,"** - განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ამ პრობლემასთან მიმართებაში ცენტრის მოქმედების ტაქტიკა ნაწილობრივ "გახსნა":

**"პროვოკაციებს არ წამოვეგებით. ჩვენ როდის რა ნაბიჯებს გადავდგამთ, ეს არავისთან შესათანხმებელი არ არის და ხელისუფლება თავად მიიღებს გადაწყვეტილებას. ასლან აბაშიძეს რა აქვს დასაკარგი? მას ასი ბინა აქვს - ვენაში, პარიზში..."** - ამბობს სააკაშვილი და განმარტავს, რომ ძალის გამოყენებაზე ხელისუფლება ფიქრობს, თუმცა - მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში: **"ჩვენ კრიმინალებთან გვაქვს საქმე, ამიტომ პოლიციური ქმედებების განხორციელებამდე ყველა რესურსი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. უნდა გავუფრთხილდეთ ხალხს. ენის მოჩლექით საუბრის დრო აღარ არის."**

ამ განცხადებების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა კონკრეტული დავალებებიც გასცა: საქართველოს ხელისუფლებამ აჭარის მოსახლეობის დახმარებების პროგრამა უნდა შეიმუშაოს, ოღონდ - ამ პროცესში რეგიონის ხელისუფლების ჩარევის გარეშე, რათა დახმარებები გზაში არ დაიკარგოს. კონკრეტული იყო სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის მიცემული დავალება: დავით შერვაშიძემ დონორებთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს, ფული იშოვოს და ამ ფულით შესყიდული სასუქები აჭარის რეგიონების, განსაკუთრებით - მთიანი რეგიონების წარმომადგენლებს დაურიგოს. ასევე საუბარია ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაზე და სხვა მსგავს სოციალურ პროგრამებზე.

*24 საათი*

# ერაყი სისხლისღვრის მოლოდინში

A5







## აჭარაში არჩევნები აღარ გაიმართება

თამარ ასათიანი

*18 აპრილს ხულოსა და ქობულეთში ხელახალი საპარლამენტო არჩევნები აღარ გაიმართება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეს გადაწყვეტილება გუშინ გახდა ცნობილი. ცესკო-ს თავმჯდომარე ჯერ კიდევ ორი დღის წინ აცხადებდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია აუცილებლად დაელოდებოდა 18 აპრილს, ანუ ამ ორ ოლქში არჩევნების გამართვას ბოლომდე ეცდებოდა. გუშინ კი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, როგორც უკვე ვთქვით, სრულიად საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბიზნესმენები შუამავლობას გააგრძელებენ

სოფო ბუკია

ცენტრსა და რეგიონის ხელმძღვანელობას შორის შუამავალი ბიზნესმენები გუშინ პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდნენ. სახელმწიფო კანცელარიაში გადამხდელთა კავშირის ახლადდანიშნული თავმჯდომარის ბადრი პატარკაციშვილის გარდა, ყველა ის ბიზნესმენი მივიდა, რომელიც ორი დღის წინ აბაშიძეს არსებული დაძაბულობის განსამუხტად ეწვია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დაიცავს თუ არა მოსკოვი პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს?

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ინიციატივით გაიმართა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელსაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი უძღვებოდა. "რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის საკანონმდებლო უზრუნველყოფა" - ასეთი იყო მთავარი თემა. სხდომას პარლამენტის უშიშროების, თავდაცვის და დსთ-ს საქმეთა კომიტეტების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, მოწვეულ პოლიტოლოგებთან ერთად.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიციაში გარეგნული და სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება

სოფიკო რჩაიძე

*გუშინდელი დღიდან საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ერთმანეთში დიეტური კვების რაციონებს ცვლიან - მთავრობის სხდომის შემდეგ ხომ ქართველ პოლიციელთა უმეტესობას, ვისაც სამსახურის შენარჩუნება სურს, დიეტაზე "დაჯდომა" მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება - "არც ერთი ღიპიანი პოლიციელი ჩვენ გვერდით" - ხუმრობანარევი ნამდვილად გახლდათ, ხუმრობის უკან სერიოზული განზრახვის არსებობაში დამსწრე საზოგადოება უკვე თვით პრეზიდენტის სიტყვებმა დაარწმუნა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 14 |
| ქუთაისი | 9 |
| ბათუმი | 8 |
| სოხუმი | 9 |
| ფოთი | 8 |
| თელავი | 14 |
| ზუგდიდი | 9 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 14 |
| ჭიათურა | 7 |
| გაგრა | 9 |
| სამტრედია | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9850 |
| ევრო | 2.3802 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5565 |
| რუბლი | 0.0694 |

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ბიზნესმენები შუამავლობას გააგრძელებენ

პირველი გვერდიდან



*გოგი თოფაძე და მამუკა ხაზარაძე, სხვა ბიზნესმენებთან ერთად, იმედიანად არიან.*

პრეზიდენტთან დახურულ კარს მიღმა გამართული ერთსაათიანი აუდიენციის დასასრულს ბიზნესმენებმა აღნიშნეს, რომ აჭარის პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება. **"ჩვენ ძალიან იმედიანად ვართ განწყობილნი,"** - აცხადებენ ისინი და მომავალ კვირას ისევ ბათუმში ჩასვლისა და აბაშიძესთან მოლაპარაკების მორიგი ტურისთვის ემზადებიან.

**"პრობლემა, რომელიც დღეს არსებობს, შეიძლება დროში გაიწელოს, მაგრამ იგი აუცილებლად მშვიდობიანად მოგვარდება, რადგან ამის სურვილი ორივე მხარეს აქვს,"** - აცხადებს კომპანია "ყაზბეგის" შეფი გოგი თოფაძე.

"თი-ბი-სი" ჯგუფის ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე თვლის, რომ ხელისუფლებამ კონკრეტული ეკონომიკური ნაბიჯები უნდა გადადგას: **"ძალიან საინტერესო იყო პრეზიდენტის ინიციატივა აჭარის მოსახლეობისთვის ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული დახმარების გაწევის თაობაზე,"** - აცხადებს ხაზარაძე და არ გამორიცხავს, რომ ამ პროცესში ქართველი ბიზნესმენებიც ჩაერთონ.

საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების იმედი აქვს ვანო ჩხარტიშვილსაც. **"პრეზიდენტი აჭარასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზად არის. ჩემი აზრით, გარკვეული დროის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი, აჭარაში უნდა დაისადგუროს სიმშვიდემ და საღი გონებით, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანად უნდა გადავწყვიტოთ ყველა საკითხი,"** - აღნიშნა მან.

"კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია დარწმუნებულია, რომ ასლან აბაშიძე განიარაღების წინააღმდეგი არ არის. მისი თქმით, ცენტრალური ხელისუფლება დათმობებზე კი არ უნდა წავიდეს, არამედ აჭარის ხელისუფლებასთან საერთო ენა უნდა გამონახოს და პოლიტიკური დიალოგი დაიწყოს.

ბიზნესმენებმა ასლან აბაშიძის განცდებიც არ დაივიწყეს: **"ბატონი ასლანი გულდაწყვეტილია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი არაობიექტურადაა მის მიმართ განწყობილი,"** - გაანდო ჟურნალისტებს მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გოგი თოფაძემ.

ბათუმში მომავალი გამგზავრების თარიღი ბიზნესმენებს გუშინ არ დაუსახელებიათ, თუმცა აღნიშნეს, რომ აჭარაში ჩასვლას არ დაიზარებენ, ცენტრსა და რეგიონს შორის მედიატორის როლს სიამოვნებით შეასრულებენ და ქვეყანაში სტაბილურობას ხელს შეუწყობენ.

## "საზღვაო ბანკისთვის" ლიცენზიის აღდგენა უზენაესი სასამართლოს გადასაწყვეტია

ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ "საზღვაო ბანკისთვის" ჩამორთმეული ლიცენზიის აღდგენა მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი.

გავრცელებული ინფორმაციით, "საზღვაო ბანკის" მესვეურებმა ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროს მურთაზ კიკორიას განცხადებით, თუ სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს, ეროვნული ბანკი სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს.

"ეროვნულ ბანკს "საზღვაო ბანკისთვის" ლიცენზიის ჩამორთმევის ყველანაირი იურიდიული საფუძველი ჰქონდა. იგი ერთი წლის მანძილზე ეროვნული ბანკის განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, რამაც დაგვანახა, რომ ბანკის მენეჯმენტს არ შეეძლო აქტივების უსაფრთხოდ მართვა. აჭარასა და ცენტრს შორის არსებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა მხოლოდ კატალიზატორის როლი შეასრულა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ფონმა ბანკის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა", — განაცხადა მურთაზ კიკორიამ.

მისივე თქმით, ამჟამად ბანკი ლიკვიდაციის პროცესშია. ბანკის კუთვნილი ყველა ფულადი თანხა ეროვნული ბანკის სპეციალურ სალიკვიდაციო ანგარიშზე აკუმულირდება.

*მედია-ნიუსი*

## სს. "თბილავიამშენი" "BOEING"-თან ახალ პროექტზე მუშაობს

ამერიკული კომპანია "BOEING"-ის ხელმძღვანელობა დაინტერესდა "თბილავიამშენის" ბაზაზე "ბოინგის" ტიპის თვითმფრინავების მომსახურების რეგიონალური სერვის-ცენტრის შექმნის საკითხით, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს სს. "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ პანტიკო თორდიამ.

მისი თქმით, აღნიშნულ პროექტში "BOEING"-ი არავითარ რისკს არ ეწევა.

ამ ცენტრის შექმნა, "თბილავიამშენის" ინიციატივით, კომპანიის და იმ პარტნიორ -ინვესტორთა ხარჯზე მოხდება, რომლებიც პროექტში მონაწილეობას მოინდომებენ.

ქართული მხარის მიერ წარდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, ამერიკის ერთ-ერთი შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტი, განხილვის შემდეგ, გამოყოფს თანხას, რომლის ფარგლებში, "BOEING"-ი კონსულტაციას გაუწევს პროექტს.

"BOEING"-ი აღნიშნული პროექტით დაინტერესდა, მაგრამ თავიდანვე დააფიქსირა, რომ სერიოზულ ფინანსურ დახმარებას ვერ გასწევდა. სამაგიეროდ, ამერიკულმა მხარემ კადრების გადამზადება და სერვის-ცენტრის შესაბამისი ტექნოლოგიით აღჭურვა თავის თავზე აიღო, - თქვა მან.

"თბილავიამშენი" შესაბამის დონეზე ააშენებს ცენტრს, "BOEING"-ის წარმომადგენელი ჩამოვა და ნახავს შედეგს, რადგან მათი პრეროგატივაა სერთიფიკატის გაცემა სერვის-ცენტრის შენობაზე, ტექნოლოგიებზე, ლაბორატორიასა და მუშახელზე.

*პრაიმ-ნიუსი*

## სულ მალე საქართველოს ახალი სახელმწიფო გერბი ექნება

*ვარდების რევოლუციის დროს "აპრობირებული" ხუთჯვრიანი დროშა ქვეყნის განახლების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. საზოგადოებამ ის ძალიან მალე გაითავისა და ამიტომ სახელმწიფო დროშის სტატუსიც უპრობლემოდ მიიღო. დღეს ძნელი სათქმელია, "პუბლიკა" ახალი გერბსაც ერთსულოვნად მოიწონებს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ სულ მალე, 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, ქვეყანას ახალი სახელმწიფო გერბი ექნება.*

პარლამენტში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ მასმედიას იმ კონკურსის პირობები გააცნო, რომელმაც გამარჯვებული გერბი და გერბის დევიზი უნდა გამოავლინოს.

პროექტების მიღება კომისიაში რამდენიმე დღის წინ დაიწყო და 7 მაისამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც, უკვე 11 მაიასისთვის, შეირჩევა ერთი ან რამდენიმე პროექტი, რომლებიც კონკურსის პირობებს აკმაყოფილებენ. ელდარ შენგელაიას თქმით, 14 მაისს საჯაროდ გამოიფინება შერჩეული გერბებისა და გერბის დევიზების ყველა ვარიანტი, რომელთაგან კომისია 24 საათის განმავლობაში შეარჩევს საუკეთესოს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი დაბეჯითებით აცხადებს, რომ კონკურსის დროს სუბიექტური მიდგომა გამორიცხულია. **"დროებითი კომისიის მიერ შექმნილი ჟიურის წევრები საზოგადოებისთვის ინკოგნიტოდ დარჩებიან. მათ მუშაობაში ჩარევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება და გადაწყვეტილების მიღებისას მათ ერთ ოთახში ჩაკეტავენ"**, - რომის პაპის არჩევასთან მიახლოებული პროცედურის სამართლიანობაში ელდარ შენგელაია მტკიცედ არის დარწმუნებული.

ჟიურის მიერ მოწონებული პროექტი კვლავ დროებით კომისიას გადაეცემა, რომელიც 20 მაისს გამოაცხადებს სახელმწიფო გერბისა და დევიზების გამარჯვებულ პროექტებს და მათ საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს. მათი მოწონების შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილი იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი კანონპროექტის მომზადებას დაავალებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, თუმცა გამარჯვებული პროექტი აუცილებლად უნდა პასუხობდეს რიგ მოთხოვნებს; კერძოდ, სახელმწიფო გერბის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის ისტორიული სახელმწიფო სიმბოლიკა და ჰერალდიკური ტარდიციები; ამასთან, აუცილებელია, რომ პროექტი აკმაყოფილებდეს მსოფლიოში აღიარებულ ჰერალდიკურ ნორმებს.

მომავალი სახელმწიფო გერბის თუნდაც კონტურებზე საუბარი ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია, თუმცა ელდარ შენგელაია გარკვეულ მინიშნებებს მაინც აკეთებს. დროებითი კომისიის თავმჯდომარის თქმით, მართალია, ბაგრატოვანთა გერბის დუბლირება არ მოხდება, მაგრამ მას იგნორირებასაც არ გაუკეთებენ.

**"ბაგრატოვანთა გერბი ჯერ საგვარეულო გერბს წარმოადგენდა და მხოლოდ შემდგომ იქცა სახელმწიფო სიმბოლოდ, ამიტომ გასამიჯნია, სად მთავრდება საგვარეულო შტრიხები და სად იწყება სახელმწიფო ატრიბუტიკა,"** - დასძენს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

ამ პრობლემასთან ჭიდილი კი ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელ დროებით კომისიას მოუწევს, რომელიც პროფესიული ნიშნით არის დაკომპლექტებული და მასში, ძირითადად, ჰერალდიკოსები შედიან.

*გიორგი ასანიშვილი*

## ინციდენტი

ახალციხის რაიონის სოფელ ნაოხრებთან, ადგილობრივმა სომხურმა მოსახლეობამ მორებითა და ქვებით საავტომობილო გზა ჩახერგა. ისინი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მათი მიწის ნაკვეთებზე გავლის გამო ფულად კომპენსაციას ითხოვენ. როგორც "24 საათს" ახალციხიდან აცნობეს, სოფელ ნაოხრებთან ახალციხის პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ, რომლებიც გზის გათავისუფლებას ძალით შეეცადნენ, მაგრამ მოპიკეტეებმა მათ ქვები დაუშინეს. ნაოხრებთან შეკრებილი ასამდე მოსახლე აცხადებს, რომ გზას არ გახსნის, სანამ "ხელისუფლება მათ ფულს არ გადაუხდის". ნაოხრებთან გაჩერებულია თურქეთიდან მომავალი ათამდე ტრაილერი, ასევე გზას ვერ აგრძელებენ ავტობუსები და მსუბუქი ავტომანქანები.

*24 საათი*

## თბილისში დიდი რაოდენობით იარაღი აღმოაჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დედაქალაქის დიდუბის რაიონში მდებარე ჩარხთმშენებელ ქარხნაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს.

დაკავებულია ქარხნის თანამშრომელი გიორგი მამალაძე, რომელსაც ეს იარაღი ეკუთვნოდა. იარაღი ამოღებულია მამალაძის საცხოვრებელი სახლიდანაც.

სამართალდამცველები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, ვინ მფარველობდა მამალაძეს, ან ვის ეკუთვნოდა ეს იარაღი.

*მედია-ნიუსი*

## შალიკიანის "შანსოილში" ფინანსური პოლიცია შევიდა

იმერეთის ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში - "შანსოილში" გუშინ ფინანსური პოლიცია შევიდა. "შანსოილი" ფირმა "ოკრიბას" ეკუთვნის, რომლის დამფუძნებელი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, იმერეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი ბონდო შალიკიანია.

როგორც ფინანსური პოლიციის დასავლეთ საქართველოს განყოფილების უფროსი მიხეილ ხარაბაძე აცხადებს, ამჟამად მოწმდება როგორც საწვავის აღურიცხაობის საკითხი, ასევე ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მონაცემებიც. ფინანსურ პოლიციასთან ერთად, შემოწმებას ახორციელებს "საქსტანდარტის" თანამშრომელიც, რომელიც საწვავის ხარისხს ამოწმებს.

"შანსოილში" შესვლა ოპერატიული ინფორმაციის საფუძვლზე მოხდა, თუმცა ეს ღონისძიებები სხვა ბენზინგასამართ სადგურებსაც შეეხება," - ამბობს ფინანსური პოლიციის დასავლეთ საქართველოს განყოფილების უფროსი. ფინანსური პოლიცია ჯერ ქუთაისში მოქმედ ავტოგასამართ სადგურებს შეამოწმებს, უახლოეს დღეებში კი - ზესტაფონსა და წყალტუბოში მდებარე "შანსოილის" სხვა ობიექტებსაც. "შანსოილის" ბალანსზე იმერეთში სულ 18 ბენზინგასამართი სადგური ირიცხება.

*ინტერ-პრესი*

## მაილსი და აბაშიძე შეხვედრით კმაყოფილები არიან

გუშინ ბათუმში აშშ-ს ელჩის საქართველოში რიჩარდ მაილსისა და აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის დიალოგი შედგა. ელჩიც და ავტონომიის მეთაურიც შეხვედრიდან საკმაოდ კმაყოფილები გამოვიდნენ. ასლან აბაშიძემ დაარღვია ტრადიცია და მასმედიის ყველა წარმომადგენელთან კომენტარი გააკეთა.

მისი განცხადებით, იგი ამ შეხვედრით კმაყოფილია. აბაშიძის აზრით, ცენტრი ძალით ქმნის პრობლემებს. რვა შეთანხმებიდან, რომელსაც მან პრეზიდენტ სააკაშვილთან მიაღწია, ოთხი უკვე შესრულებულია, "მეხუთე - განიარაღება, პრინციპში, შესრულებადი მოთხოვნაა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ცენტრი ულტიმატუმების ენაზე საუბრობს, ეს განიარაღების პროცესს ართულებს და აბრკოლებს", - აღნიშნა აბაშიძემ.

აჭარაში განმეორებითი არჩევნების გაუქმების შესახებ აჭარის ლიდერმა განაცხადა, რომ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე არჩევნები საერთოდ არ უნდა დანიშნულიყო. აშშ-ს ელჩმა მაილსმა ბათუმი გუშინვე დატოვა.

*ინტერ-პრესი*

## ელიზბარ ჯაველიძის ინტუიცია ცუდს გვიქადის

1999 წლის მოწვევის პარლამენტში "აღორძინების" წევრის ელიზბარ ჯაველიძის განცხადებით, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის რეგიონის ურთიერთობაში უკვე დენთის კი არა, სისხლის სუნი ტრიალებს.

როგორც ჯაველიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, თოფის გავარდნა აჭარაში უკვე გარდაუვალია. იგი ცენტრალური ხელისუფლების ბრალდებებს აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის მიმართ აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ ასლან აბაშიძე არც ნარკობარონი და არც დიქტატორი არ არის.

ჯაველიძე ასლან აბაშიძის და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებებს შორის პარალელს ავლებს და აცხადებს, რომ საქართველოს პირველი ხელისუფლებაც სწორედ დემოკრატიის დამკვიდრების მიზნით და ავტორიტარული რეჟიმის არსებობის ბრალდებით ჩამოაგდეს. ჯაველიძის განცხადებით, ამავე საბაბით სურთ დღეს აჭარის ხელისუფლების დამხობაც.

*ინტერ-პრესი*

## პროექტი საზოგადოებისგან გარიყული ქალებისთვის

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრისა და ბერძნული არასამთავრობო ორგანიზაცია "მშვიდობის კვლევისა და მოქმედების ცენტრის" ინიციატივით საქართველოში საზოგადოებისგან გარიყულ ქალთა გაძლიერების სპეციალური პროექტის განხორციელება დაიწყო.

აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა განმარტებით, პროექტის მიზანია სოციალურად დაუცველ ქალთა გათვითცნობიერება ისეთ საკითხებში, როგორიცაა სამოქალაქო და პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, შრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია და სხვა.

პროექტის ფარგლებში, კონკურსის წესით, სოციალურად დაუცველი 14 ქალი შეირჩა. ისინი 5 თვის მანძილზე გაივლიან სპეციალურ ტრენინგს, რომელიც საზოგადოებაში მათ სრულუფლებიან წევრებად დამკვიდრებას ითვალისწინებს.

*ინტერ-პრესი*

## საქართველოში რუსეთის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი ჩამოდის

21 აპრილს თბილისში რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელის ვლადიმირ პრონიჩევის ვიზიტი იგეგმება.

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ვიზიტისას პრონიჩევი და დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე ხელს მოაწერენ ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტს.

მხარეები, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას დაუთმობენ ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის სასაზღვრო მონაკვეთებზე შექმნილ ვათარებას.

პრონიჩევის საქართველოში ვიზიტი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის მოსკოვში შეხვედრის დროს გადაწყდა.

*მედია-ნიუსი*

## დაპატიმრებულია საარჩევნო კომისიის წევრი

16 აპრილს დილით, ხულოს რაიონის საავადმყოფოდან დაკითხვის მიზნით გაიყვანეს და დააპატიმრეს საარჩევნო უბნის კომსიის კოორდინატორი ჯამბულ შამანაძე. 15 აპრილს საარჩევნო უბნის გახსნის კანონიერ მოთხოვნას ასლან აბაშიძის მომხრეებმა დაუპირისპირეს მუქარა და ფიზიკური შეურაცხყოფა. მომხდარი პოლიტიკური კონფლიქტი, ასლან აბაშიძის მომხრეებს სურთ წარმოსახონ ოჯახებს და გვარებს შორის არსებულ დაპირისპირებად.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი 22-23 აპრილს საქართველოს ეწვევა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გერმანიის ელჩების კონფერენციის გასახსნელად.

როგორც თბილისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო იუწყება, ვიზიტის დროს ფიშერი შეხვედრებს გამართავს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას გეგმავენ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის განცხადებით, ერთობლივ ღონისძიებებში საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების აქტიური ჩართვა იგულისხმება. სიხარულიძე დარწმუნებულია, რომ ამ გზით აჭარის კრიზისის დაძლევა შესაძლებელი გახდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ყირგიზეთი.** პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ საქართველო ადასტურებს თავის დაინტერესებას თანამეგობრობის ქვეყნებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ჟვანიამ განაცხადა პარასკევს, ყირგიზეთში, პრესკონფერენციაზე, სადაც დსთ-ს ქვეყნების მთავრობის მეთაურების სამიტში მონაწილეობს. მისი თქმით, "თანამეგობრობას ძალზე მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია". **პრაიმ-ნიუსი**

### საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისიის განცხადება

სახელმწიფო გერბის და გერბის დევიზის კონკურსები (ცალ-ცალკე) გამოცხადდა 2004 წლის 14 აპრილს. გერბისა და გერბის დევიზების პროექტების წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 7 მაისი, საღამოს 18 საათამდე. მისამართზე: რუსთაველის გამზირი N8, საქართველოს კანცელარია.

კონკურსის პირობები გამოცხადდა გაზეთ "24 საათში" 2004 წლის 14 აპრილს და უახლოეს დღეებში დამატებით გამოცხადდება სხვა გაზეთებში.

შესაძლებელია ორივე კონკურსის პირობები მსურველმა მიიღოს საქართველოს პარლამენტის კანცელარიაში.

საკონტაქტო ტელეფონებია: 93 10 49; 93 14 05

### ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №293

*2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის განთავსების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადმოცემული სპეციალური ლაბორატორიის სათანადო პირობებით უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №84-ში მდებარე შენობა.

2. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ი. რეხვიაშვილი) და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (ი. ლებანიძე):

ა) უზრუნველყონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის (გ. პაპუაშვილი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №84-ში მდებარე შენობის გადაცემისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განიხილონ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №84-ში მდებარე შენობაში განთავსებული ორგანიზაციების შემდგომი განთავსების საკითხის თაობაზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №294

*2004 წლის 16 აპრილი, ქ. თბილისი*

ა. აბრამიშვილის საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კომპიუტერული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კომპიუტერული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 16 აპრილიდან საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №295

*2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. მელიქიშვილის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ზურაბ მელიქიშვილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობიდან საქართველოს სახელმწიფო მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №296

*2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი*

რ. ლაგვილავას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს რეზო ლაგვილავა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №297

*2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი*

დ. ადეიშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს დავით ადეიშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №298

*2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი*

რ. ზურაბაშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს რუსუდან ზურაბაშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №299

*2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი*

დ. ნადაშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დავით ნადაშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აჭარაში არჩევნები აღარ გაიმართება

პირველი გვერდიდან

**"ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება არ ყოფილა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ტექნიკური თვალსაზრისით, ყველაფერი გააკეთა არჩევნების ჩასატარებლად, თუმცა აჭარაში არსებული უმართავი სიტუაცია საარჩევნო ადმინისტრაციებს მუშაობის საშუალებას არ აძლევს, ხოლო ამომრჩევლებს არჩევანის უფლებას ართმევს,** - აცხადებს ჭიაბერაშვილი, - **აჭარის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგი მოშლილია და უახლოეს ხანებში უმართავი პროცესები დაიწყება. აჭარაში სიტუაციას მთლიანად უკანონოდ შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ და მოქალაქეების უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ არსებობს".**

მანვე მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა და აჭარაში კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს. ამავე დროს, ზურაბ ჭიაბერაშვილმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და იმ პირთა ქმედებების შესწავლა მოსთხოვა, რომლებმაც ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებიდან ცესკო-ს სპეციალური ჯგუფების წარმომადგენლები ძალით გამოაძევეს, ცესკო-ს თავმჯდომარეს კი აჭარის ადმინისტრაციული საზღვრის გადალახვის საშუალება არ მისცეს.

სხვათა შორის, გუშინ ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცესკო-ს ამ გადაწყვეტილების თაობაზე საქმის კურსში არ იყო და ინფორმაციას მხოლოდ საგანგებო ბრიფინგის შემდეგ მიიღებდა.

ამავე დროს, საკმაოდ ნიშანდობლივია ზურაბ ჭიაბერაშვილის ის განცხადება, სადაც იგი ხელისუფლებას აჭარაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას სთხოვს. მართალია, გუშინ ჯერ არ იყო ცნობილი ხელისუფლების რეაქცია, მაგრამ, ლოგიკურად, საქართველოს პრეზიდენტი ამ მიმართვას დაუყოვნებლივ უნდა გამოეხმაუროს. მით



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ხულოსა და ქობულეთისთვის განკუთვნილი ბიულეტენები ცესკო-ს უქმად დარჩა.*

უფრო, რომ ავტონომიის ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი ქმედებები კონტრსანქციებს ითხოვს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცენტრი მშვიდობიან მოლაპარაკებებზე უარის თქმას ჯერჯერობით არ აპირებს.

და მაინც. უზენაეს სასამართლოში ჯერაც არ განუხილავთ "აღორძინების კავშირისა" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელები (ორივე მოსარჩელე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას იმ განკარგულების კანონიერებაში ედავება, რომლითაც კომისიამ ქობულეთსა და ხულოში არჩევნების შედეგები გააუქმა და ხელახალი კენჭისყრა დანიშნა). მოსარჩელე მხარეების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ ორ ოლქში არჩევნებთან დაკავშირებული კონფლიქტი ამოწურული იქნებოდა.

რაც შეეხება 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგების დამტკიცებას. ცესკო ამის გაკეთებას ორშაბათს გეგმავს, ეს კი ნიშნავს, რომ მომავალ კვირაში ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება.

# დაიცავს თუ არა მოსკოვი პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს?

პირველი გვერდიდან

დახურული დისკუსიის დაწყებამდე და შესვენებაზე პრესისათვის განცხადებები გაკეთდა, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ სხდომაზე ახლო აღმოსავლეთის, კოსოვოსა და დსთ-ს ქვეყნებში შექმნილი რთული ვითარება განიხილეს.

**"რუსეთი ყველა კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირების მომხრეა,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა. ჩვენს შეკითხვას, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს აჭარაში გამწვავებული მოვლენების ფონზე რუსეთის ხელისუფლება, ლავროვი გვპასუხობს: **"რუსეთი საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩარევას არ აპირებს - აჭარის მოვლენების ფონზეც კი. ჩვენ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მომხრე ვართ."**

**"როცა საგარეო საქმეთა მინისტრი ასეთ პოზიციას აფიქსირებს, ჩვენ სხვა გზა არ გვრჩება, პრაგმატულის გარდა,** - ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი დიმიტრი როგოზინი, - **საქართველოს შინაურ საქმეებში "ჩარევა" მხოლოდ ეკონომიკური პროექტებით, მხოლოდ კულტურული კავშირებით და მხოლოდ ინვესტიციებითაა დასაშვები."** თავისი აზრი ვიცე-სპიკერმა მხიარული მოძრაობით უფრო ხატოვანი გახადა - მან ხელები გაშალა და ქართული ცეკვის ილეთის მსგავსი მოძრაობა შეასრულა. **"აი, მხოლოდ ამ ენაზე ვილაპარაკებთ საქართველოსთან,"** - გვპირდება როგოზინი.

ერთი შეხედვით, ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს მიმართ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს დაიცავს. ამის საუკეთესო დასტურად, პირველ რიგში, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებები შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, მაგრამ საგულისხმო იყო მეორე ფაქტიც: რუსეთის პარლამენტში, სერგეი ლავროვის ვიზიტის პარალელურად, მიმდინარეობდა სადეპუტატო მოსმენები თემაზე - "რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების მიღებისათვის საკანონმდებლო ბაზის მომზადება".

# "ბრძოლამ საჭადრაკო დაფაზე გადაინაცვლა"

რუსული მასმედია გუშინ მთელი დღის განმავლობაში ატრიალებდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერ ასლან აბაშიძესა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის ბრძოლამ უკვე საჭადრაკო დაფაზე გადაინაცვლა.

ოფიციალური თბილისი წინააღმდეგია, რომ მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში ბათუმში ჩატარდეს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში - ამბობენ რუსი ჟურნალისტები.

საქმე ის არის, რომ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი თბილისში უნდა გამართულიყო, თუმცა, ფინანსური პრობლემების გამო თბილისის ვარიანტი იმთავითვე გამოირიცხა. დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილის თქმით, მარტში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ჭადრაკის ფედერაციას აუწყა, რომ "ბათუმში ქალთა მსოფლიო პირველობის ჩატარებისთვის საჭირო თანხა სახელმწიფო ბიუჯეტს არ გააჩნია და გამოთქვა წინადადება ფინანსური წყარო სხვაგან მოიძებნოს".

ფინანსური პრობლემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ასლან აბაშიძის ხელშეწყობით გადაჭრა, მაგრამ ოფიციალური თბილისი შიშობს, რომ ბათუმში ასეთი რანგის ტურნირის გამართვა მიზანშეუწონელია. კერძოდ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების გამო მონაწილეთა უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს, ამიტომ ტურნირის ბათუმში გამართვა არ არის მიზანშეწონილი. ოფიციალური თბილისის აპირებს ამასთან დაკავშირებით ფიდე-ს შეტყობინება გაუგზავნოს.



# მთავრობა "მარტო სახლში"

პირველი გვერდიდან

ლოვნად ხუმრობდა:

**"ბატონი ზურა დღეს არ გვესწრება. ის ბიშკეკში გავუშვით და თუ გინახავთ ფილმი "მარტო სახლში", ზუსტად ის არის. შეგვიძლია, სერიოზული რამეები ჩავიდინოთ პრემიერის არყოფნაში. აბა, ვის რა ოცნება გაქვთ ან რაიმე გამბედავი გეგმები ქვეყნის სასიკეთოდ, ავისრულოთ. არის კარგი შესაძლებლობა"...** - განუცხადა მან მთავრობას.

საკუთარი სურვილების ასრულება კი უკვე სხდომის ბოლოს - ნოღაიდელის მიერ მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმის შესახებ მოხსენების წარმოდგენის შემდეგ დაიწყო...

ნოღაიდელმა გუშინ მთავრობასა და ჟურნალისტებს ინდივიდუალური მეწარმეების დაბეგვრის ახალი წესის შესახებ ამცნო:

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ის კერძო იურიდიული პირები, რომლებიც თვითდასაქმებას ეწევიან და დაქირავებული მუშახელი არ ჰყავთ, ყველანაირი გადასახადისგან თავისუფლდებიან. ამ სახის მეწარმეებს მხოლოდ შემოსავლების დეკლარირების გამარტივებული წესი ექნებათ. ისინი ვალდებულნი იქნებიან, მხოლოდ თავიანთი შემოსავლის გამარტივებული წესით დეკლარირება მოახდინონ.

ნოღაიდელის მონაცემებით, ამჟამად საქართველოში 800 ათასი თვითდასაქმებული ადამიანია, რომლებიც გადასახადის სახით, დაახლოებით, 1 მლნ. ლარს იხდის, თუმცა, როგორც ნოღაიდელი აცხადებს, ამ თანხიდან კაპიკიც არ შედიოდა ბიუჯეტში, **"ეს თანხა გარკვეული პირების ჯიბეში მიდიოდა"**.

ამ საკითხის განხილვისას საქართველოს პრეზიდენტმა საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანება გაიხსენა და თქვა, რომ ასეთი კოდექსის პირობებში, **"ან ნოღაიდელის ბიძაშვილი უნდა იყო, ან - გაკოტრდები"**. თქვა, რომ გადასახადმა უნდა დაიკლოს, მაგრამ გადამხდელთა ბაზა უნდა გაფართოვდეს.

შემდეგ კი, დამსწრე მინისტრებისთვის სრულიად მოულოდნელად, ჯერ მათ სახლებში კერძო მანქანებით სიარულის გამო "დაუტატანა" - **"მე მოგიწოდეთ, ხალხში გადით-მეთქი, თუმცა სხდომის შემდეგ ყველა თქვენგანი საკუთარი მანქანით გაეშურა სახლისკენ. ტროლეიბუსში არც ერთი არ შეგვიმჩნევია..."**, მერე მთავრობის წევრები თვალით "აწონა" და გურამ აბსანძისთვის ცალკე ტროლეიბუსის გამოყოფაც მოითხოვა...

შემდეგ კი მინისტრებს "პალტოები და პლაშები" მოაცმევინა და ხალხში თავად გაიყვანა.

პრეზიდენტს "დადევნებულმა" მთავრობის წევრებმა საკუთარ თავზე იწვნიეს მისი ტემპებისთვის ფეხის აწყობის სიძნელე და მეტისმეტად გამხიარულებულები მარათონში ჩაებნენ.

გზად ხალხი პრეზიდენტს და მთავრობას ინტერესით, თუმცა განსაკუთრებული გაოცების გარეშე ადევნებდა თვალყურს. "პირიმზეში" სააკაშვილის მისვლა ოდნავ კი გაუკვირდათ, თუმცა მას უკვე ტრადიციული აღფრთოვანებით და პრობლემების მთელი წყებით დაუხვდნენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ პრეზიდენტის ფონზე, მთავრობის სხვა წევრები, რომელთაც ხშირად უწევთ ხოლმე მოსახლეობის გულისწყრომის მოსმენა, ჩრდილში აღმოჩნდნენ და საყვედურებს ამჯერად გადაურჩნენ.

# რას მოხმარდება დაზოგილი 200 მილიონი?

*პირველი კვარტლის საბიუჯეტო წარმატებით გათამამებულმა ხელისუფლებამ ქვეყანაში სარეზერვო ფონდის შექმნის შესახებ წამოიწყო საუბარი. გადაჭარბებით შესრულებულმა შემოსავლებმა მთავრობის ინიციატივით ამ ფონდში უნდა მოიყაროს თავი. თუ რას უნდა მოხმარდეს საბიუჯეტო დანაზოგები, ამაზე ეკონომიკურ ექსპერტებსა და ხელისუფლების წარმომადგლებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ.*

ეთერ მამულაშვილი

შეგახსენებთ, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტი 40-მილიონიანი გადაჭარბებით შესრულდა, რამაც ხელისუფლებას საშუალება მისცა, მიმდინარე ხარჯების დაფინანსების გარდა, პენსიონერთა დაგროვილი დავალიანების გასტუმრებაზეც დაეწყო ფიქრი. მთავრობის ეკონომიკური გუნდი იმედოვნებს, რომ ეს სასიამოვნო ტენდენცია - ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება - წლის ბოლომდე გაგრძელდება და სიტყვა სეკვესტრი საბოლოოდ მიეცემა დავიწყებას. ყველაზე მეტად ეს პრემიერ- მინისტრ ზურაბ ჟვანიას სჯერა, მისი პროგნოზით ბიუჯეტის გადაჭარბება წელს 200 მილიონი ლარით არის მოსალოდნელი.

სწორედ ამიტომაც ბევრს სარეზერვო ფონდის შექმნა წლის ბოლომდე აბსოლუტურად რეალურად მიაჩნია. ერთ-ერთი მათგანი პარლამენტარი ბესო ჯუღელია, რომელიც ფიქრობს, რომ სარეზერვო ფონდში მობილიზებული თანხები ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას უნდა მოხმარდეს. **"ფონდის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს ექნება გარკვეული სახსრები, რითაც ის საკუთარ მოქალაქეებს ბიზნესის ნულიდან დაწყებაში დაეხმარება"**, - ირწმუნება პარლამენტარი.

მისივე ინფორმაციით პრემიერ-მინიტრი, ეკონომიკურ გუნდთან ერთად, ამ პროექტზე დღეს აქტიურად მუშაობს. ჟვანია ფიქრობს, რომ საბიუჯეტო დანაზოგების ბაზაზე შესაძლებელია საკრედიტო ფონდის შექმნა, საიდანაც ახალბედა ბიზნესმენებზე გაიცემა შეღავათიანი, დაბალპროცენტიანი სესხები. ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი კრიტერიუმი იმისა, თუ როგორ მოხდება ფონდიდან სახსრების განკარგვა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბესო ჯუღელს სარეზერვო ფონდის შექმნა რეალურად მიაჩნია.*

სხვათაშორის, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფონდის შექმნის მცდელობას წინა ხელისუფლების დროსაც რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი; მეტიც, გასული წლების ბიუჯეტში საამისოდ ხშირად ხდებოდა გარკვეული თანხების გათვალისწინება, თუმცა ყოველი საბიუჯეტო წლის ბოლოს მიმდინარე ხარჯების დაფინანსება და ელემენტარული სოციალური ვალდებულებების შესრულებაც კი ფინანსთა სამინიტროს ძალიან უჭირდა.

ხელისუფლების ამ ინიციატივას ეკონომიკური ექსპერტების ერთი ნაწილი არ იწონებს და მას ბიზნესში უხეშად ჩარევის მცდელობად აფასებს. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ შერგელაშვილი ფიქრობს, რომ ამ გზით ხელისუფლება ხელს შეუშლის ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას. შერგელაშვილის მტკიცებით, უკეთესი იქნება, თუკი დანაზოგი თანხები, პირველ რიგში, გასული წლების დავალიანებების დაფარვას მოხმარდება.

ცნობისათვის - 1998 წლიდან მოყოლებული საპენსიო და სახელფასო ნაწილში დავალიანება დაახლოებით 400 მილიონი ლარი დაგროვდა, აქედან 130 მილიონი -საპენსიო, 270 მილიონი კი სახელფასოა. 2004 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ დავალიანებიდან მხოლოდ 90 მილიონის გასტუმრებას ითვალისწინებს, დანარჩენი, უკეთეს შემთხვევაში, შემდგომ ორ წელზე გადანაწილდება.

**"მაგალითად, თუ სახელმწიფო ვერ დაფარავს საპენსიო დავალიანებას მთლიანად, მაშინ რაიმე რეფორმის დაწყებაზე საპენსიო სისტემაში საუბარი ზედმეტია. რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსებას, მე ამ იდეას საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან დღეს სახელმწიფოს ქვეყნისათვის ბევრად მნიშვნელოვანი დარგების დაფინანსებაც ძალიან უჭირს. არ ვფიქრობ, რომ დღეს პრიორიტეტული უნდა იყოს ბიუჯეტიდან ბიზნესის დაფინანსება. გარდა ამისა, როცა სახელმწიფო ბიზნესს აფინანსებს, კორუფციის სერიოზული რისკები ჩნდება"**. - ამბობს შერგელაშვილი.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ბიზნესის ხელშეწყობისთვის ინფრასტრუქტურის განვითარება უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომაც შემოსავლების გარკვეული ნაწილი მის განვითრებას უნდა მოხმარდეს.

პარლამენტარი ბესო ჯუღელი კი ირწმუნება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის დაფინანსება ქვეყანაში დღეს არსებულ მრავალ პრობლემას ერთდროულად გადაჭრის. ბიზნესსესხების გაცემა და, შესაბამისად, ასპარეზზე ახალი ბიზნესმენების გამოჩენა, პარლამენტარის აზრით, ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, უმუშევრობის შემცირებას და ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდას.

ზოგიერთი ეკონომისტი კი ირწმუნება, რომ ბიზნესის წახალისებისთვის ხსენებულ ფონდებზე მეტად ეფექტური იქნება საგადასახადო ბაზის შემცირება და ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება.

# ტენდენცია პოზიტიურია, მაგრამ კმაყოფილების საფუძველი არ არსებობს

პირველი გვერდიდან

ანგარიში მოიცავს ევროპისა და ცენტრალური აზიის გარდამავალი ეკონომიკის მქონე 26 ქვეყნის კერძო საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში არსებული კორუფციული ტენდენციების ანალიზს. მონაცემები ეყრდნობა 6500-ზე მეტი ფირმის კვლევის შედეგებს, რომლებიც 1999-2002 წლებში განხორციელებული "სამეწარმეო გარემოსა და საწარმოთა მუშაობის კვლევის" პროცესში იქნა შესწავლილი. აღნიშნული კვლევის თანასპონსორები იყვნენ მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

ავტორთა განცხადებით, პირველსა და მეორე კვლევებს შორის რეგიონის ზოგ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა, პოლიტიკური სტაბილურობა და გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები შეიმჩნეოდა. ამ პერიოდში პროცესები უკეთესობისკენ წარიმართა: რეგიონის ბევრ ქვეყანაში უცხოელმა და შიდა ინვესტორებმა კაპიტალდაბანდებებიდან უკვე შემოსავლების ამოღება დაიწყეს. ამ კუთხით მომზადებული ბოლო ანგარიში, რომელიც ACT-2-ის სახელითაა ცნობილი, კორუფციისა და სახელმწიფო მმართველობის განსხვავებულ ანალიზს გვთავაზობს. ანგარიში ("ACT-2") ადასტურებს, რომ კორუფციის მასშტაბები (განურჩევლად იმისა, თუ რომელი მაჩვენებლით გავზომავთ ამ მასშტაბებს - მექრთამეობის გავრცელებით, ქრთამის საერთო ოდენობით, ან კორუფციის მიერ ბიზნესისთვის მიყენებული ზიანის სიდიდით) ბევრ ქვეყანაში კლებას იწყებს; თუმცა ACT-2 იმაზეც მიუთითებს, რომ თვითკმაყოფილების საფუძველი ჯერ კიდევ არ არსებობს, რადგან კორუფციის დონე ისევ მაღალია ბევრ ქვეყანაში.

**სახელმწიფოთი მანიპულირება გულისხმობს ქრთამის გადახდას იმ მიზნით, რათა გადამხდელის კონტროლის ქვეშ მოექცეს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შინაარსი, ანუ თამაშის ძირითადი წესები.**

ACT-2-ისგან ვიგებთ, რომ ქვეყნებს შეუძლიათ ეფექტურად ებრძოლონ კორუფციას, თუ სწორედ და თანამიმდევრულად განახორციელებენ სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმებსა და ანტიკორუფციულ პოლიტიკას. კვლევების დეტალური მონაცემები კი ცალკეულ ქვეყნებში ხელისუფლებას სამოქმედო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში დაეხმარება. ავტორების განცხადებით, ყველაზე დამაიმედებელი ისაა, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანაში რამდენიმე წლის წინ დაწყებული რეფორმების პირველი შედეგები დღეს უკვე გამოჩნდა.

ახალ ანგარიშში ხასგასმით არის აღნიშნული, რომ კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფორმა - სახელმწიფოთი მანიპულირება - დღეს საყოველთაოდ გავრცელებულ მოვლენად ყალიბდება.

სახელმწიფოთი მანიპულირება კორუფციის ყველაზე საშიშ ფორმად მსოფლიო ბანკის ჯერ კიდევ 2000 წლის ანგარიშში - **"კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გარდამავალ ეტაპზე - პოლიტიკის საკითხებზე დისკუსიებში შეტანილი წვლილი"** - დასახელდა. სახელმწიფოთი მანიპულირება გულისხმობს ქრთამის გადახდას იმ მიზნით, რათა გადამხდელის კონტროლის ქვეშ მოექცეს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შინაარსი, ანუ თამაშის ძირითადი წესები.

2002 წელს (სამი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით) ნაკლები რაოდენობის ფირმები უჩიოდნენ მათზე სახელმწიფოთი მანიპულირების ფაქტორით ზემოქმედებას, თუმცა ახლა ეს პრობლემა კვლავ აქტუალური გახდა.

*კორუფციის მიერ ბიზნესისთვის შექმნილი დაბრკოლებების მასშტაბი სანიმუშო ფირმების შეფასებით, სუბრეგიონალური ჯგუფების მიხედვით*, 1999-2002 წწ.*




** ქვეყნები და მათი რეგიონალური ჯგუფები შემდეგია: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი (ცაე) მოიცავს ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთს, პოლონეთს, სლოვენიას და სლოვაკეთის რესპუბლიკას; ბალტიისპირეთის ქვეყნები მოიცავს ესტონეთს, ლატვიას და ლიტვას; სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (საე) რეგიონი მოიცავს ალბანეთს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, ბულგარეთს, ხორვატიას, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას, რუმინეთსა და სერბია-ჩერნოგორიას; დსთ-ს ცენტრალური ნაწილი მოიცავს ბელარუსს, ყაზახეთს, რუსეთსა და უკრაინას; დაბოლოს, დსთ-7 ქვეყნების რიგშია სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყირგიზეთის რესპუბლიკა, მოლდოვა, ტაჯიკეთი და უზბეკეთი.*

*წყაროები: "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გარდამავალ ქვეყნებში: კორუფცია საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში 1999-2002 წლებში"; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის "სამეწარმეო გარემოსა და საწარმოთა მუშაობის კვლევა 1999-2002 წლებში".*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მოლაპარაკებებს აწარმოებს ლიხტენშტეინის, რუსეთისა და უკრაინის ფინანსური მოკვლევისა და მონიტორინგის სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლისა და ტერორიზმის, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის, ტრეფიკინგის გზით მიღებული ფულის "გათეთრების" საწინააღმდეგო პროგრამების ერთობლივად განხორციელების თაობაზე. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შემდეგნაირად დაბალანსდა: 1 აშშ დოლარი - 1,9850 ლარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები ხელისუფლებას პენსიების და ხელფასების დროულად გაცემის შესაძლებლობას აძლევს. "მართალია, ის თანხები, რომლებსაც პენსიონერები და მოსამსახურეები იღებენ, ჯერჯერობით, საკმაოდ მიზერულია, მაგრამ მომავალი წლიდან პენსიონერებს კუთვნილი პენსიის 28 ლარამდე გაზრდის დაპირებას ვაძლევთ", — განაცხადა სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გადასახადით არ დაიბეგრება უძრავი ქონება, რომელიც იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით 1 წელზე ნაკლები ვადით გადაიცემა. ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ახალი ინსტრუქცია დამტკიცდა, რომელიც ქონების გადაცემისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს განსაზღვრავს. თუ იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებულია ერთ წელზე ნაკლები ვადით, მაგრამ, ფაქტობრივად, მისი მოქმედება უფრო დიდი ხნით გრძელდება, გადასახადი ექვემდებარება გამოანგარიშებას, ხოლო გადასახადის გადამხდელის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები გავრცელდება. **ინტერ-პრესი**

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**19 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
სოფლების; შინდისის და წავკისის მაცხოვრებლებს.

**19 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), ყაზბეგის გამზირის(ნაწილობრივ), ბახტრიონის, ცინცაძის, იყალთოს, გამრეკელის, მიცკევიჩის, საირმის, ბაკურციხის, ჩაილურის, ფანასკერტელ-ციციშვილის, იყალთოს, ტეხურის, ტუსკიას, წინაუბნის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ფინანსთა სამინისტრო სათამაშო ბიზნესის ახლებურად დაბეგვრას გეგმავს

*სათამაშო ბიზნესის აყვავების პერსპექტივასთან ერთად დღის წესრიგში ამ სფეროდან შემოსული თანხების საკითხიც დადგა. მაინც რამდენ მილიონს კარგავს ბიუჯეტი სათამაშო ბიზნესიდან? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებთ, გეტყვით, რომ თუ სამორინეში გამდიდრებული კაცი არავის უნახავს, სამაგიეროდ, ბევრ ქვეყანაში ამ დაწესებულებებიდან ბიუჯეტი მდიდრდება. დღემდე საქართველოში ყველანაირი სათამაშო ბიზნესიდან 2 მილიონ ლარამდე გადასახადი იკრიბებოდა. საფუძვლიანი გათვლებით კი, ეს თანხა 12-15 მილიონს მაინც უნდა აღწევდეს.*

ნინო წერეთელი

ფინანსთა სამინისტრომ საკითხის მოწესრიგება რამდენიმე თვის წინ ითავა და "ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობის" კანოპროექტიც წარუდგინა საკანონმდებლო ორგანოს. თუმცა, ყოფილმა პარლამენტარებმა მისი დამტკიცება ვერ მოახერხეს. ძალაში შევიდა მხოლოდ გარკვეული მუხლები, პაკეტის ნაწილი დასამტკიცებელია. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სასურველია საკითხი მალე განიხილონ. არც ის არის გამორიცხული, რომ ახალმა კანონმდებლებმა პროექტში ცვლილებების შეტანა მოითხოვონ.

როგორც სამინისტროში გვითხრეს, კანონპროექტში გათვალისწინებული პრინციპების მიზანია ქვეყანაში სამორინეების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების სფეროს სახელმწიფოს მიერ რეგულირება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

მისი დამტკიცების შემდეგ ლატარიების, აზარტულ და მომგებიან თამაშთა ორგანიზებაზე ადრე გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების მფლობელთა მიერ საკანონმდებლო ნორმების შესრულებაზე კონტროლს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფინანსთა სამინისტრო განახორციელებს.

სათამაშო სფეროს "გათეთრების" მცდელობამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ტოტალიზატორების მფლობელები აცხადებენ, რომ ყოველ სალაროზე ფიქსირებული გადასახადის დაწესება მათ ხელოვნურ შემცირებას გამოიწვევს. მეპატრონეებს შეუძლიათ, საერთოდ გააუქმონ სალაროები და მაგიდებთან მსხდარ კლიენტებს ასისტენტების მეშვეობით მოემსახურონ. პროექტით, საქმიანობა დაიშვება 6 სფეროში. ესენია: ლატარია, სათამაშო აპარატები, სამორინე, ტოტალიზატორი, წამახალისებელი გათამაშება და სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშები.

"სათამაშო ბიზნესის" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ახალი კანონპროექტით ყველაზე მეტად მცირე ტოტალიზატორები დაზარალდებიან, რადგან იქ მხოლოდ ერთი სალარო მუშაობს. მათი მოგებაც და ადგილობრივი მოსაკრებელიც, რომელსაც აქამდე იხდიდნენ, ფიქსირებულ გადასახადთან შედარებით ბევრად მცირეა.

ამ სფეროში დარღვევების შესწავლა პარლამენტის ეკონომიკურმა კომიტეტებმა ერთი წლის წინათ დაიწყეს. მაშინვე აღინიშნა, რომ არსებული კანონმდებლობა საკმაოდ მოუქნელი იყო, გადასახადების ამოღება და ადმინისტრირება კი რთულად ხორციელდებოდა. საქართველოში 184 ტოტალიზატორი იყო ლიცენზირებული და წლის განმავლობაში მათ მხოლოდ 60 ათასი ლარი შეიტანეს ბიუჯეტში, ანუ თვეში თითო ტოტალიზატორიდან 30 ლარი შევიდა. მონაცემები მართლაც "შთამბეჭდავია". ლიცენზირებული 121 სათამაშო ავტომატიდან შემოსავალი 40 ათას ლარს არ სცილდებოდა. უფრო უარესი მდგომარეობა იყო სათამაშო ბიზნესის ისეთ სფეროში, როგორიცაა მომენტალური და ტირაჟიანი ლატარია.

ახალ კანონპროექტში უკვე კონკრეტულად არის დადგენილი გადასახადების განაკვეთები და მათი მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი სათამაშო ბიზნესის სახეობიდან გამომდინარე. კერძოდ: თითოეულ სათამაშო აპარატზე - თვეში 5-დან 200 ლარამდე; სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე - თვეში 5000-დან 10000 ლარამდე: ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე - 300-დან 600 ლარამდე; ლატარიების (ტირაჟიანი და მომენტალური) მოწყობაზე - არა უმეტეს 20 პროცენტისა; წამახალისებელ გათამაშებებზე - საპრიზო ფონდის 10 პროცენტი და სისტემურ-ელექტრონული თამაშებისთვის - თვეში 2000-დან 10000 ლარამდე.

ექსპერტებმა ისიც დაიანგარიშეს, რა მოგებას მოუტანს კანონპროექტის დამტკიცება ბიუჯეტს. მათი აზრით, შემოსავლები საგრძნობლად მოიმატებს. კონკრეტულად: 400 ტოტალიზატორის სალაროდან - 1,4-დან 2,8 მილიონ ლარამდე; 30 ლოტოსა და ბინგოს სალაროდან - 216 ათას ლარამდე; სისტემურ-ელექტრონული თამაშებიდან - 240 ათას ლარამდე; 70 კაზინოს მაგიდიდან - 4,2-დან 8,4 მილიონამდე; 270 სათამაშო აპარატიდან - 648 ათას ლარამდე. სულ წელიწადში ბიუჯეტში შევა 12-დან 14 მილიონ ლარამდე. ეს მართლაც შთამბეჭდავი ციფრია, თუ აქამდე ამოღებულ თანხას გავითვალისწინებთ.

# ერაყი სისხლისღვრის მოლოდინში

*გუშინ დილიდან, აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ერაყელი ამბოხებულების წინააღმდეგ მასშტაბური შეტევა დაიწყეს. მათი პირველი სამიზნე ე.წ. სუნიტური სამკუთხედის ცენტრი ქალაქი ფალუჯა გახდა, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, ამბოხებულთა კონტროლქვეშ იმყოფება. როგორც ერთ-ერთმა ამერიკელმა გენერალმა სააგენტო "როიტერს" განუცხადა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დიდხანს ველარ გაგრძელდებოდა, რადგან ამას არავითარი შედეგი არ მოჰქონდა ვითარების ნორმალიზაციის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფალუჯაზე დარტყმების განახლების თაობაზე. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია ახალი მძევლის აყვანის შესახებ. დაუზუსტებელი ცნობით, ერაყელებმა იორდანელი წარმოშობის ამერიკელი მოქალაქე დაატყვევეს. ამდენად, ერაყში გატაცებულ უცხოელ მოქალაქეთა რიცხვი 21-მდე გაიზარდა.*





*ნეჯეფში შიიტი ამბოხებულები ბრძოლებისათვის ემზადებიან.*

ლევან ღირსიაშვილი

### ფალუჯაზე შეტევა დაიწყო

დილის შეტევის შედეგად, ფალუჯაში 15 ადამიანი დაიღუპა და 20 დაიჭრა. ეს მონაცემები ქალაქის საავადმყოფოს ექიმებმა გაავრცელეს. სააგენტო "როიტერი" თვითმხილველებზე დაყრდნობით იუწყება, რომ შეტევა ამერიკელებმა ავიაციის გამოყენებით დაიწყეს, რის შემდეგაც ქალაქისკენ მძიმე ტექნიკა დაიძრა. ფალუჯაში გამაგრებულმა სუნიტებმა კი ეს შეტევა მოიგერიეს და ერთი ჯავშანმანქანის განადგურებაც შეძლეს. **"აშშ-ს საოკუპაციო ძალები ფალუჯაში გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებიან,"** - იუწყება არაბულენოვანი საინფორმაციო სააგენტო "ალ-ჯაზირა."

იგივე სამაუწყებლო კომპანიის ინფორმაციით, F-16 ტიპის სამხედრო ავიაციამ ფალუჯაში, გუშინ გამთენიისას, საერთაშორისო კონვენციით აკრძალული ე.წ. კასეტური ჭურვები ჩამოყარა. ასეთი სახის იარაღი უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. **"ეს კლასიკური სახის ქუჩის ბრძოლებია. ეს ის არის, რაც მეორე მსოფლიო ომმა, ვიეტნამმა, კორეამ და სომალიმ გვასწავლა. მომავალში ფალუჯას ომი სახელმძღვანელოებშიც შევა,"** - აცხადებს აშშ-ს არმიის საზღვაო ქვეითთა გენერალი ჯიმ მატისი.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ 36-ე ერაყულმა დივიზიამ უარი განაცხადა, დამორჩილებოდა აშშ-ს არმიის სარდლობის ბრძანებას ფალუჯის ბრძოლებში ჩართვის შესახებ. ამის შედეგად, ერაყული დივიზია კოალიციის ძალებმა ბლოკადაში მოაქციეს. **"ჩვენ ბაღდადში გვინდოდა დაბრუნება, მაგრამ ამერიკელებმა ალყაში მოგვაქციეს,"** - აცხადებენ ერაყელი ჯარისკაცები. 36-ე დივიზია აშშ-ს სარდლობის ინიციატივით შეიქმნა და შიიტი, სუნიტი და ქურთი მებრძოლებით დაკომპლექტდა. მის მიზანს წარმოადგენს კოალიციის ძალებისათვის დახმარების გაწევა ერაყელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

### ნეჯეფი მასშტაბური ბრძოლის წინ

ფალუჯასთან გააფთრებული ბრძოლების პარალელურად, გუშინ კოალიციის ნაწილების მასშტაბური კონცენტრაცია მიმდინარეობდა შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯეფშიც, სადაც ამბოხებული დაჯგუფების "მეჰდის არმიის" ლიდერი მოქთადა ალ-სადრი აფარებს თავს. აშშ-ს 2500-კაციან დივიზიას პოლონელებიც შეუერთდნენ. ამერიკელების სარდლობას სადრის ლიკვიდაცია ან ცოცხლად შეპყრობა აქვს განზრახული.

ძალების თავმოყრის პარალელურად, კოალიცია მოლაპარაკების ტაქტიკასაც მიმართავს, რათა შიიტი ამბოხებულები იარაღის დაყრასა და ქალაქის დატოვების აუცილებლობაში დაარწმუნონ. ამ პროცესში ჩაერთო ირანის ოფიციალური დელეგაციაც, მაგრამ გუშინ ბაღდადში დაუდგენელმა პირებმა ირანის წარგზავნილი დიპლომატი მოკლეს.

ოფიციალური თეირანის განცხადებით, დიპლომატის მკვლელობა ხელს ვერ შეუშლის სამშვიდობო ინიციატივას, მაგრამ ეჭვის ქვეშ აყენებს ვაშინგტონის პოლიტიკას ერაყში.

საინფორმაციო სააგენტოები, ასევე, ნეჯეფთან ესპანეთის სამხედრო ბაზაზე განხორციელებული თავდასხმის თაობაზეც იუწყებოდნენ.

**"თავდამსხმელებმა სამხედრო ბაზის მიმართულებით ნაღმტყორცნებიდან ხუთი ჭურვი ისროლეს. შეტევა აშშ-ს სამხედრო ავიაციის რეიდის შემდეგ 15 წუთში განხორციელდა,"** - იუწყება შემთხვევის ადგილიდან ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" კორესპონდენტი.

პარალელურად, იმამ ალის მეჩეთთან მოქთად ალ-სადრის ასობით მომხრე მეამბოხე შეიკრიბა და თავიანთ ლიდერს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების იმედი არც ერთ მხარეს არ აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნეჯეფში სისხლისმღვრელი ბრძოლები გარდაუვალია.

### საერთაშორისო თანამეგობრობა ერაყის შესახებ მსჯელობს

რუსეთი ერაყის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას მოითხოვს. ამის შესახებ გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ განაცხადა. მისი თქმით, რუსეთი დაინტერესებულია ერაყში არსებული ტრაგიკული ვითარების გამოსწორებით და ამისათვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას მოითხოვს. რუსეთს სურს, რომ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ, უწინარეს ყოვლისა, ერაყის პოლიტიკურმა ძალებმა, ოპოზიციურის ჩათვლით, ერაყის მეზობელმა სახელმწიფოებმა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა.

ერაყის საკითხზე სპეციალური საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ინიციატივით გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკიც გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ ერაყელებმა თავიანთი მომავალი თვითონ უნდა განსაზღვრონ. შირაკს მიაჩნია, რომ კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით უნდა გაიმართოს.

ამ განცხადებების პარალელურად, ვაშინგტონში საგანგებო ვიზიტით ჩავიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის და ტონი ბლერის მოლაპარაკების მთავარი თემა ერაყში შექმნილი უკიდურესად საგანგაშო ვითარება იქნება. როგორც დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ორივე ლიდერს განზრახული აქვს, ერაყში მკაცრი კურსის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურონ.

გუშინვე ტონი ბლერი გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს შეხვდა. პრემიერმა განაცხადა, რომ აუცილებლად თვლის გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის მიღებას, რომელიც 30 ივნისს ერაყში ეროვნული მთავრობისთვის ხელისუფლების გადაცემას იურიდიულად განამტკიცებს.

ვიდრე დასავლეთის პოლიტიკოსები საერთო შეთანხმებას მიაღწევენ, ერაყის ორი ქალაქი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადება.

# უიღურების სეპარატიზმის პრობლემა

*უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთში მცხოვრები უიღურების სეპარატისტული მოძრაობა პრობლემას, პეკინის გარდა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებსაც უქმნის. სხვადასხვა წყაროები მოწმობს, რომ უიღურებს რამდენიმე დიდ ტერორისტულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირები აქვთ. ცოტა ხნის წინ, "ჯეიმსთაუნის ფონდმა" გამოაქვეყნა სტატია უიღურების პრობლემის შესახებ.*

რევაზ ბახტაძე

ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომიურ რეგიონს (ისტორიულად ცნობილია, როგორც აღმოსავლეთი თურქისტანი) ცენტრალურ აზიაში "ჩინეთის ჩეჩნეთს" უწოდებენ. ამგვარ შედარებას თავისი საფუძველი აქვს. ჩეჩნეთის მსგავსად, რეგიონის მოსახლეობა შერეულია: ავტონომიაში მოსახლეობის, დაახლოებით, ნახევარს თურქული წარმოშობის მუსლიმი უიღურები შეადგენენ, ხოლო მეორე ნახევარს - ჩინელები.

ჩინელებსა და უიღურებს შორის კონფლიქტს დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი დაპყრობა ჩინელებმა 1759 წელს მოახერხეს და ახალ ტერიტორიას სინძიანი (ჩინურიდან თარგმანში "ახალი საზღვარი") უწოდეს. მას შემდეგ, რაც უიღურები ჩინეთის შემადგენლობაში მოექცნენ, მათ 400-ზე მეტი აჯანყება მოაწყვეს. უიღურებსა და ჩინელებს შორის ურთიერთობები, განსაკუთრებით, 1950 წლის შემდეგ დაიძაბა, როდესაც პეკინმა სინძიან-უიღურების ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნიკური ჩინელების მასობრივი ჩასახლება დაიწყო. 1949 წელს სინძიანში მხოლოდ 200 000 ჩინელი ცხოვრობდა და საერთო მოსახლეობის, დაახლოებით, 10 პროცენტს შეადგენდა. ახლა, ეთნიკური ჩინელების რაოდენობა 8 მილიონამდეა, რაც რეგიონის მოსახლეობის 50 პროცენტს უდრის.

1990-იანი წლებიდან უიღურებმა იატაკქვეშა ორგანიზაციები შექმნეს, რომლებმაც რამდენიმე ტერორისტული აქტი მოაწყვეს. მათ მოქმედებას რამდენიმე მიზეზი აქვს.

### განსხვავებული იდენტურობა

სინძიანის ავტონომიაში ჩასვლისას ქუჩები, ბაზრობები და ხალხის ჩაცმულობა ადამიანს ცენტრალური აზიის შეგრძნებას უტოვებს. უიღურების ენა იმდენად ჰგავს უზბეკურს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას უზბეკების საუბარი თავისუფლად ესმის. უიღურების უმრავლესობა ჩინელებს დამპყრობად მიიჩნევს. რეგიონში არაოფიციალურად აპართეიდია: ჩინელები და უიღურები სხვადასხვა მაღაზიებში ვაჭრობენ და სხვადასხვა რესტორნებში სადილობენ. ამგვარი გამიჯვნა თავად უიღურების რელიგიური შეხედულებებისგანაც გამომდინარეობს. მათი თქმით, ისლამი "წიგნიერ ხალხებად" მხოლოდ ებრაელებსა და ქრისტიანებს აღიარებს. მათი აზრით, კონფუციანელობა და ბუდიზმი კერპთაყვანისმცემლობას ჰგავს. სწორედ ამიტომ ისინი ჩინელებს პატივისცემით ვერ მოეპყრობიან.

აღსანიშნავია, რომ უიღურები უფრო თავდადებული მუსლიმები არიან, ვიდრე მათი მეზობლები ცენტრალურ აზიაში. ადგილობრივი ქალების უმრავლესობა თავსაბურავს ატარებს, რაც ცენტრალურ აზიაში იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო შუა ხნის მამაკაცები, როგორც წესი, წვერს ატარებენ. ერთ-ერთი უიღურის თქმით, "ყურანში წერია, რომ მუსლიმმა ულმერთოს მმართველობის ქვეშ არ უნდა იცხოვროს. ამდენად, ჩვენ არასოდეს არ შევურიგდებით ჩინეთის ოკუპაციას."

უიღურებს ძალიან აღიზიანებთ ჩინეთში მოქმედი კანონი, რომელიც შობადობას არეგულირებს. მათი განცხადებით, მუსლიმური ადათის თანახმად, რაც უფრო მეტი ბავშვია სახლში, მით მეტია ბედნიერება. ჩინელები კი მათ ამის საშუალებას არ აძლევენ.

### მზარდი რეპრესიები

ჯერ კიდევ ათი წლის წინ, პეკინი მუსლიმი მოსახლეობის ცხოვრებაში ნაკლებად ერეოდა. თუმცა, ჩინეთის ხელისუფლების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მათ დაასკვნეს, რომ უიღურების სეპარატიზმს მკვეთრად გამოხატული რელიგიური განზომილება აქვს.

პეკინმა უიღურების პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან მკაცრი ზომები მიიღო. ფაქტობრივად, ნებისმიერი ადამიანი კერძო საუბრის დროს გამოთქმული პეკინისთვის მიუღებელი მოსაზრების გამო, შესაძლებელია, რამდენიმე წლით დააპატიმრონ. სწორედ ამგვარმა შევიწროებამ უბიძგა უიღურებს, რომ მჭიდრო კავშირები დაემყარებინათ ცენტრალურ აზიაში მცხოვრებ ისლამისტ რადიკალებთან, მათ შორის, უიღურებთანაც. ცენტრალურ აზიაში, დაახლოებით, 400 000 ეთნიკური უიღური ცხოვრობს. 1990-იანი წლების შუა ხანებამდე სეპარატისტი უიღურების წარმომადგენლობები ალმა-ატასა და ბიშკეკში ღიად მოქმედებდნენ. თუმცა, მოგვიანებით პეკინის ზეწოლით ცენტრალური აზიის ლიდერებმა უიღურებს მუშაობის შეწყვეტა მოსთხოვეს. ამის შემდეგ, უიღურებმა უკვე ცენტრალურ აზიაშიც იატაკქვეშა ორგანიზაციები შექმნეს და ყველაზე რადიკალურ მოძრაობებთან დაიწყეს თანამშრომლობა.

### ტერორისტული ქსელი

2003 წლის დეკემბერში ალმა-ატაში ყაზახეთის უშიშროების სამსახურებმა თურქისტანის ისლამისტური პარტიის ფილიალი აღმოაჩინეს, რომელიც ჩინეთის მოქალაქის აისუ (ხასამ) მაკსუმის მიერ იყო დაარსებული 1980-იან წლებში. თავდაპირველად, ამ პარტიას აღმოსავლეთ თურქისტანის ისლამური პარტია ერქვა. თუმცა, სპეცსამსახურების მიერ ახლახან აღმოჩენილ ვიდეოკასეტაზე განმარტებულია ორგანიზაციის დასახელების შეცვლის მიზეზები: "ვინაიდან 2000 წლის აგვისტოში ჩვენი თურქი ძმები (არა უიღურები) შემოგვიერთდნენ და ვინაიდან ჩვენი პარტია თურქულენოვან სამყაროში მოქმედებს, მისი სახელი შეიცვალა და "თურქისტანის ისლამური პარტია" ეწოდა. ორგანიზაციის მთავარი მიზანია, შეიარაღებული წინააღმდეგობის მეშვეობით სინძიან-უიღურის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ თურქისტანის სახელმწიფოს შექმნა."

აღსანიშნავია, რომ უიღურებს კავშირი აქვთ უზბეკეთის ისლამურ მოძრაობასთან, რომელიც შეერთებულ შტატებს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჰყავს შეყვანილი. ბოლო თვეების განმავლობაში უზბეკეთში განხორციელებული ტერაქტები სწორედ უზბეკეთის ისლამური ორგანიზაციის მიერ არის განხორციელებული.

ყირგიზეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს თურქისტანის ისლამური მოძრაობის წევრი, რომელიც ამერიკის საელჩოს, ამერიკული სამხედრო ბაზისა და სინაგოგის აფეთქებას აპირებდა.

არსებული ტენდენცია ცხადყოფს, რომ უიღური სეპარატისტები, ფაქტობრივად, ცენტრალურ აზიაში მოღვაწე ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუერთდნენ, რათა საერთო ოპერაციები განახორციელონ. ეს კი რეგიონის სახელმწიფოებისა და ამერიკისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჩეჩნეთის მსგავსად, რეპრესიულმა რეჟიმმა და რადიკალურმა იდეოლოგიამ, შესაძლოა, რეგიონი ხანგრძლივ კონფლიქტში ჩაითრიოს.

# სასამართლო ბერლუსკონის წინააღმდეგ

იტალიის პრემიერ-მინისტრს ბოლო დროს საზრუნავი უფრო და უფრო ემატება. იტალიელებს ორი დღის წინ ერაყში მოკლული იტალიელი მძევალი ფაბრიციო კუატროჩი ჯერ არ ჰყავთ გამოგლოვილი, რომ გავრცელდა ინფორმაცია პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ დაწყებული სასამართლო პროცესის თაობაზე. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო და გააუქმა იტალიის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სახელმწიფო თანამდებობის პირების იმუნიტეტის შესახებ, უახლოეს მომავალში სილვიო ბერლუსკონის, კორუფციაში ბრალდებით, სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. მოსამართლეები ორი თვის განმავლობაში შეისწავლიან პრემიერის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ ქვეყნის მმართველის ბრალეულობის თაობაზე. თუმცა, ბერლუსკონის ადვოკატები აცხადებენ, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან გამამართლებელი განაჩენის გამოტანაში.

სილვიო ბერლუსკონის, რომელიც იტალიის უმდიდრეს ადამიანად ითვლება, საქმიანი გარიგების ჩაშლის სანაცვლოდ, მოსამართლეებისათვის ქრთამის შეთავაზებაში ედება ბრალი. საქმე ეხება მისი კონკურენტი ფირმის მიერ სახელმწიფო კვების კომპანიის შესყიდვის ფაქტს. ბრალდებაში მოხსენიებული ეპიზოდი გასული საკუნის 80-იან წლებს მიეკუთვნება, ეს ის პერიოდია, როცა ბერლუსკონი ჯერ კიდევ წარმატებული ბიზნესმენი იყო და პოლიტიკაზე არ ფიქრობდა.

აღსანიშნავია, რომ იტალიის პრემიერის ბიზნეს-საქმიანობის კანონიერების შესწავლა უკვე ათი წლის მანძილზე მიმდინარეობს. თუმცა, ამჟამინდელი ბრალდება ამ ხნის განმავლობაში გამოვლენილთა შორის ყველაზე სერიოზულია. რასაკვირველია, პრემიერი უკანონო ქმედებებში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს და ყველაფერში მემარცხენე შეხედულებების მოსამართლეებს ადანაშაულებს, რომლებიც, პრემიერის სიტყვებით, მისი რეპუტაციის შებღალვას ცდილობენ.

შარშან, ივნისის თვეში, ბერლუსკონი სასამართლო პროცესისაგან პარლამენტის მიერ იმუნიტეტის მინიჭებამ იხსნა. მაშინ ოპოზიციონერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ბერლუსკონის გადასარჩენად მიღებულ გადაწყვეტილებებს. თუმცა, იანვარში საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმუნიტეტი ქვეყნის ძირითად კანონს ეწინააღმდეგება და პარლამენტის ეს გადაწყვეტილება გააუქმა.



*სილვიო ბერლუსკონი*

ბერლუსკონის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ სასამართლოს ჩატარება ივნისში დანიშნულ ევროპარლამენტის არჩევნებამდე არის დაგეგმილი. ისინი თვლიან, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ არის. **"სასამართლოს მიზანია, პრემიერ-მინისტრის იმიჯს არჩევნებამდე მიაყენოს ზიანი,"** - აცხადებენ ისინი და მიმდინარე მოვლენების განხილვისას, სამართლებრივზე მეტად, პოლიტიკურ მომენტებზე აკეთებენ აქცენტს.

აშკარაა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრის მმართველობის დღევანდელ პერიოდს მშვიდს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. პრემიერს, კორუფციაში ბრალდებებთან ერთად, იტალიის მოსახლეობის უმრავლესობის ანტისაომარი განწყობის ატანაც უწევს. თუმცა, შესაძლოა, კორუმპირებული პრემიერის ხილვას იტალიელებს ისევ ტერორიზმთან ომი ერჩივნოთ.

### ორი სიტყვით

**სომხეთი.** გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ 1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში მომხდარი სისხლიანი ტერაქტის ერთ-ერთმა მონაწილემ - ვრამ გალსტიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სომხეთის იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, გალსტიანმა საკუთარ კამერაში ჩამოიხრჩო თავი. რამდენიმე დღით ადრე, მსჯავრდებული საკუთარი თხოვნის საფუძველზე ერთკაციან საკანში გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ გალსტიანი ტერორისტთა მეთაურის ბიძა იყო. პარლამენტში მომხდარი სროლის დროს დაიღუპა სომხეთის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი, პალამენტის სპიკერი კარენ დემირჭიანი და კიდევ ექვსი დეპუტატი და სახელმწიფო მოხელე. ამ ტერაქტის ყველა მონაწილეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

■ ■ ■

**თურქეთი.** გუშინ თურქეთში ორ უდიდეს ავტოკატასტროფას ჰქონდა ადგილი, რომელთა შედეგად ორ ათეულამდე ადამიანი დაიღუპა. მათ შორის ერთი ანკარასთან სარკინიგზო გადასასვლელზე მოხდა. ექსპრეს-მატარებელი "ანკარა-სტამბული" მოსწავლეებით სავსე მიკროავტობუსს შეეჯახა. დაღუპულია 7 მოზარდი. ექიმები კიდევ სამი ბავშვის გადარჩენისათვის იბრძვიან. გუშინვე, ანკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორსართულიანი ავტობუსისა და სატვირთო მანქანის შეჯახების შედეგად, 11 მგზავრი დაიღუპა და 28 დაშავდა.

# ინვალიდობას გოჭის ფასად ველარ მოიპოვებთ

*თუ აქამდე შესაძლებელი იყო, ინვალიდობა ერთი გოჭის ან თუნდაც ქათმის ფასად მოგეპოვებინათ, დღეიდან მხოლოდ კანონი და თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაზღვრავს, ხართ თუ არა ინვალიდი და საპენსიო ასაკის შესრულებამდე მიიღებთ თუ არა პენსიას.*

ნონა მაისურაძე

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ყველა ბიურო 2000 წლამდე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დაქვემდებარებაში იყო. შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო, იგი ჩამოშორდა აღნიშნულ უწყებას და ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. სამწუხაროდ, სწორედ მაშინ დაიკარგა ინტერესი, მოქალაქეებისთვის მკაცრი კონტროლით დაედგინათ ინვალიდობის ჯგუფი, რადგან გაწყდა კავშირი თანხის გამცემსა და დამნიშნავს შორის. ინვალიდობის ჯგუფის მიმნიჭებელი დაწესებულება არ იყო დაინტერესებული, რამდენად ობიექტურად ჩატარდებოდა ექსპერტიზა და სოკოებივით მომრავლებული ბიუროები 10, 20, 50 ლარად გასცემდნენ ინვალიდობის მოწმობას. ასეთი უკანონობის ფონზე, სახელმწიფოს ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდა და არასწორი მიმართულება მიეცა.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზაზა სოფრომაძე: **"ინვალიდობის დადგენა საპენსიო ასაკამდეც შეიძლება. ამდენად, საპენსიო თანხებს არაკანონიერი ხარჯი დაემატა. ერთი წლის განმავლობაში პენსიონერთა რიცხვმა 15 000-ით მოიმატა და სახელმწიფო ხარჯი 2 მილიონი ლარით გაიზარდა. უპრობლემოდ ხდებოდა ყალბი ცნობების გაცემა. თბილისელებს მისი მოპოვება მიზერული თანხით შეეძლოთ. სოფლად კი, სადაც მოსახლეობას ფული, თითქმის, არა აქვს, ბიუროები ნატურით ანაზღაურებაზე გადავიდნენ და პროდუქტებზე გასცემდნენ ინვალიდობის ჯგუფის დამადასტურებელ მოწმობებს. ამ პროცესის გაუკონტროლებლად გაგრძელება წარმოუდგენელია."**

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აცხადებენ, რომ 15 000 პენსიონერის საქმე ყალბია და ინვალიდობა ქრთამით არის მოპოვებული. ამიტომ, ახალი სამსახური, რომელიც ფონდის დაქვემდებარებაში იქნება, ქვეყანაში მცხოვრები შრომისუუნარო ადამიანების რეალური რიცხვის დადგენას შეუწყობს ხელს და, შესაბამისად, ზედმეტ ხარჯს შეამცირებს.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიის თავმჯდომარე დევი ტაბიძე: **"2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების დღიდან საქართველოს კანონი "სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ" ითვალისწინებს აღნიშნული დეპარტამენტის ფონდის სტრუქტურაში გაერთიანებას. შეიქმნება სამი რეგიონული და ერთი თბილისის ბიურო. ფუნქციონირებას დაიწყებს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება. დღემდე აღნიშნული ტიპის 138 ბიურო არსებობდა. რეფორმის შემდეგ მათი რიცხვი 52-მდე შემცირდება. 2003 წლის 9 თვის ანალიზით, კატასტროფული მონაცემი მივიღეთ - საქართველოში 15 000-მდე ინვალიდობით პენსიის დანიშვნა გამოვლინდა, რაც წარმოუდგენელია."**

ფონდის ექსპერტები გადაამოწმებენ 2003 წელს დადგენილ ინვალიდობის შემთხვევებს და მაქსიმალურად შეეცდებიან უკანონობის აღმოფხვრას. 3-4 თვის განმავლობაში კვალიფიციური მუშაკები შესაბამის ღონისძიებებს გაატარებენ და, სავარაუდოდ, ინვალიდობის რიცხვი 20-25 პროცენტით შემცირდება.

# სოციალური მეცნიერების პრობლემა

*ამერიკის სამეცნიერო და სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ასოციაცია წელიწადში ერთხელ კონფერენციას აწყობს. გუშინ სასტუმრო "სიმპათიაში" გამართულ რიგით მეხუთე კონფერენციაზე საქართველოში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე მეცნიერები, აკადემიკოსები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დარგში არსებულ პრობლემებსა და პერსპექტივებზე საუბრობდნენ.*

თამარ დვალი

კომუნისტების პერიოდში სოციალური მეცნიერებების დაფინანსების ერთადერთი წყარო სახელმწიფო იყო. აქედან გამომდინარე, კვლევის თემატიკაც კომუნისტური იდეოლოგიის განვითარებას ემსახურებოდა. ახალმა რეალობამ სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებისგან კონკრეტული სოციალური პრობლემების კვლევა მოითხოვა. მეცნიერები იძულებულნი გახდნენ, თავად მოენახათ გადარჩენის გზები. ბევრმა მათგანმა მიატოვა თავისი პროფესია და სხვა სფეროში სცადა ბედი. დღეს საქართველოში სოციალური მეცნიერების ერთადერთი დამფინანსებლები არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. სოციალურ მეცნიერებებში შედის: ფსიქოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები, ეკონომიკა, ისტორია, ანთროპოლოგია და სხვა.

კონფერენციას IREX-ის მედიის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში რობერტ ევანსი და ამერიკის საელჩოს პრესისა და კულტურის ატაშე როენა კროს-ნაჯაფიც ესწრებოდნენ. კონფერენციაზე გამომსვლელები სოციალური მეცნიერების განვითარების აქტუალურ პრობლემებს განიხილავდნენ და არსებული სიძნელეების გამოსწორების საკუთარ ხედვასა და პერსპექტივებზე საუბრობდნენ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, თემურ ბერიძის თქმით, საქართველოს მოსახლეობის 51 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ბოლო წლებში საქართველოში თვითდასაქმებულთა პროცენტულობამ საკმაოდ მოიმატა - 70 პროცენტს მიაღწია. "90-იან წლებში მოხდა ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი დაქვეითება, გარემოს მდგომარეობის არსებითი გაუარესება, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა. 1995-2002 წლები საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციითა და აღმავალი განვითარებით ხასიათდება. მშენებლობა, რომელიც 1999 წელს შეფერხებით მიმდინარეობდა, 2000-2001 წლებში ისევ ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპით ხასიათდება. სატრანსპორტო მომსახურებასა და კავშირგაბმულობაში შექმნილი დამატებითი ღირებულება ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება. ზომიერი ტემპით იზრდება ვაჭრობის მოცულობაც. 2003 წლამდე დაბალი და არასტაბილური იყო მრეწველობის ზრდის ტემპები", - აღნიშნა ბერიძემ.

2004 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტებს ახალი სპეციალობის დაუფლება შეეძლებათ. ისინი პოლიტიკური მართვისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების მეთოდებს შეისწავლიან.

პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის თქმით, სიტყვა პოლიტოლოგი საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში გახდა პოპულარული: " პოლიტოლოგსა და პოლიტიკოსს შორის დიდი განსხვავებაა. პოლიტიკოსი იღებს გადაწყვეტილებებს, პოლიტოლოგი კი მას ამ გადაწყვეტილებების დროს ალტერნატივების ზუსტ დასახვასა და თითოეული მათგანის გათვლაში ეხმარება. პოლიტიკოსმა მისი ექსპერტული რჩევები უნდა გამოიყენოს, რათა საკითხის გადაწყვეტისას ნაკლები შეცდომები დაუშვას. კარგია, თუ პოლიტოლოგისა და პოლიტიკოსის ფუნქციების შერწყმა არ მოხდება. სამწუხაროდ, დღეს პოლიტოლოგად მიიჩნევენ ყველას, ვინც პოლიტიკაზე რაღაც კომენტარს აკეთებს. ამ კომენტარების უმეტესობა კი ანგაჟირებულია და კარგად ჩანს, რომ უკან რაღაც ძალები უდგას."

## ფოსტა

**"საქართველოს ბანკის" პრეზიდენტს ვლადიმერ პატეიშვილს, "თიბისი" ბანკის პრეზიდენტს ვახტანგ ბუცხრიკიძეს, თამბაქოს წარმოება "პირველის" პრეზიდენტს ავთანდილ წერეთელს, "მეშვიდე არხის" პრეზიდენტს გიორგი გაბესკირიას, "საქტელეკომპლიუსის" დირექტორს ვარლამ კელენჯერიძეს, "თბილუნივერსალბანკის" პრეზიდენტს ტარიელ გვალიას, გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ ნიკო ლეკიშვილს**

ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და მისმა ელექტრონული ტექსტების ცენტრმა დაიწყო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა (http://www.nplg.gov.ge/ic/). ბიბლიოთეკის დაარსების მიზანია ჩვენს ბიბლიოთეკაში დაუნჯებული ბეჭდური მასალების გადატანა ელექტრონულ ფორმატში. ჩვენი ღრმა რწმენით, ესაა დიდი და ჭეშმარიტად ეროვნული საქმე, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს, ჩადგეს ცივილიზებული და მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში, გააცნოს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი და უმდიდრესი კულტურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, ხელმისაწვდომი გახადოს იგი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის, რომლებიც მოწყვეტილი არიან თავის სამშობლოს და მშობლიურ კულტურას, ელექტრონულ ფორმატში შევინარჩუნოთ ყველაფერი ის, რაც ჩვენი მოსაფერებელი და მოსავლელია. ყველაფერმა ამან რეალური კონტურები მიიღო მას შემდეგ, რაც ამ საშვილიშვილო პროექტს ფინანსური და მატერიალური დახმარება გაუწიეს "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა, "თიბისი" ბანკის პრეზიდენტმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ, თამბაქოს წარმოება "პირველის" პრეზიდენტმა ავთანდილ წერეთელმა, "მაშვიდე არხის" პრეზიდენტმა გიორგი გაბესკირიამ, "საქტელეკომპლიუსის" დირექტორმა ვარლამ კელენჯერიძემ, "თბილუნივერსალბანკის" პრეზიდენტმა ტარიელ გვალიამ და გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ტექსტების ცენტრი უღრმეს მადლობას უხდის საქართველოს ბანკს და მის პრეზიდენტს ვლადიმერ პატეიშვილს, "თიბისი" ბანკს და მის პრეზიდენტს ვახტანგ ბუცხრიკიძეს, თამბაქოს წარმოება "პირველს" და მის პრეზიდენტს ავთანდილ წერეთელს, "მეშვიდე არხს" და მის პრეზიდენტს გიორგი გაბესკირიას, "საქტელეკომპლიუსს" და მის დირექტორს ვარლამ კელენჯერიძეს, "თბილუნივერსალბანკს" და მის პრეზიდენტს ტარიელ გვალიას, გადამხდელთა კავშირს და მის თავმჯდომარეს, ბატონ ნიკო ლეკიშვილს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს ჩვენს ორგანიზაციას ელექტრონული ბიბლიოთეკის დაფუძნებაში. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ეროვნული საგანძურის, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაში.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, შესატანია უამრავი წიგნი, ჟურნალ-გაზეთი. ამიტომ ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს პროექტს გამოეხმაურებიან სხვა სპონსორებიც და ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება ეს გრანდიოზული საქმე.

ვფიქრობთ და დარწმუნებული ვართ, რომ ამ პროექტში მონაწილეობა თითოეული ქართველის, საქართველოს ჭეშმარიტი მოქალაქის ღირსების საქმეა.

მადლიერების გრძნობითა და პატივისცემით,

*საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი*

# დაქტილი, სურდოლოგი, იტალიური დიალოგი

...და ის ერთადერთი, რაც ვერ გაითვალისწინა იაკობ გოგებაშვილმა









ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ასეთივე ემოციურობით წყვეტენ იტალიელი ბავშვებიც, რა ფერებით შეღებონ სააღდგომო კვერცხი.*

*რამდენი რამ უნდა მოაგვაროს სახელმწიფომ და რამდენი - საზოგადოებამ, ეს ამბავი, თვლა არა აქვსო, რომ იტყვიან, ისეა. უნარშეზღუდულ ადამიანებთან კი ორივეს დამოკიდებულება რომ ერთგვაროვანი უნდა იყოს, ცხადზე ცხადია. დედა დანარჩენი შვილების გამოსაკვებად ყრუ შვილს რომ სმენის აპარატს გაუყიდის, ეს, დედასთან თანაბრად, სახელმწიფოსაც უნდა მოეკითხოს. ხოლო ადამიანი დაქტილით მოლაპარაკეს გვერდს რომ აუქცევს, ესეც მხოლოდ საზოგადოების განუვითარებლობაზე კი არ მეტყველებს - ცოდვა ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს კისერზეა. საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელიც ბუნებისგან დაჩაგრულებს პატრონობს.*

დალი კუპრავა

ავად თუ კარგად, საქართველოში ინსტიტუციონალური სისტემა არსებობს. ამ სფეროში მეტ-ნაკლებად წარმატებული სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების პრობლემა აღსაზრდელთა სოციალურობა - ანუ საბოლოოდ მათი საზოგადოებაში ინტეგრირებაა. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, არასამთავრობოების აქტიურობით, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფოს ვერდიქტით თუ გადაწყდება - გახდება თუ არა სახელმწიფოს პრიორიტეტი.

ამ მხრივ, თითქმის, უნიკალურია ყრუ-მუნჯთა ინსტიტუცია - სწორად წარმართული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემთხვევაში, დამატებითი სპეციფიური ქმედებების გარეშე, ადამიანების ამ ნაწილის ინტეგრირება პრობლემა არ არის.

"არ არსებობს აბსოლუტურად ყრუ ადამიანი. სწორი აღზრდის შედეგად (და ზოგიერთ შემთხვევაში, მკურნალობითაც), სიყრუის კატეგორიების მიხედვით, ისინი სხვადასხვა დროს, მაგრამ აუცილებლად ერწყმიან საზოგადოებას", - ამბობს თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი ლამარა სარჩიმელია. იგი ამ სისტემაში, დიდი ხანია, მოღვაწეობს.

საკუთარი რამდენიმესაათიანი გამოცდილებით კი შემიძლია ვთქვა, რომ ამ სკოლის აღსაზრდელებთან კომუნიკაციის სიამოვნება მას შემდეგ განვიცადე, როცა დაქტილით რამდენიმე ფრაზა იქვე შევისწავლე და გამოვიყენე. ბავშვებთან გაკვეთილზე რომ შევედი, ბუნებრივია, მათი პასუხები უცხო პირის დასწრების გამო, ცოტა შეზღუდული იქნებოდა და მხოლოდ ჩემი ღიმილით თავისუფლებას ვერ იგრძნობდნენ. როცა მეხსიერებამ რამდენიმე წუთის წინ წიგნში შემჩნეული ხელების მოძრაობა "დაისვენე" გამახსენა, გავაკეთე ეს მოძრაობა, სიტყვებით ხმოვანად ვთხოვე, - "არ იღელვო"- მეთქი და "სასწაული" მოხდა - გათავისუფლდნენ და კონტაქტში მასწავლებლის გარეშეც შემოვიდნენ. საერთოდ, სკოლაში ერთი ტენდენციაა - ბავშვები თავისი პრობლემის მიუხედავად, უშიშრად გესაუბრებიან - ეჭვი არ ეპარებათ, რომ გაუგებ.

სკოლის 200 აღსაზრდელის ფსიქოლოგიური თავისუფლება 140 მასწავლებლისა და მომვლელის თავდადებული შრომის შედეგია.

ხშირად ადამიანის ანომალური გამომეტყველება და გონებრივი ჩამორჩენილობა სიყრუის მიზეზია. ლოგიკაც მარტივია: არ ესმის, ვერ გამოხატავს და განვითარებაც შეფერხებულია. ამ დინამიკის თვალსაჩინო შედეგია მრავალი ადამიანი, რომლებმაც მოზარდობის ხანა, სპეციფიური დახმარების გარეშე, სოციალურ იზოლაციაში გაატარეს და ხშირად მხოლოდ ის შეძლეს, რომ ადგილობრივ "კოლორიტებად" ჩამოყალიბდნენ. ამგვარი ადამიანები, არაადექვატური რეაქციის გამო, სოციალურად მიუღებლები, ზოგჯერ კი აგრესიულებიც ხდებიან.

საკვირველია, ქვეყნის საერთო მდგომარეობის მიუხედავად, სკოლა-ინტერნატმა როგორ შეინარჩუნა და ინარჩუნებს შესანიშნავ პირობებს. ეს სკოლის პერსონალის დამსახურებაა. მაგრამ, პედაგოგები მასშტაბურად ფიქრობენ: მთავარი იმ პრობლემის გადაწყვეტაა, რაც საჭირო ტენდენციას განსაზღვრავს - მიიღოს თუ არა საზოგადოებამ ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები სრულფასოვან წევრებად. ჰუმანურ საზოგადოებაში ამაზე მხოლოდ დადებითი პასუხი შეიძლება იყოს, მაგრამ თუ შესაბამისი ნაბიჯებიც არ მოჰყვა, საქმე კიდევ უფრო წახდება. მხოლოდ სკოლის მასწავლებელთა მონდომება არ ეყოფა და მალე "გადარჩენილი" ადამიანების ის რაოდენობაც აღარ იქნება, რომელსაც დღეს სკოლა-ინტერნატი ზრდის.

ბევრმა მშობელმა არ იცის, რომ საშველი არსებობს. ბევრმა იცის, მაგრამ ვერ ჩამოჰყავს ბავშვი რაიონიდან. ბევრი სმენის აპარატს ვერ ყიდულობს შვილისთვის, რამდენიმემ კი ნაჩუქარი, ძვირადღირებული სმენის აპარატი გაყიდა.

ვინ იტყვის, სამ შვილს რომ შია, ეს უფრო ძნელია მშობლისთვის, თუ ერთს რომ არ ესმის?! ან ვინ ჰკითხა პატარას, - რა გირჩევნია, გესმოდეს და გშიოდეს, თუ - პირიქითო?! (დავით კლდიაშვილი რომ ლიტერატურული რეალიზმის წარმომადგენელია, ეს მაინც ახსოვს ვინმეს ?!).

1945 წელს გამოცემული პირველი ქართული სახელმძღვანელოს შემდეგ 1967 წელს გამოცემულს დღესაც აქსეროქსებენ. იქ კი ხიშტიანი წითელარმიელები ისევ ხატია და ამ სფეროში მიღწეული თანამედროვე მეთოდოლოგია ლანდადაც არ მოჩანს.

შეგნებულად არ მომყავს ყბადაღებული ამერიკული და ევროპული მაგალითები, სადაც სახელმწიფომ ამაზე ზრუნვა სამი საუკუნის წინ დაიწყო.

მსოფლიო სურდოპედაგოგიკა სმენაშეზღუდული ადამიანების ინტეგრაციისთვის ორ ტენდენციას განიხილავს : სმენიანმა საზოგადოებამ ისწავლოს დაქტილი, რომ გაუგოს მათ, ან სმენაშეზღუდულებმა ისწავლონ ბაგეებით საუბარი და ბაგეების მოძრაობით წარმოთქმულის გაგება. სკოლა-ინტერნატში სწორედ ამ უკანასკნელს ცნობენ და ამ გზას მიუყვებიან.

სახელმწიფომ მათთვის ჯერ ვერც ერთი სატელევიზიო გადაცემა ვერ უზრუნველყო და საზოგადოებას დაქტილის ელემენტების ცოდნაც ვერ მოეთხოვება.

**P.S. სურდოლოგიური ქართული "დედა ენა" იაკობ გოგებაშვილის "დედა ენას" ეფუძნება, მაგრამ "აი ია"-მ მხოლოდ ამ შემთხვევაში ვერ გაამართლა, რადგან ბგერა "ი", სურდოლოგიაში, წარმოსათქმელად რთული კატეგორიის ხმოვნადაა მიჩნეული.**


## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
აცხადებს კონკურსს
ვაკანტურ თანამდებობაზე

**ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების კოორდინატორი**

**შესავალი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება "განათლების სისტემის განმტკიცებისა და გარდაქმნის პროექტის" ფარგლებში მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ახალი სახელმწიფო მიზნების, სასწავლო მინიმუმის და მიღწევის სტანდარტების ჩამოყალიბებით. პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტით.

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტის (A1) ამოცანაა შეარჩიოს ადგილობრივი კონსულტანტები პროგრამის მიზნებისა და დავალებების განხორციელებისათვის. შესაბამისი მიმართულების მართვა და კოორდინაცია დაევალებათ ამ კონსულტანტებს.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მეცნიერებათა კოორდინატორი იმუშავებს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი
- პასუხისმგებელია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადებაზე საშუალო სკოლის შესაბამის საგნებში;
- ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად გეგმავს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს;
- მონაწილეობს საგნობრივი ჯგუფების დაკომპლექტებაში და კოორდინაციას უწევს საგნების ექსპერტების მუშაობას;
- მუშაობს უცხოელ კონსულტანტებთან, ამყარებს მჭიდრო ურთიერთობას უცხოელ კონსულტანტებსა და საგნების ექსპერტებს შორის;
- ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად ამზადებს ანგარიშს.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება მათემატიკასა ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის სტაჟი;
- პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- მართვის კარგი ჩვევები;
- კომუნიკაბელურობა;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

**ანგარიშგება:**

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების კოორდინატორი ანგარიშვალდებულია ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

ყოველთვიური ანგარიშები, რომლებიც პროექტის საკოორდინაციო განყოფილების მიერ შემუშავებული ფორმით უნდა მომზადდეს, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების კოორდინატორმა უნდა წარუდგინოს ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელს.

**ხანგძლივობა და ხელშეკრულება:**

თანამდებობა სრულ განაკვეთიანია. სამუშაო ადგილი თბილისშია. დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარმოსადგენი განაცხადების სტანდარტული ფორმები (ელექტრონული ვერსია) შეგიძლიათ მიიღოთ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 23 აპრილი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# პოლიციაში გარეგნული და სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება

პირველი გვერდიდან

**"პოლიციამ უნდა მიიღოს ისეთი სახე, რომელიც ცივილური ქვეყნებისათვის არის მისაღები. პოლიციელებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ საკუთარ გარეგნულ ფორმაზე, რადგან დღეს პოლიციელისა და ყაჩაღის ერთმანეთისგან გარჩევა თითქმის ჭირს"**, - თქვა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, გიორგი ბარამიძის მიერ პოლიციის რეფორმის პროგრამის წარდგენის შემდეგ.

შსს-ს გარდაქმნა სამოქალაქო უწყებად, საპოლიციო სტრუქტურების ოპტიმიზაცია და შემცირება, პოლიციის ორგანოების სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით საზოგადოებრივი საბჭოების სისტემის შექმნა, პოლიციის ორგანოების ეტაპობრივი დეცენტრალიზაცია, მუნიციპალური პოლიციების შექმნა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შსს-ს სტრუქტურებში ინტეგრაცია, შინაგანი ჯარის რეორგანიზაცია და მოქნილი ჟანდარმერიის სისტემის ჩამოყალიბება - ასეთი გახლავთ მოკლე ჩამონათვალი იმ ზოგადი ამოცანებისა, რომელთა განხორციელებასაც შინაგან საქმეთა ორგანოების რეფორმა ითვალისწინებს და რომლებმაც სულ ახლახან შემუშავებულ, 2004-2009 წლებზე გათვლილ საქართველოს მთავრობის პროგრამაშიც ჰპოვა ასახვა.

ერთადერთი, რითაც გუშინდელ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილი პროგრამა განსხვავდებოდა პოლიციის რეფორმის შესახებ აქამდე არაერთი ყოფილი თუ ახლანდელი ჩინოსნის მიერ გაკეთებული მოკლე თუ ვრცელი განცხადება-მოხსენებებისგან, უახლოეს მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებათა დეტალიზებაა.

მთავრობის სხდომაზე წარდგენილი პროგრამის თანახმად, მთლიანად შეიცვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა, სამინისტროში არსებული ბევრი სამსახური საერთოდ გაუქმდება, მოხდება პოლიციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი შემცირება, პოლიცია საჯარო და გამჭვირვალე სამსახურად ჩამოყალიბდება.

ბარამიძის განცხადებით, უკვე 2005 წლისათვის შტატების 50-პროცენტიანი შემცირება ელის სატრანსპორტო პოლიციასა და პოლიციის აკადემიას. 30 პროცენტით შემცირდება გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის შემადგენლობა და თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელთა რაოდენობა, 40 პროცენტით - საგზაო პოლიციის. უკვე გადაწყვეტილია ეკოპოლიციის გაუქმება - მისი ფუნქციები ნაწილობრივ გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცემა. დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი დაცვის პოლიციასა და შინაგან ჯარში. კერძოდ, ბარამიძის თქმით, მართალია, დაცვის პოლიცია დარჩება შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლქვეშ, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება, ექნება კონტრაქტების დადების უფლება, ასევე ეს სტრუქტურა უფლებამოსილი იქნება, გასცეს ლიცენზიები **"იმ ათასობით კერძო დაცვის ორგანიზაციაზე, რომლებიც არავინ იცის, რას აკეთებენ და ვის ასაქმებენ"**.

რაც შეეხება შინაგან ჯარს, იგეგმება მისი დემილიტარიზაცია. რეფორმის თანახმად, შინაგან ჯარს აღარ ექნება საბრძოლო ტექნიკა. ჯარის ბაზაზე ჩამოყალიბდება ჟანდარმერია ან სამოქალაქო სამსახური, რომელიც შეითავსებს სამთავარო ობიექტების დაცვასა და სხვა სპეციალური დავალებების განხორციელებას.

ყველაზე მეტი ყურადღება მთავრობის სხდომაზე საპატრულო პოლიციის ინსტიტუტის პროექტის ამოქმედებას დაეთმო. მინისტრის განცხადებით, თბილისში უკვე შემოდგომიდან გახდება შესაძლებელი სადღეღამისო პატრულირების განხორციელება. ბარამიძის თქმით, 24- საათიანი პატრულირება მოხდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - სკვერებთან, უმაღლესი სასწავლებლების გარე პერიმეტრთან, სადგურებზე და სხვა.



შინაგან საქმეთა მინისტრს ლიპიანი პოლიციელები არ უნდა.

მინისტრის ინფორმაციით, 21 ობიექტზე ფეხით პატრულირება განხორციელდება,

სხვაგან პატრულირება 81 საპატრულო მანქანის დახმარებით იქნება შესაძლებელი. თითოეულ ასეთ მანქანაზე მიმაგრებული იქნება 8 ოფიცერი, რომელიც წყვილად - 4 ცვლაში იმუშავებს.

**"მთლიანად ამ საქმისთვის 648 საპატრულო ოფიცერი და 195 მმართველობითი რგოლის პირი იქნება დაკავებული, რაც მთლიანობაში შეადგენს 843 მოსამსახურეს, ნაცვლად დღევანდელ დღეს არსებული 1680 პოლიციელისა"**, - განაცხადა მინისტრმა.

ბარამიძის თქმით, პოლიციელთა მინიმალური ხელფასი 500 ლარი იქნება, რგოლის ხელმძღვანელის კი ორჯერ მეტი.

როგორც აღმოჩნდა საპატრულო პოლიციის შექმნა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. პროექტის ღირებულება 25 მილიონი ლარია და მინისტრს იმედი აქვს, რომ დაფინანსება თბილისის ბიუჯეტის დახმარებით განხორციელდება.

ცხადია, საპატრულო პოლიციასთან ერთად იფუნქციონირებს კრიმინალური პოლიცია.

ბარამიძის ინფორმაციით, საპატრულო პოლიციას პრევენციული ფუნქციები ექნება, კრიმინალური კი დევნას განახორციელებს, გაერთიანდება მოკვლევა და წინასწარი გამოძიება. შესაბამისად, გამოძიების სხვადასხვა სტადიაზე - დანაშაულის ჩადენიდან სასამართლო პროცესის დაწყებამდე - ერთ საქმეში 3 პროკურორი იქნება ჩართული.

რეფორმის ფარგლებში სატელეფონო შეტყობინებების სისტემის აქტივირებაა განზრახული; კერძოდ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად შემოღებული იქნება 911 ტიპის სამსახური. ეს ცენტრი შემოსულ შეტყობინებას მომენტალურად აწვდის შესაბამის საპატრულო მანქანას და ხდება მყისიერი რეაგირება.

მოხდება პოლიციის სათანადოდ აღჭურვაც. მინისტრის განცხადებით, პოლიციელებს ეცმევათ ახალი უნიფორმა, ექნებათ ჯავშანჟილეტი, იარაღი და საჭირო ინსტრუმენტები.

ბარამიძის განცხადებით, პოლიციელთა შერჩევა უნდა განხორციელდეს მათი კვალიფიკაციის შესაბამისად, შესაბამისი სტანდარტებით, სადაც გათვალისწინებული იქნება არა მარტო პროფესიონალიზმი, არამედ ფიზიკური და მორალური კონდიციებიც.

ცხადია, მინისტრის მიერ წარდგენილ პროგრამას დასაწუნი არაფერი აქვს, მისი დაჩქარებული წესით განხორციელების იმედს კი პრეზიდენტის პოზიცია იძლევა: **"წლის ბოლომდე დედაქალაქში უკვე სამოდელო პოლიცია უნდა გვყავდეს, თანდათანობით კი იგივე პროცესები საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც უნდა გაგრძელდეს და პოლიციამ უნდა მიიღოს ისეთი სახე, რომელიც ცივილური ქვეყნებისათვის არის მისაღები"**, - განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც წარდგენილი პროგრამა მთლიანობაში მოიწონა. მისი აზრით, აღნიშნული რეფორმა, შესაძლოა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ერთ-ერთი წინაპირობა გახდეს. რეფორმისგან იგი, უარეს შემთხვევაში, ქვეყანაში მოქმედი კრიმინალებისა და მაფიის იატაკქვეშეთში გადასვლას, უკეთეს შემთხვევაში კი, სამართალდამცველთა მხრიდან მათ ლოკალიზებას, პირველ ეტაპზე - დედაქალაქში, ნელ-ნელა კი მთელ საქართველოში სანიმუშო წესრიგის დამყარებას ელის.

მეტიც, პრეზიდენტის თქმით, იმ რეფორმების ფონზე, რომელიც იგეგმება საბაჟო სამსახურში, პოლიციასა და სხვა სამინისტროებში, შესაძლებელი გახდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უფრო მეტი ყურადღების მიქცევა; კერძოდ, მომავალი წლიდან, პრეზიდენტის თქმით, პენსია უკვე 28 ლარი გახდება.

# დავით ჯიბღაშვილი იზოლატორში აღარ დააბრუნეს

*გუშინ საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა თბილისის პროკურატურის მოთხოვნა და ენერგოსაბითუმო ბაზრის ყოფილ გენერალურ დირექტორს დავით ჯიბღაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა არ განუახლა.*

საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დავით ჯიბღაშვილი წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა. ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საოქლო სასამართლოში გაასაჩივრა. **"დავით ჯიბღაშვილს აღკვეთის ყველაზე მკაცრი ღონისძიება - სამთვიანი პატიმრობა ისევ შეეფარდოს"**, - ასეთი გახლდათ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მოთხოვნა.

შეგახსენებთ, დავით ჯიბღაშვილს გამოძიება საბითუმო ბაზრის დირექტორობისას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამალულ 3,7 მილიონ ლარს ედავება. როგორც ჯიბღაშვილის ადვოკატი გოგმარ გაბუნია განმარტავს, საბითუმო ბაზარმა სახელმწიფო ბიუჯეტში პროკურატურის მიერ დასახელებული სადავო თანხის ძირითადი ნაწილი - რამდენიმე მილიონი ლარი უკვე შეიტანა და აღნიშნული თანხით ის დანაკლისიც დაიფარა, რომელსაც ქალაქის პროკურატურა ჯიბღაშვილს ედავებოდა.

სწორედ გადახდილი თანხის საფუძველზე და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით მიმართა ჯიბღაშვილის ადვოკატმა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეცვლის მოთხოვნით, რაც ქალაქის პროკურატურისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

გუშინდელ დახურულ პროცესზე საოლქო სასამართლოს მოსამართლემ თბილისის პროკურატურის შუამდგომლობის განხილვის შემდეგ საჭიროდ არ მიიჩნია დავით ჯიბღაშვილისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის კვლავ შეფარდება. **"ჯიბღაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა და რადგან მას ბრალი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში ედება, მისი თავისუფლებაში ყოფნა გამოძიებას ხელს არ შეუშლის. დავით ჯიბღაშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა ამ ეტაპზე არ არის სავალდებულო"**, - ასეთი გახლდათ საოლქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების მოტივაცია. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დავით ჯიბღაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ისევ გრძელდება. ასევე მიმდინარეობს საბითუმო ბაზრის კიდევ ერთი ყოფილი გენერალური დირექტორის, წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან გათავისუფლებული სოსო ნატროშვილის საქმის გამოძიებაც, რომელსაც სადავო თანხა - 2,5 მილიონი ლარი გადახდილი აქვს.

*24 საათი*

# ქუთაისის ეკოპოლიცია მსხვილი აფიორის საქმეს გამოიძიებს

*ქუთაისის ეკოპოლიცია ახალ საქმეს გამოიძიებს. საუბარია, ქუთაისის ბაზრობებზე შუა აზიიდან შემოტანილ საკვებ პროდუქტებში ჯანმრთელობისთვის საშიში მძიმე მეტალის - ტყვიის აღმოჩენაზე.*

ბექა სისაური
ქუთაისი

საზღვარგარეთიდან იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზოგიერთ სახეობაში ჯანმრთელობისათვის საშიში დანამატების არსებობის თაობაზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები კარგა ხანია საუბრობენ. ახლახან ქუთაისის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურმა სადგურმა ქალაქის სასოფლო სამეურნეო ბაზრობაზე ტყვიით დაბინძურებული ზაფრანა და წიწაკა აღმოაჩინა. სანეპიდსადგურის ხელმძღვანელის ტარიელ სვანაძის განმარტებით, აღნიშნული პროდუქცია ბუნებრივად ტყვიას არ შეიცავს. ტყვია პროდუქტში საკვები დანამატების, კერძოდ, საღებავის სახით მოხვდა. დასახელებული პროდუქციის დიდი ნაწილი შუა აზიიდანაა შემოტანილი. ქუთაისელმა ეპიდემიოლოგებმა წიწაკასა და ზაფრანაში ტყვიის დიდი რაოდენობა შემთხვევით აღმოაჩინეს.

**"სასამართლოს ნებართვით, მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში ქალაქის კვების ობიექტების შემოწმება ჩატარდა. ჩვენ მიერ გამოკვლეული იქნა აღნიშნულ ობიექტებში დამზადებული პროდუქცია, განსაკუთრებით კი ქაბაბს მიექცა ყურადღება. მედიკო-ბიოლოგიური კვლევის შედეგად მასში დიდი რაოდენობით ტყვია აღმოჩნდა. ნორმის მიხედვით საკვებში ტყვია 0.5 მილიგრამს არ უნდა აღემატებოდეს და რეალურად კი 30-36 მილიგრამი აღმოჩნდა,"** - განაცხადა "24-საათთან" საუბრისას ტარიელ სვანაძემ.

შემოწმების შემდეგ მედიკოსებმა ტყვიის წარმომავლობის თაობაზე კვლევის ჩატარება კვლავ გააგრძელეს. ცალკე შეამოწმეს ხორცი, სანელებლები და მწვანილი. აღმოჩნდა, რომ დასახელებული საკვების ტყვიით დაბინძურების წყაროს სანელებლები წარმოადგენდა, კერძოდ, წიწაკა და ყვითელი ყვავილი (ზაფრანა). **"ჩვენ მიერ ქუთაისის ბაზარში შერჩევით იქნა შეძენილი სანელებლები, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის სამოცდაათი პროცენტი ტყვიით იყო დაზაინებული. წესით, ტყვია ზაფრანასა და წიწაკაში ბუნებრივად არ უნდა მოხვედრილიყო. გაგვიჩნდა ეჭვი, რომ იგი ან წონაში მოსამატებლად, ან საკვები დანამატის სახით იყო გამოყენებული. აღმოჩნდა, რომ წიწაკას მიმზიდველ შეფერილობას სპეციალური საღებავით აძლევდნენ, რომელიც ტყვიის დიდ რაოდენობას შეიცავს,"** - აცხადებს სვანაძე. მისივე განმარტებით, ტყვია წარმოადგენს მძიმე მეტალს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ იწვევს უმძიმეს დაავადებებს, განსაკურებით აზიანებს თირკმლებს.

მომხდართან დაკავშირებით ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციის შემოტანა-გასაღების ფაქტზე საქმე აღიძრა ქუთაისის ეკოპოლიციაში და მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნული დანაშაული სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# ოსვენციმის ყოფილი ტყვეები ამერიკის შეერთებულ შტატებს უჩივიან

მომავალი წლის იანვარში გერმანია და მთელი მსოფლიო აღნიშნავს სიკვდილის ბანაკის ოსვენციმ-ბირკენაუს გათავისუფლების 60 წლისთავს. ასობით ებრაელი, ბოშა, პოლონელი და რუსი დაიღუპა ფაშისტური სიკვდილის კონვეიერში, სანამ 1945 წლის 27 იანვარს ბანაკს წითელი არმია გაათავისუფლებდა. წელს, 14 აპრილს, 60 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ოსვენციმის ტყვეებს გადარჩენის იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ. სწორედ 1944 წლის 14 აპრილს ოსვენციმის თავზე დიდი ამერიკული თვითმფრინავები გამოჩნდნენ. მათ ერთხანს იტრიალეს ოსვენციმ-ბირკენბაუს სამრეწველო რაიონის, კერძოდ, საკონცენტრაციო ბანაკის თავზე და აეროფოტოგადაღება მოახდინეს.

თუმცა, თვითმფრინავების დანახვით იმედმოცემულ ტყვეებს მოლოდინი გაუცრუვდათ. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი გეგმები პენტაგონის კაბინეტებში მომზადდა, სადაზვერვო გაფრენის შედეგად გადაღებული ფოტოები არავის გამოუყენებია საკონცენტრაციო ბანაკის გაზის საკნებისა და კრემატორიუმების, ან მათკენ მიმავალი სარკინიგზო თუ საავტომობილო გზების დასაბომბავად. არადა, სწორედ ამას ელოდნენ სასიკვდილოდ განწირული ტყვეები. ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1944 წლის 14 მაისს, როდესაც მოკავშირეების თვითმფრინავებმა პირველად დაბომბეს ოსვენციმი, მათ სამიზნეებს მხოლოდ საწვავის მწარმოებელი სამრეწველო ობიექტები წარმოადგენდნენ.

უკვე რამდენიმე წელია, ამერიკის შერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ისტორიკოსებს შორის მწვავე დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, სწორედ მოიქცნენ თუ არა მოკავშირეები, როდესაც გადაწყვეტილება მიიღეს, არ დაებომბათ სიკვდილის ბანაკი. ზოგიერთი ისტორიკოსი მიუთითებს, რომ უკვე 1942 წლის დეკემბრიდან ამერიკის პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს ხელთ ჰქონდა სარწმუნო დოკუმენტები და მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ოსვენციმში ებრაელების მასობრივი განადგურების ფაქტებს ეხებოდა. ამასთანავე, პოლონეთის დევნილმა ხელისუფლებამ, რომელსაც იმჟამად ლონდონში ჰქონდა ბინა, არაერთხელ მიმართა მას ბანაკის დაბომბვის თხოვნით.

თავის მხრივ, რუზველტის დამცველები ამტკიცებენ, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა და ლონდონმა საკონცენტრაციო ბანაკის დაბომბვა იმის გამო გადაიფიქრეს, რომ შედეგად შეიძლებოდა ბევრი ტყვე დახოცილიყო. გარდა ამისა, ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა დღემდე დაუდგენელი მიზეზების გამო, იმისათვის, რომ რუზველტს დაბომბვების წარმოება გადაეფიქრებინა, შეგნებულად წარუდგინეს შედეგების ყალბი პროგნოზი.

ისტორიკოსთა დავამ, რომელსაც გერმანიაში სერიოზულად არავინ აღიქვამდა, ახლა უკვე ამერიკულ სასამართლოებში გადაინაცვლა. შეერთებული შტატების სასამართლოებში უკვე შესულია ოთხი კოლექტიური სარჩელი, რომლითაც ოსვენციმის ყოფილი ტყვეები და ხოლოკოსტის მსხვერპლთა ნათესავები ამერიკის ხელისუფლებისაგან მილიარდობით დოლარის კომპენსაციის გადახდას ითხოვენ.

1944 წლის გაზაფხულზე თეთრმა სახლმა, მიუხედავად შემუშავებული გეგმისა, უარი თქვა ოსვენციმის ბანაკისა და მასთან მიმავალი გზების დაბომბვაზე. ამგვარად, ამერიკის ხელისუფლება დამნაშავეა გენოციდის პასიურ ხელშეწყობასა და თანამონაწილეობაში - ასეთი გახლავთ მოსარჩელეთა არგუმენტაცია. მათი სარჩელები სასამართლოებმა უკვე მიიღეს განსახილველად.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი საქართველოში თურქეთის ელჩს დიჯლე ქოფუზს შეხვდა. მათ ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრეს. თურქეთის ელჩმა აღნიშნა, რომ 2002 წლის მარტში საქართველოსა და თურქეთის იუსტიციის სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა წარმატებულია, თუმცა შეთანხმების ყველა პუნქტი, ჯერჯერობით, არ სრულდება. გიორგი პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციალურ სფეროში თურქეთის გამოცდილების გაზიარება, სადაც ეს სისტემა ევროპის საბჭოს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ქუთაისში მცხოვრები, ნასამართლევი, 25 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი ალექსანდრე იმედაძე, რომლისგანაც ამოიღეს უნომრო პისტოლეტი "მაკაროვი" მჭიდითა და რვა ვაზნით. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ქუთაისის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილების თანამშრომლებმა ზესტაფონიდან ქუთაისისკენ მიმავალი მიკროავტობუსი დააკავეს, რომელშიც ხორბლის 4 ტონა კონტრაბანდული სპირტი აღმოჩნდა. მძღოლის განცხადებით, სპირტი მან ქარელიდან ჩამოიტანა. ფინანსურმა პოლიციამ სპირტის მფლობელი 5.000 ლარით დააჯარიმა, ხოლო ტვირთი ქუთაისის საბაჟო ტერმინალში მოათავსა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყალტუბოში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. წყალტუბოს სანატორიუმ "ივერიაში" მცხოვრები 33 წლის კაპიტონ ჯგერენაია აივნიდან გადმოხტა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. ახლობლების განცხადებით, მან ეს ქმედება არაფხიზელ მდგომარეობაში ჩაიდინა. მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას წყალტუბოს პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ 23 დეკემბერს ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულმა ლაშა წურწუმიამ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებ გიორგი ბერულაშვილს ავტომანქანიდან გასტაცა ქურთუკი, რომელშიც იდო 600 ლარი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი). მიმდინარეობს დამატებითი ოპერატიული ღონისძიებები ლაშა წურწუმიას სხვა დანაშაულში მხილების მიზნით. **მედია-ნიუსი**

# გამჭვირვალე ბიუჯეტი სკოლებში

## პროექტი სკოლების დასახმარებლად

თავისუფლების ინსტიტუტი იწყებს საპილოტო პროგრამას, რომლის მიზანია, დაამკვიდროს ბიუჯეტის ფორმირების გამჭვირვალე პროცესი და გაზარდოს მოქალაქეების მონაწილეობა საგანმანათლებლო სისტემაში. პროგრამა განხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მშობლებისა და მასწავლებლების ასოციაციის, მოსწავლეთა კავშირებისა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით. პროგრამა მიზნად ისახავს, შექმნას დაინტერესებულ პირთა წრე; გაზარდოს მასმედიის როლი საგანმანათლებლო საკითხების გაშუქებაში; დაამკვიდროს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები; აღმოფხვრას არსებული კორუფცია და გააცნოს ადგილობრივ მმართველობასა და სკოლებს მონაწილეობითი ბიუჯეტირება.

ამონაწერი BCG Research ჯგუფის მიერ სასკოლო განათლების თემაზე ჩატარებული ფოკუსური ჯგუფების ანგარიშიდან:

სკოლების ინფრასტრუქტურა, უმრავლეს შემთხვევაში, გაუმართავია

1. სკოლები დაბინძურებულია; გათბობა არ არის; ბავშვები ქურთუკებში სხედან გაკვეთილებზე; როდესაც ძლიერი სიცივეებია, სკოლა არ ფუნქციონირებს.

2. ზოგ სკოლას არ აქვს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, ხოლო იქ, სადაც ეს აღჭურვილობა არის, ბავშვებს არ უშვებენ კომპიუტერებამდე. ეს ტექნიკა მათთვის მიუწვდომელია.



*სკოლის დერეფანი*

3. სკოლებში გაუქმებულია ბიბლიოთეკები

- "ბიბლიოთეკა არა აქვს და კომპიუტერი არ დგას კი არა, რომელ კომპიუტერზეა ლაპარაკი, თვითონ დირექტორს კაბინეტში ტელეფონი არ აქვს. ბავშვი ცუდად რომ გახდეს, სკოლიდან სასწრაფოს ვერ დაურეკავ".

4. სასკოლო ფონდში საფასურის გადახდა, სულ მცირე, სკოლის სათანადო გათბობასაც უნდა გულისხმობდეს, რადგან სიცივე იწვევს, ერთი მხრივ, ბავშვების ათვისების უნარის დაქვეითებას, მეორე მხრივ კი, გაკვეთილების გაცდენას.

5. საფასურის გადახის მიზეზად ზოგიერთ სკოლაში სახელდება მოწვეული პედაგოგებისათვის ხელფასის გადახდა და არა სკოლის კეთილმოწყობაზე ზრუნვა. არადა, სკოლის პედაგოგები არ მუშაობენ "სკოლის ძალიან უკმაყოფილო ვარ, იმდენად, რამდენადაც საერთოდ არაფერს არ სთხოვენ. თუ გინდა, მიდი და თუ გინდა არ მიხვიდე".

ელიტური სკოლის იმიჯი ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს: დასახელდა სკოლა, სადაც ხშირად ტარდება ექსკურსიები, კონცერტები, სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება, მაგრამ სწავლების დონე დაბალია. აღსანიშნავია, რომ ასეთ სკოლებში არის გათბობა, კომპიუტერული ოთახი, სისუფთავე, მაგრამ მიღებული ცოდნა არ შეესაბამება სკოლის გარეგნულ იერ-სახეს.

ეს BCG Research ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოყოფილი პრობლემების ძალიან მცირე ჩამონათვალია. სკოლებში პრობლემაა ყველაფერი: მასწავლებლების დაბალი ანაზღაურება, არაპროფესიონალიზმი, მოსწავლეთა სიმრავლე კლასებში, სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და მრავალი სხვა. ამ პრობლემების მოგვარება შეუძლებელია საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე. სანამ მშობლები არ გაიაზრებენ, რომ მათ აქვთ უფლებაც და შესაძლებლობაც, სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთონ, ვიდრე მასწავლებლები არ გააცნობიერებენ, რომ მათი ხმა სკოლის ადმინისტრირების საქმეში გადამწყვეტი უნდა იყოს, ხოლო დირექტორები არ მიხვდებიან, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი და გახსნილნი უნდა იყვნენ სამეურვეო საბჭოებისა და, საერთოდ, საზოგადოების წინაშე, სკოლებში არ აღმოიფხვრება კორუფცია, ნეპოტიზმი და სწავლის პროცესისადმი გულგრილი დამოკიდებულება. თავისუფლების ინსტიტუტის პილოტური პროექტი 6 თვეზეა გათვლილი და, როგორც აღვნიშნეთ, მისი მიზანია, გაზარდოს სკოლებში ბიუჯეტის ფორმირების გამჭვირვალე პროცესი და მოქალაქეების მონაწილეობა საგანმანათლებლო სისტემაში. ამ მიზნისათვის, მაქსიმალური წარმომადგენლობითობის პრინციპით, ათი სკოლა შეირჩა: კარგად დაფინანსებული, ცუდად დაფინანსებული, ელიტური, არაელიტური, მასწავლებელთა კარგი კონტიგენტით, მასწავლებელთა ცუდი კონტიგენტით, პრესტიჟულ რაიონში, არაპრესტიჟულ რაიონში.

**თავისუფლების ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაცია ALPE ერთობლივად ახორციელებს პროექტს სახელწოდებით "მონაწილეობა სკოლების ბიუჯეტირებისას".**

**პროექტში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე:**
**თავისუფლების ინსტიტუტი**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N23**
**ტელეფონი: 936615**
**ფაქსი: 936784**
**ვებ გვერდი: www.liberty.ge**

**ALPE**
**მისამართი: ა. ჭავჭავაძის ქ. N8/33**
**ტელეფონი: 922914**
**ფაქსი: 920596**
**ვებ გვერდი: office@alpe.ge**

**პროექტს, "მონაწილეობა სკოლების ბიუჯეტირებისას", ჩვენი გაზეთის კიდევ ხუთი გვერდი დაეთმობა. მოხარული ვიქნებით, ამომწურავი პასუხი გავცეთ თქვენს ყველა შეკითხვას და გავიზიაროთ თქვენი მოსაზრებები. მოგვაწოდეთ ისინი შემდეგ მისამართებზე:**
**თავისუფლების ინსტიტუტი**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N23**
**ტელეფონი: 936615**
**ფაქსი: 936784**
**საკონტაქტო პირები:**
**ვეკო ჭკადუა e-mail: veko@liberty.ge**
**ქეთი კობიაშვილი e-mail: keto@liberti.ge**

**გაზეთი "24 საათი"**
**მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45**
**ტელეფონი: 20 00 24**
**საკონტაქტო პირი:**
**ნინო ცინცაძე e-mail: ntsintsadze@24hours.ge**

# მშობლებმა უნდა ისწავლონ, რომ საკუთარი შვილების განათლებაზე პასუხისმგებელნი არიან

*სკოლებში თვითმმართველობის იდეა დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. შესაბამისად, იზრდება საზოგადოების, განსაკუთრებით კი, მშობლებისა და პედაგოგების ინტერესიც. დღეს საქართველოს სკოლებში თვითმმართველობა განათლების სამინისტროს ძველი შემადგენლობის მიერ დამტკიცებული დებულებით მუშაობს. თუმცა, მალე სკოლებში ახალი, უფრო სწორედ კი, ძველი დებულებით დაიწყება მუშაობა, რომლის არდაშვებაზეც თავის დროზე სამინისტრომ ბევრი იმუშავა. ძველ და ახალ დებულებებზე და მათ მნიშვნელობაზე განათლების სისიტემის გარდაქმნის და გაძლიერების პროექტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ გიგი თევზაძეს ვესაუბრებით. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც სკოლათა თვითმმართველობის პროექტზე ამ იდეის გაჩენისთანავე მუშაობდა, მას და მის მეგობრებს ამ იდეის გატანა ჯერ საკრებულოში მოუხდათ, შემდეგ კი სკოლა-სკოლა დადიოდნენ და მშობლებსა და მასწავლებლებს მის სისწორეში არწმუნებდნენ. მათგან წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ - უკმაყოფილებას მხოლოდ სკოლის ადმინისტრაცია გამოხატავდა. უკმაყოფილოები იყვნენ ის დირექტორები, რომლებიც თავის დროზე განათლების მინისტრმა დანიშნა. მთავარი მოწინააღმდეგე კი თავად განათლების მინისტრი იყო, რომელსაც სკოლის მართვის სადავეების ხელიდან გაშვება არაფრით უნდოდა. ბუნებრივია, ეს იდეა მაშინდელ ხელისუფლებაში არავის მოსწონდა, რადგან იმ ბერკეტებით, რომლითაც სკოლა ჯერ კიდევ დღემდე იმართება, ლოიალურად განწყობილ დირექტორთა და მასწავლებელთა მთელი არმია გიზის ჯიბეში, რომლის ხელშეწყობის, უფრო სწორედ კი, "ხმისშეწყობის" იმედი ყოველთვის გექნება, თუ არჩევნებში გაგიჭირდება.*



*გიგი თევზაძე*

მაიკო დარჩია

**- საერთოდ რატომ და როდის გაჩნდა სკოლათა თვითმმართველობის იდეა?**

- მგონი, თუ სწორედ მახსოვს, ეს იდეა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას მთავრობის დროს დაიბადა. მაშინ დირექტორების არჩევითობა, თითქოს, დაინერგა კიდეც, მაგრამ არ იმუშავა, რადგან ერთად შეყარეს სკოლის მასწავლებლები, დამხმარე პერსონალი და დირექტორი მათ აარჩევინეს. შემდეგ ეს იდეა სკოლების რეფორმის პროექტის დაწყებასთან ერთად გაჩნდა, რადგან ცხადი იყო, რომ არსებული სისტემა არ ამართლებდა. ჯერ კიდევ მაშინ, ვერავინ ხსნიდა არგუმენტირებულად, რატომ უნდა დაენიშნა მთელ საქართველოში ყველა სკოლის დირექტორი განათლების მინისტრს. სკოლათა თვითმმართველობის დებულებებზე მუშაობა 1999-2000 წლიდან დაიწყო, შემდეგ წლებში დაიხვეწა და როდესაც თბილისში საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი გახდა, საკრებულომ მუნიციპალური სკოლის დებულება დაამტკიცა, რომელიც თბილისის სკოლების თვითმმართველობას ითვალისწინებდა. თუმცა, ეს დებულება ბოლომდე ვერ ამუშავდა, რადგან ხელისუფლების მხრიდან დიდი წინააღმდეგობები შეხვდა.

**- მაინც როგორ გიწევდნენ წინააღმდეგობას?**

- მაშინდელმა განათლების სამინისტრომ სასწრაფოდ გამოამზეურა ალტერნატიული ვარიანტი. მათი სქემით სამეურვეო საბჭოს მხოლოდ მის მიერ დამატებით მოზიდული თანხების განკარგვა შეეძლო და მას არ ჰქონდა დირექტორის დანიშვნის უფლება. ჩვენ კი მიგვაჩნდა, რომ სამეურვეო საბჭო უნდა იყოს ყველანაირი ფულის განმკარგველი, მათ შორის - სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმორიცხული ფულისაც.

კანონს თბილისში მაინც რომ ემუშავა, ჩვენ მოვიქეცით ისე, თითქოს სკოლები ქალაქს ეკუთვნოდა. სამინისტრო იქცეოდა ისე, თითქოს სკოლები მისი, ანუ სახელმწიფოს საკუთრება იყო. იმდენად, რამდენადაც კანონი საკუთრების გაყოფის შესახებ არ არსებობდა, შეიქმნა ერთგვარი საკანონმდებლო ვაკუუმი. ჩვენ და სახელმწიფო, ფაქტობრივად, სამართლებრივად ერთნაირ პოზიციაში ვიყავით, მაგრამ, რადგან სახელმწიფოს უფრო დიდი ძალა ჰქონდა, ის ყოველთვის იგებდა. ასე რომ, ჩვენი პრინციპით, სამეურვეო საბჭომ მხოლოდ ორ სკოლაში იმუშავა და იქაც არასრულყოფილად, რამდენადაც მტკივნეული საკითხების განხილვისას ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე ისეთი, ვინც იტყოდა, რომ ეს საბჭოები არალეგიტიმურია. ახლა სამეურვეო საბჭოები თბილისის უმრავლეს სკოლაში და მთელ საქართველოში განათლების სამინისტროს ძველი შემადგენლობის მიერ დამტკიცებული დებულებით მუშაობენ. ამ დებულების მიხედვით, სამეურვეო საბჭოთა უფლებები ძალიან შეზღუდულია და, შესაბამისად, ეფექტური ვერაა. თუმცა, რამდენადაც მე ვიცი, ზოგიერთ რაიონსა და სოფელში ამ პროექტმაც კარგად იმუშავა, მაგრამ ეს მთლიანად დირექტორის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. მათ სურდათ, რომ სამეურვეო საბჭოებს ემუშავა. კაცმა რომ თქვას, კარგია, რომ, ვიდრე ძალაში ახალი დებულება შევა, თვითმმართველობის რაღაც სისტემა საქართველოს მთლიანი მასშტაბით ახლა მაინც მუშაობს, რადგან ასეთი ფორმით არსებული თვითმმართველობაც კი უწყობს ხელს საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას.

**- როდის დაინერგება ახალი სისტემა რეალურად?**

- დანერგვა დაიწყება მაშინვე, როდესაც ახალი პარლამენტი ამ კანონს მიიღებს. თუმცა, თბილისში უკვე ყველა სკოლა საჯარო სამართლის სუბიექტადაა დაფუძნებული. მათი დამფუძნებელი სახელმწიფოა. სკოლებს აქვთ ანგარიში, რითაც, ფაქტობრივად, უკვე დამოუკიდებელნი არიან, ახლა საჭიროა ეს კანონმდებლობით დამტკიცდეს და სამეურვეო საბჭოებმა მუშაობა დაიწყონ.

**- კიდევ ერთხელ მოკლედ ავხსნათ, როგორი იქნება სკოლების ახალი თვითმმართველობის იდეის არსი.**

- სკოლა უნდა მართოს საზოგადოებამ. პრინციპი ასეთია: ყველა კლასის მშობელი ირჩევს კლასიდან ერთ წარმომადგენელს, შემდეგ იმართება სკოლის არჩეულ მშობელთა გაერთიანებული კრება და მათგან 5 წარმომადგენელი შეირჩევა - დაწყებითი კლასებიდან ორი, საბაზოდანაც ორი და საშუალოდან ერთი მშობელი.

**- საშუალო სკოლის კლასები რატომ დაიჩაგრა?**

- იმიტომ, რომ ამ კლასებში სწავლება ჩვენთან, ჯერჯერობით, მხოლოდ ორწლიანია; როდესაც სამი წელი გახდება, მერე ვნახოთ.

**- ხუთი მშობელი; შემდეგ?**

- შემდეგ პედსაბჭო ირჩევს ოთხ მასწავლებელს და ხუთი მშობლისა და ოთხი მასწავლებლისგან სამეურვეო საბჭო დგება. სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს და, ამ კონკურსის საფუძველზე, ირჩევს დირექტორს. ეს იყო ის სქემა, რომელიც მაშინდელ სამოქალაქო და პოლიტიკურ ოპოზიციაში შეიქმნა. ამ გეგმის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს ეხება ყველაფერი, სახელმძღვანელოებისა და სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და მასწავლებელთა საშტატო განრიგის ჩათვლით. მას სკოლაში სრული საკანონმდებლო ხელისუფლება აქვს, აღმასრულებელი კი, ამ შემთხვევაში, დირექტორია.

**- რამდენად მართებულია, რომ სწავლების შინაარსში სამეურვეო საბჭო უნდა ჩაერიოს? საკმარისი იქნება ამისათვის ხუთი მშობლისა და ოთხი მასწავლებლის კომპეტენცია?**

- ხუთი მშობელი და ოთხი მასწავლებელი იქნებიან არჩეულები. შესაბამისად, ისინი იქნებიან კონკრეტული სკოლის მასწავლებლების და მშობლების წარმომადგენლები. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი ერთად მუშაობის პროცესით მივიღებთ მშობელთა და მასწავლებელთა ინტერესების დამთხვევას.

**- რას ნიშნავს, სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სახელმძღვანელოებს?**

- სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს პედსაბჭოს და დირექტორის მიერ წარდგენილ იმ სახელმძღვანელოთა ნუსხას, რომლითაც უნდა ისწავლონ სკოლის მოსწავლეებმა. თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ სამინისტროს განსაზღვრული აქვს, მინიმალურად ჩაერიოს სკოლების და გამომცემლობების ურთიერთობის პროცესში. შესაბამისად, სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული რომელი სახელმძღვანელოთი ისწავლოს მოსწავლემ, სკოლის ე.ი. სკოლის სამეურვეო საბჭოს გადასაწყვეტია.

**- რა მოხდება, თუ საბჭოში რაიმე საკითხზე ვერ შეთანხმდნენ?**

- ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს კენჭისყრით.

**- როგორია მოსწავლეთა როლი თვითმმართველობაში?**

- მოსწავლეებს ექნებათ სამეურვეო საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება. ასევე, მათ ექნებათ უფლება, შექმნან საკუთარი თვითმმართველობის ორგანო სკოლაში.

**- თბილისში მუნიციპალური სკოლების დამტკიცება თვითმმართველობის თქვენეული პროექტის ასამუშავებლად მოხდა. როგორი იქნება ახლა ურთიერთობები სკოლას, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სახელმწიფოს შორის?**

- განათლების სამინისტრო ქალაქის განათლების განყოფილებებს გააუქმებს და შეეცდება, ფული, შუალედური რგოლების გარეშე, ბიუჯეტიდან პირდაპირ სკოლებისკენ გაუშვას. სკოლებს თავისი ანგარიშები უკვე აქვთ ან უახლოეს მომავალში ექნებათ. ეს არის ერთადერთი კარგი რამ, რაც სკოლებთან მიმართებაში წინა განათლების სამინისტრომ გააკეთა. ახლა მიმდინარეობს ურთიერთობების გადანაწილება სახელმწიფოსა და თვითმმართველობებს შორის; ორივე მხარე შეეცდება, რომ გავლენის, რაც შეიძლება, დიდი სფერო მას დარჩეს. საკრებულოებმა, შესაძლოა, განაცხადონ, - თუ სკოლებს ფულს ჩვენ ვაძლევთ, რატომ არ უნდა გვქონდეს ჩვენვე უფლება ჩავერიოთ სასწავლო გეგმებსა და სტანდარტებშიო. ასე რომ, ის, რაც შევარდნაძის დროს ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა, ახლა შეიძლება პატარა წინააღმდეგობის წყარო გვექცეს. მაგრამ, არა მგონია, ეს სერიოზული დაპირისპირების საგანი გახდეს. თუმცა, თუ ფულის ტრანსფერის ის სისტემა შეიქმნება, რომელზეც მე მოგახსენებდით - ანუ თუ ფული პირდაპირ სკოლაში წავა, ადგილობრივი თვითმმართველობა შეძლებს, დამატებითი დაფინანსებით დაეხმაროს სკოლებს.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კანონი ადამიანებზე იყო მორგებული - მაშინ შევარდნაძე და კარტოზია არ ვარგოდნენ, ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფოს და ამიტომ სკოლა ქალაქს უნდა ემართა; ახლა სააკაშვილი და ლომაია კარგები არიან, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს და ამიტომ ახლა სკოლები სახელმწიფომ უნდა მართოს?**

- სააკაშვილი და ლომაია სკოლების მართვას არ აპირებენ. დღეს სახელმწიფო, მათი სახით, გამოთქვამს მზადყოფნას, რომ დანერგოს რეალური დეცენტრალიზებული მართვის სისტემა სასკოლო განათლებაში. სასკოლო განათლების შინაარსი, ჯერჯერობით, დარჩება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, თუმცა უკვე განსაზღვრულია ისეთი სასწავლო გეგმების დამტკიცება, რომლებიც ჩვენი პირობებისათვის მაქსიმალურ თავისუფლებას მისცემს სკოლებს სასკოლო სასწავლო გეგმების შედგენაში.

**- რის შეცვლას შეძლებს რეალურად სკოლებში სამეურვეო საბჭო? გარდა მასწავლებელთა საშტატო განრიგში და სასწავლო გეგმებში ჩარევისა, რა სიახლეს მოუტანს ეს სკოლას?**

- სამეურვეო საბჭოს შეუძლია ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. მნიშვნელოვანი ისაა, მშობლებმა ისწავლონ, რომ ისევე, როგორც ყველაფერზე, რაც სახელმწიფოში ხდება, საკუთარი შვილების განათლებაზეც თვითონ არიან პასუხისმგებელნი.

**- რამდენადაც ვიცი, იმ ორი სკოლიდან ერთში, სადაც თვითმმართველობის თქვენეული ვარიანტი მეტ-ნაკლებად კარგად მუშაობდა, თქვენ სამეურვეო საბჭოს წევრი იყავით...**

- სამეურვეო საბჭოს წევრობის ჩემეული გამოცდილება დადებითიც არის და უარყოფითიც: მოვახერხეთ სკოლისათვის გრანტის მოპოვება და სკოლაში კეთდება კომპიუტერული კლასი; ასევე, ამავე გრანტით განსაზღვრულია მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელშეწყობა; დავიწყეთ მუშაობა საშუალო განათლების საფეხურის საათობრივი დატვირთვის შემცირებაზეც. რაც შეეხება უარყოფით გამოცდილებას, ანუ იმას, რაც ვერ შევძელი სკოლაში - ვერ მოვახერხე რელიგიის ისტორიის გაკვეთილებთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირება: ჩემი შვილის სკოლაში, რელიგიის ისტორიის ნაცვლად, აქამდე ასწავლიან სალვთო რჯულს. ჩემი წინადადება იყო, შაბათ-კვირას დაენიშნათ სალვთო რჯულის გაკვეთილები, თუკი მშობლების მოთხოვნა იქნებოდა, რელიგიის ისტორიის საათებში კი რელიგიის ისტორია ესწავლებინათ. სამწუხაროდ, სკოლამ ამ შემთხვევაში ჩემ მიერ ზემოთ ხსენებული "სამეურვეო საბჭოს ნახევრად ლეგიტიმურობის" არგუმენტი გამოიყენა. ასევე, ვერ შევძელი - და ეს, ალბათ, ჩემი ნაკლებად აქტიურობის ბრალია - სკოლის ბიუჯეტის ხარჯების "კედელზე გამოკვრა". პრობლემა, ძირითადად, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალე ადმინისტრირებისადმი მიუჩვევლობა გახლდათ. თვითმმართველობის მთავარი დადებითი შედეგი სკოლათა მართვის პროცესის გამჭვირვალობა უნდა გახდეს.

# რა ფული შედის სკოლაში

*"განათლების არსებულ ცენტრალიზებულ სისტემაში სკოლას არა აქვს უფლება, დაგეგმოს თავისი შემოსავლები და ხარჯები. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სკოლებისთვის თანხების განსაზღვრა მათი არამიზნობრივი ხარჯვის პირობებს ქმნის. არსებული შესყიდვების პროცესი ზედმეტად გართულებულია და გაუმჭვირვალე, რაც არაეფექტურია და ხელს უწყობს კორუფციას", - მიაჩნიათ განათლების ექსპერტებს.*

სკოლის დაფინანსების დღევანდელი სისტემა იმდენად არაეფექტურია, რომ იმ თანხების "მოტეხვა", რომელიც, წესით, სკოლას უნდა მოხმარდეს, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ძალიან ადვილია. პრობლემა №1 - თვითმმართველობის ორგანოებს თავისუფლად შეუძლიათ ქაღალდზე სხვა თანხა დაწერონ, რეალურად სხვა დახარჯონ და სკოლაში სხვა თანხის საქონელი შეიტანონ, რაც ხშირად ასეც ხდება კიდეც. პრობლემა №2 - სკოლაში შექმნილ ფონდებში შესული ფულის განკარგვა მხოლოდ სკოლის დირექტორების პატიოსნებაზეა დამოკიდებული.

მომავალში: №1 - სკოლები და ბაღები საჯარო იურუდიულ სამართლის პირები გახდებიან და თანხები პირდაპირ მათ ანგარიშზე გადაირიცხება და №2 - ამ თანხების ხარჯვას სამეურვეო საბჭოები გააკონტროლებენ.

სკოლის დირექტორთა შეკრებაზე, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინ 53-ე საშუალო სკოლაში გაიმართა, დირექტორების მთავარი საზრუნავი შემდეგი იყო: თუ სასკოლო ფონდებს რამე დაემუქრება, სად იყიდიან ცარცს, სახავს, მასტიკას და სხვა ისეთ ბევრ მნიშვნელოვან რამეს, რაც სკოლის ცხოვრებისათვის ასეთი მნიშვნელოვანია. **"სახელმწიფოსგან ჩვენ უკვე, დიდი ხანია, არაფერი მიგვიღია; ფონდების აკრძალვა სკოლებისა და საბავშვო ბაღების დახურვას ნიშნავს"**, - ასაბუთებდნენ ისინი. დირექტორების უმრავლესობის აზრით: ფონდების გარეშე, სკოლა ვერ იარსებებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ფონდების ხარჯვის მხრივ საუბარი არ ყოფილა. საუბრობენ იმაზე, რომ ფონდში შესული თანხებისა და სხვა წყაროებიდან შესული თანხების განკარგვა მხოლოდ დირექტორის და მასთან დაახლოებული პირების პრეროგატივა არ უნდა იყოს. სკოლის ბიუჯეტს მშობლებისა და მასწავლებლებისგან შემდგარი სამეურვეო საბჭოები უნდა აკონტროლებდნენ.

როგორც ქალაქის განათლების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა მიშა სტურუამ აგვიხსნა, სკოლების დაფინანსება დღეს შემდეგი ცენტრალიზებული სისტემით ხდება: თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში გადაირიცხება, შემდეგ განათლების ხარჯები საქალაქო განათლების სამსახურის ანგარიშზე გადადის და პედაგოგთა ხელფასებს ეს სამსახურები ანაწილებენ ყველა ბაღსა და სკოლაში. რაც შეეხება სასკოლო ინვენტარის თანხას, იქნება ეს მერხები თუ რემონტი, 1999 წლიდან იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, უბრალოდ, ამოღებულია. სხვა წვრილმან მომსახურებას კი ასრულებს ქალაქის განათლების სამსახური, რომელიც თბილისში 2001 წლის მაისში შეიქმნა.

საწვავი ზამთრის სეზონისათვის სკოლებში სწორედ ამ ცენტრალიზებული წესით შედის. **"აღწერილია, რომელ სკოლაშია დაყენებული საქვაბე და რამდენს მოიხმარს იგი საათში. ამის შესაბამისად, ხდება ბიუჯეტში თანხის გაწერა. თუ მერია ამ თანხას დააფინანსებს, მოხდება საწვავზე თანხის გადარიცხვა და მისი შეტანა"**, - ამბობს ბატონი მიშა. ამ საწვავს ზოგი სკოლა იღებს, ზოგი კი - არა. სადაც საწვავს იღებენ, იქ შემდეგ კომენტარს აკეთებენ: **"მოგვაწვდიან საწვავს, ერთი თვე საწვავი გვაქვს, სამი კვირა აღარ გვაქვს, ვიწყებთ ხვეწნას; ბოლოს ცოტას ისევ მოგვცემენ... ხელს რომ ვაწერ მიღების ფურცელზე, ინფარქტი მემართება, ისეთი თანხა წერია ხოლმე. მოგვცენ ჩვენ ის ფული, ამის ნახევარ ფასში ვიყიდით უფრო მეტ საწვავს და მთელი სკოლა გაღუღუნებული გვექნება. ოცდახუთი წლის მასწავლებელი ვარ და, უკვე ათი წელია, აღარ მინახავს, სკოლაში ვინმეს ცარცი შემოეტანოს"**, - ამბობს ძმები კაკაბაძეების სახელობის 44-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი მარინა შანშიაშვილი.

შაბათის სტუმარი

# ერთადერთი, რისიც პრეზიდენტს ეშინია

მაია ჭალაგანიძე

*__გუგა სულხანიშვილი:__ დაამთავრა თბილისის მეექვსე გერმანული სკოლა; თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი; ბიზნესისა და მენეჯმენტის ქართულ-ამერიკული სკოლა; მასობრივი კომუნიკაციების დარგში ლუიზიანას უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხი მიიღო; მისი ნაშრომი, რომელიც ერთ-ერთ აკადემიურ ჟურნალში ახლა უნდა გამოქვეყნდეს, სახელმწიფოსა და დამოუკიდებელი მასმედიის ურთიერთობას ეხებოდა და მასში განხილული იყო 2001 წლის საქართველოს მთავრობის მცდელობა, დაეხურა "რუსთავი 2".*
*მუშაობდა ჟურნალისტად იბერვიზიაში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრში, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მასმედიის პროგრამის კოორდინატორად; აშშ-ს მშვიდობის კორპუსში კროსკულტურის პროგრამის კოორდინატორად; იყო ფრანგული კომპანიის (Beaufour Ipsen International) წარმომადგენელი კავკასიაში; ლუიზიანადან დაბრუნების შემდეგ და ამ თანამდებობამდე ჰქონდა ლექციების კურსი კავკასიის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სკოლაში და არც ახლა სურს ამ საქმიანობისთვის თავის დანებება.*
*ჰყავს მეუღლე - ხათუნა ჩხეიძე, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, გალერეა "შარდენის" ერთ-ერთი თანადირექტორი და სამი ქალიშვილი - 12 წლის ელენე, 6 წლის ნინო და სამი თვის კატო.*
*მუდმივად თამაშობს ჩოგბურთს, ფეხბურთს და ჭადრაკს. აქვს პირველი თანრიგი სამთო-სათხილამურო სპორტში, მაგრამ ბავშვობაში მიღებული ტრავმის გამო აქტიურად ვეღარ სრიალებს.*
*ჰყავს მშობლები და... ჰყავდა ძმა, სუხია, რომელიც 1992 წლის სექტემბერში აფხაზეთის ომში დაიღუპა.*
*ქართულის გარდა გუგას ძირითადი საკომუნიკაციო ენებია ინგლისური და რუსული. ინფორმაციის მიღება ფრანგულად და გერმანულადაც შეუძლია... რა უნდა გააკეთოს მეტი 30 წლის ახლგაზრდა კაცმა?*
*როგორც ვნახეთ, სახელმწიფოს მიერ სიტყვის თავისუფლების აღქმის უნარებში ის სპეციალისტია. ეს ხელისუფლებაც გამარჯვებას დიდად უნდა უმადლოდეს დამოუკიდებელ მედიას. ჯვარი გვწერია და ვიმედოვნებთ, ახალ პრესმდივანს არ მოუწევს კამერების წინ ოფლის ღვრა პრეზიდენტის შეცდომების გამო.*



გუგა სულხანიშვილი „24 საათის" რედაქციაში.

**- ხარ თუ არა მზად, დიდხანს და ახლოს იყო ჩვენს პრეზიდენტთან?**

- რასაკვირველია. მე ვარ ნაწილი იმ პოლიტიკისა და კურსისა, რომელსაც პრეზიდენტი ატარებს. ვფიქრობ, მე ჩემს სფეროში ვარ მის გვერდით.

**- მოგიწევს ურთიერთობა არასტანდარტული გადაწყვეტილებების მოყვარე პრეზიდენტთან, მოულოდნელობები გიყვარს?**

- ეს ჩემი სამუშაოს ნაწილია. ჩვენი პრეზიდენტი განსაკუთრებული ენერგიულობით გამოირჩევა. ვფიქრობ, რომ ეს ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარეობს და ამ განსაკუთრებული ენერგიის გარეშე დაგროვილი უამრავი პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნება.

**- საკუთარ ენერგიულობაზე რას გვეტყვი, როგორია შეფარდება?**

- ენერგია არც მე მაკლია.

**- რა დაგხვდა პრესსამსახურში?**

- ჩემმა წინამორბედმა გიორგი არველაძემ ბევრი რამ გააკეთა და საქმის კარგად დასაწყებად საკმაოდ მომზადებული ნიადაგი დამხვდა. რა თქმა უნდა, ბევრი კიდევ გასაკეთებელია, თვისობრივად სხვა სტრუქტურა უნდა შეიქმნას - არსებობდა სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური, ახლა იქმნება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

თუმცა, სახელს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, რა ფუნქციას შეიძენს - რითიც ამ განყოფილებას ჩამოყალიბების პროცესში აღვჭურავთ, ის იქნება.

ამ განყოფილების პირველი ამოცანა პრეზიდენტსა და საზოგადოებას შორის ორმხრივი კომუნიკაციის მუდმივობის უზრუნველყოფაა. ინფორმაცია მუდმივად უნდა ცირკულირებდეს სახელმწიფო სტრუქტურებში. ანუ მძლავრად უნდა ამუშავდეს სხვადასხვა სამინისტროს, პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურები.

**- შენს სამსახურს მათი მუშაობის კოორდინაციაც ევალება?**

- სასურველია, კოორდინაცია ამ სამსახურმა გაწიოს. სახელმწიფოში მთავარი ხელისუფალი პრეზიდენტია და სახელისუფლებო ორგანოებში ინფორმაციის მუდმივი მიმოქცევა სწორედ პრეზიდენტის პრესსამსახურმა უნდა უზრუნველყოს.

**- სხვა რეალობაა, სხვა დინამიკა. იქნება თუ არა ასევე ახალი ეს სამსახური?**

- რასაკვირველია. ეს სამსახური ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებულ პოლიტიკას განაგრძობს. ასე რომ, ცვლილებები საინფორმაციო დარგშიც იქნება - სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის საინფორმაციო ბარიერები უნდა წაიშალოს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ელიტას ინფორმაცია მონოპოლიზებული ჰქონდა. კომუნისტური სახელმწიფოს სიძლიერე სწორედ იმაზე იდგა, რომ ინფორმაცია ჰქონდა უზურპირებული...

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის საინფორმაციო ბარიერები უნდა წაიშალოს.

გამჭვირვალე მილი, სადაც ინფორმაცია ორი მიმართულებით გაედინება - ეს არის ამ სამსახურის ფუნქცია - სიმართლე მიდის და მოდის...

არ არსებობს იდეოლოგია, არსებობს სურვილი, რაც შეიძლება ღრმად იყოს დაშვებული მედია და სახელმწიფოს ყოველი ნაბიჯი, ჯაჭვის ყოველი რგოლი გაშუქდეს.

პრეზიდენტის ძირითადი მოთხოვნა ხალხთან მუდმივი კავშირია.









**- გინდა თქვა, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზეც ასე იყო?**

- ეს პოსტკომუნისტურ პერიოდშიც გრძელდებოდა და შევარდნაძის ძალაუფლება დიდად იყო დამყარებული ამაზე. ის დეკლარირებდა, რომ პრესა თავისუფალი იყო, მაგრამ თუ სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობას გამჭვირვალეს არ გახდი, გინდ გქონია ასეთი პრესა და გინდ არა, ფარატინა ქაღალდად იქცევა. ამ სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ისიც არის, რომ მედიას მაქსიმალური საშუალება ჰქონდეს, თვალი მიადევნოს სახელმწიფო გადაწყვეტილებების აღსრულების ჯაჭვს.

**- როგორც ვატყობ, პრესსამსახური თავიდან უნდა აღიჭურვოს, პირველ რიგში, რა გჭირდებათ?**

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის აწყობა და ამისთვის ფუნდამენტი არსებობს. პრეზიდენტი ამ კომუნიკაციას მძლავრად ახორციელებს იმიტომ, რომ სულ ხალხისკენ მიიწევს. ამ სამსახურმა კი ხელი უნდა შეუწყოს.

**- სად, რომელ ხალხთან და როდის იკონტაქტოს პრეზიდენტმა - ასეთი რჩევები შენს ფუნქციაში შედის?**

- ეს შედის ყველა იმ ადამიანის ფუნქციაში, ვინც მის გარშემოა და სურს, რომ ჰყავდეს გავლენიანი და ქვეყნისთვის მარგი პრეზიდენტი.

**- პრეზიდენტი და კომუნიკაციები ის დარგია, რომელიც ინტრიგების დიდ რისკს შეიცავს, როგორ დაიცავ თავს?**

- ინტრიგებისგან, პირველ რიგში, დამიცავს ის, რომ არ ვარ პოლიტიკოსი. ეს არ არის პოლიტიკური თანამდებობა. მაქვს კონკრეტული ფუნქცია - მივიტანო სიმართლე. წარმოიდგინე გამჭვირვალე მილი, სადაც ინფორმაცია ორი მიმართულებით გაედინება - ეს არის ამ სამსახურის ფუნქცია - სიმართლე მიდის და მოდის. ჩემი ინტერესები აქ არ არის, ჩემი ინტერესია პრეზიდენტსა და ხალხს შორის მიმდინარეობდეს მუდმივი, უწყვეტი კომუნიკაცია. ვფიქრობ, ეს კარგი დამცავია.

**- ჟურნალისტები ჭრელი ხალხია. როგორ აპირებ მათთან ურთიერთობას. როგორ მოახერხებ, რომ თუნდაც, რიგრიგობით დასვან კითხვები და პრეზიდენტებს მიკროფონები საჭირო დისტანციამდე მოარიდონ?**

- ჟურნალისტები არაჩვეულებრივი ხალხია. თანამედროვე ეპოქაში მათ განსაკუთრებული ფუნქცია აქვთ. ეს არაორდინალური პროფესიაა. მით უფრო ახლა, გარდამავალ პროცესში. ჟურნალისტებმა ინფორმაცია უნდა მიიტანონ მოსახლეობამდე. ინფორმირებულობის საფუძველზე ხალხს, მოსახლეობას უჩნდება ალტერნატივა, არჩევანის საშუალება. ამ შესაძლებლობის გარეშე დემოკრატია გამორიცხულია. ეს ჟურნალისტებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და მათ საქმიანობას განსაკუთრებულ ფუნქციებს სძენს. ამიტომ ჟურნალისტების მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული.

რაც შეეხება ჟურნალისტურ ეთიკას - აქ ორი მომენტია: ნამდვილი ჟურნალისტიკა ახალი დარგია. ეთიკა ნელ-ნელა იხვეწება. ჩვენ ტემპერამენტიანი ხალხი ვართ. ესეც თავის დაღს ასვამს ჟურნალისტების ქმედებებს. ჩვენი ტემპერამენტი ხომ მხოლოდ ჟურნალისტიკაში არ ვლინდება?! თუმცა, ყველა ჟურნალისტმა, ვისთანაც კი ამ თემაზე მისაუბრია, პრეზიდენტთან ურთიერთობისას სათანადო ეთიკის დაცვის სურვილი გამოთქვა. მათ ძალზე კარგად ესმით, რომ ეს მათი პრეზიდენტის და საერთოდ მთელი ქვეყნის პრესტიჟია. რასაკვირველია, ამ ურთიერთობის კორექტულობაზე მე ვაგებ პასუხს. ჟურნალისტები ამას გაგებით ეკიდებიან და მგონი, არ მეჩვენება - ვითარება უკეთესობისკენ მიდის... მთავარია, პრეზიდენტიც ასე ფიქრობდეს, არა?

**- ახლდი "პირიმზეში"?**

- ჰო, ვირბინე...

**- პრეზიდენტი ტელევიზიას ანიჭებს უპირატესობას და ეს გასაგებიცაა...**

- ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ ტელევიზიას ანიჭებს უპირატესობას. კითხულობს გაზეთებს და ყოველთვის ინტერესდება, როგორ აშუქებს მოვლენებს მთლიანად მასმედია.

**- როგორ აპირებს პრესსამსახური გაზეთებთან ურთიერთობას?**

- მნიშვნელოვან მოვლენებზე შედგება დღის პრესრელიზი, ასეთი რამ გაზეთებს სულ ექნებათ, რადგან ეს არის მთავრობა, რომელიც მოქმედებს და გამოგონება არაფერს არ ჭირდება. ეს ინფორმაცია უწყვეტად უნდა მიედინებოდეს ყველა მიმართულებით და, რაც მთავარია, მოსახლეობისკენ მასმედიის გავლით.

**- შევარდნაძის პრესსამსახურს თავისი საინფორმაციო საშუალებებით ერთგვარად იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. ახლა როგორ იქნება, იღებთ იდეოლოგიურ ტვირთს? აქვე შეგახსენებ, რომ ამან არ გაამართლა.**

- არ არსებობს იდეოლოგია (იდეოლოგიაში პროპაგანდას ვგულისხმობ), არსებობს სურვილი, რაც შეიძლება ღრმად იყოს დაშვებული მედია და სახელმწიფოს ყოველი ნაბიჯი, ჯაჭვის ყოველი რგოლი გაშუქდეს.

რაც შეეხება სტრუქტურას - სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური ლიკვიდირებულია და ახალი სტრუქტურის ჩონჩხი არსებობს. ახალ, ეფექტურ სტრუქტურაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ერთად ვმუშაობთ.

**- ამ თანამდებობაზე როგორ მოხვდი?**

- განათლება სწორედ ამ დარგში მაქვს მიღებული. გიორგი არველაძეს იმ დროს შევხვდი, როდესაც ამ თანამდებობებზე კანდიდატურებს ეძებდა. წარვადგინე ჩემი CV და რამდენიმე არაფორმალურ გასაუბრებაზე მიმიწვიეს...

**- ბრიუსელის ვიზიტი შენთვის ერთგვარი გამოცდა იყო. როგორც ჩანს, ჩააბარე, მაგრამ დეტალები მაინც საინტერესოა.**

- ბრიუსელში, მართლაც, მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. ბრიუსელში ჩემთვის რთული იყო დღის დაგეგმვა და შემდეგ გეგმების განხორციელება. რადგან აქ ვარ, ალბათ, თავი გავართვი.

თუმცა, კურიოზს ვერ ავცდი... ისე მოხდა, რომ საკუთარი ტელეფონი არ გამაჩნდა. იქ კი ყოველწამიერი კომუნიკაციაა საჭირო. თანაშემწესთან საზიარო ტელეფონი გვქონდა. პრეზიდენტისა და ჰავიერ სოლანას შეხვედრის დროს ამ საზიარო ტელეფონმა დარეკა, არც მახსოვდა, რომ პიჯაკის ჯიბეში მედო. საშინელი სიძლიერით ვაჭერდი ხელს ამ ვიბრაციით მოხტუნავე ტელეფონს. საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ჩემ გვერდით მჯდომი სოლანას პრესმდივნისთვის იყო შესამჩნევი.

**- რა ნივთები გჭირდება მუდმივად და აუცილებლად?**

- არაფერი განსაკუთრებული. ძირითადად სწრაფი საკომუნიკაციო საშუალებები: მობილური, "ლეპტოპი", სწრაფი ინტერნეტი, ბლოკნოტი, კალამი, გაზეთები... ენა და ყურები.

**- თავად რა კრიტერიუმებით აიყვან განყოფილების თანამშრომლებს?**

- ერთადერთი კრიტერიუმით - პროფესიონალიზმი. ჩვენ ვალდებული ვართ, მედიას და, შესაბამისად, ხალხს მთავრობის მუშაობის შესახებ მივაწოდოთ ინფორმაცია. სხვა საქმეა, ვინ როგორ მოინდომებს ამის გაშუქებას. მედიის მონიტორინგი იმითაც არის საინტერესო, რომ ის კარგი ინდიკატორია იმის გასაგებად, თუ რამდენად მართებულია მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

მაგალითისთვის, შსს-ში ახლა ისეთი რეფორმები მიმდინარეობს, რომელიც ქართულ პოლიციას ერთხელ და სამუდამოდ თანამედროვე, განვითარებული ქვეყნების დონის პოლიციად აქცევს. ხალხმა უნდა იცოდეს, ეს მათი უფლებაა. მისი არჩეული ხელისუფლებაა და საკუთარ მონაწილეობას ამითაც იგრძნობს.

**- როგორ ფლობ საგანს - დიპლომატია?**

- ამაში გამოცდილება მაქვს. განსაკუთრებით, როცა აფხაზებთან მქონდა ურთიერთობა. ეს იყო 1998 წელს, სახალხო დიპლომატიის ჩარჩოებში, რომელსაც კალიფორნიის ირვაინის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგი, პოლა გარბი ედგა სათავეში. საქართველოსა და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებოდნენ, რათა რაღაც დონეზე მაინც მომხდარიყო იმ პრობლემების გაგება და გაზიარება, რამაც კონფლიქტი წარმოშვა და შემდეგ, რაც ამ კონფლიქტს მოჰყვა. თუმცა, მორალური თვალსაზრისით, არანაკლებ რთული იყო, ვიდრე სახელმწიფოებრივ დონეზე საუბარი.

**- რამე გამოვიდა?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვიყავი პირველი ადამიანი, ვისგანაც აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციამ გრანტი მიიღო. მაშინ სოროსის ფონდში ვმუშაობდი, სადაც მასმედიის და "აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი" პროგრამის კოორდინატორი ვიყავი. სწორედ ამ პროგრამამ დააფინანსა ერთ-ერთი აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის ტექნიკური აღჭურვილობა. ეს არ იყო დიდი გრანტი, მაგრამ ეს უკვე იყო პრეცედენტი, რომ აფხაზებმა რაღაც გვთხოვეს. მანამდე მათ ჩვენი არც დახმარება უნდოდათ და არც არაფერი. კონტაქტი შედგა, ფონდმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა და საბოლოოდ ეს ურთიერთობა იქამდე მივიდა, რომ მაშინდელი აღმასრულებელი დირექტორის, მიშა ჩაჩხუნაშვილის დიდი ძალისხმევით, სოხუმში თბილისს დაქვემდებარებული სოროსის ფონდის ოფისი გაიხსნა.

**- შენს ხელფასს ფონდიდან არ ეხმარებიან?**

- ჩემი ხელფასი არის 615 ლარი და ეს ფონდი გარკვეულ დანამატს მაძლევს.

**- შენს ფუნქციებში მოსალოდნელი შეკითხვების განსაზღვრაც არის. როგორი შეკითხვები აღიზიანებს პრეზიდენტს?**

- ჯერ არ გამიგია შეკითხვა, რომელზეც პრეზიდენტი ღიზიანდება. მისი აზრით, ქართული მასმედია სწორად ვითარდება და ის გულისხმიერად ეკიდება ნებისმიერ ინტერესს. ვფიქრობ, კარგად ესმის, რომ ჟურნალისტის შეკითხვა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესს წარმოადგენს.

პრეზიდენტის ურთიერთობა თავის პრესმდივანთან არის ერთ-ერთი ინდიკატორი, თუ რამდენად გახსნილია ხელისუფალი, რამდენად ცდილობს, მისი საქმიანობა გამჭვირვალე იყოს. დასავლეთში პრესმდივანი ყველა მნიშვნელოვან შეხვედრას ესწრება და ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერია დამალული. ამ მხრივ, ჩვენთან კარგად არის საქმე. ჩემმა კოლეგებმა ნატოდან და ევროგაერთიანებიდან აღნიშნეს, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებაში ეს ტენდენცია ძალზე მისასალმებელია.

**- როგორია პრეზიდენტის მოთხოვნები პრესმდივნისადმი?**

- უპირველეს ყოვლისა, ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რას აკეთებს ახალი მთავრობა. აგრეთვე აუცილებელია, ამ ყველაფერზე პრეზიდენტმა ხალხის აზრი იცოდეს. მისი ძირითადი მოთხოვნა სწორედ ხალხთან მუდმივი კავშირია. ის ამბობს - ერთადერთი იმის მეშინია, რომ ჩემსა და ხალხს შორის არც ბიუროკრატიული და არც სხვა რაიმე კედელი აღიმართოსო.




## თეატრები

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ფრიდრიხ დიურენმატი
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი"
რეჟ. დავით ანდღულაძე
დას. 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
გიგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"ზეწოლა"
რეჟ. ზურაბ ქიქოძე
დას. 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟ. ლევან წულაძე
დას. 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ა. ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟ. გ. შალუტაშვილი
დას. 19:00 სთ.

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა 2004
დას. 19:00 სთ.

## კინოთეატრი

**ამირანი**
"ელფი" – 15:00 სთ.
"სიყვარული წესების გარეშე" – 17:30 სთ.
"მონსტრი" – 20:00 სთ., 22:30 სთ.

## გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
პერესტროიკიდან გადატრიალებამდე

**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

**ძველი გალერეა**
დათო ხიდაშელისა და ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშების და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი ქარვასლა**
ალექსანდრე როინაშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა – მესამე სართ.
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ჯემალ გვიმრაძის მემორიალური გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## თბილისური საღამოს ნოსტალგია

გუშინ კლუბ "ემიგრანტში" ღონისძიება "თბილისური საღამოს ნოსტალგია" მოეწყო. საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორის, კომპანია "თბილღვინოს" პიარ-სამსახურის ხელმძღვანელის ნინო ქვარიანის თქმით, ღონისძიების სტუმრები ქართველი შემსრულებლები დათო გომართელი, გიო ხუციშვილი და ეკა ჭაჭიაშვილი იყვნენ. მისივე თქმით, აღნიშნული პროექტის ავტორი მარინა ბერიძეა, რომელიც კლუბში პერიოდულად ცნობილ ქართველ ხელოვანებს იწვევს. საღამოზე მიწვეულ სტუმრებს ძველი თბილისის ტრადიცია და გარემო გაახსენეს.

## "თავისუფალი თეატრი" გასტროლებს გორში დაასრულებს

"თავისუფალი თეატრი" სპექტაკლით "მედეა" გასტროლებს ხვალ გორში დაასრულებს. თეატრის დირექტორის თორნიკე ღლონტის თქმით, თავისუფლმა თეატრმა გასტროლები აპრილის დასაწყისში სოფელ თამარაშენით დაიწყო, სადაც რამდენიმე სპექტაკლი წარმოადგინა.

გასტროლებზე თეატრმა საჩვენებლად სპექტაკლები "ქვრივთა ნუგეშისმცემელი", "ჰამლეტი", "მედეა", "კომედიანტები", "ტელემისტერია" და "ყველაზე დიდი სასწაული" წაიღო. "საქართველოს რეგიონებს ჩვენ ხშირად ვსტუმრობთ, რადგან მათი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს თბილისში ჩამოსვლის საშუალება არ აქვს", - აღნიშნა ღლონტმა. თეატრი პარალელურად თბილისშიც აგრძელებს მუშაობას.

## შექსპირის უიშვიათესი წიგნი „კრისტის" აუქციონზე 623 ათას დოლარად გაიყიდა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის უილიამ შექსპირის უიშვიათესი წიგნი ნიუ იორკში "კრისტის" აუქციონზე 623 ათას დოლარად გაიყიდა. 1619 წელს ლონდონში დაბეჭდილი კრებულის – "უილიამ შექსპირი, კომედიები, ისტორიები და ტრაგედიები", - მესამე გამოცემა ამერიკელმა შეიძინა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ამავე აუქციონზე 1619 წელს გამოცემული "ჰამლეტი" 276 ათას დოლარად გაიყიდა. მფლობელი მეორე ამერიკელი გახდა, რომელმაც, ასევე, ანონიმურად დარჩენა ისურვა.

აუქციონის შესანიშნავი შედეგების მიუხედავად, შექსპირის სხვა წიგნის მიერ დამყარებული რეკორდი ვერ მოიხსნა. 2001 წელს მწერლის ნაწარმოების პირველი გამოცემა მყიდველმა აუქციონზე 6 მილიონ დოლარად შეიძინა.

*ინტერ-პრესი*

# ხელოვანი საკუთარი ხელწერით

### ნათელა გრიგალაშვილის "არადისფუნქციური" ფოტოგრაფია

ნანა კობაიძე

ნათელა გრიგალაშვილის გამოფენის მოსაწვევი რომ მომიტანეს, ძალიან გამიხარდა. უპირველესად იმიტომ, რომ ნათელა კარგი ფოტოგრაფია (ამას ამ სფეროში ჩემზე გაცილებით კომპეტენტურები აღიარებენ). აქედან გამომდინარე, წინ საინტერესო სანახაობა მელოდა; მეორეც, ერთად ვმუშაობდით და, რასაკვირველია, ვგულშემატკივრობ (თუმცა, ამის გამო, ჩემი პოზიცია ნამდვილად არ არის სუბიექტური). მისი ნამუშევრები ყოველთვის იწვევს ემოციას, რაც ასე დააკლდა ექსპერიმენტებში გადავარდნილ თანამედროვე ქართულ ფოტოგრაფიას; ამასთანავე, ნაღდია და ალალი ისევე, როგორც მისი ნამუშევრების მთავარი თემა – სოფელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამიკვირდა, როდესაც მოსაწვევზე გამოფენის სახელწოდება წავიკითხე - "დისფუნქციური ქვეყანა" ცოტა ხელოვნური მომეჩვენა ნათელას ნამუშევრებისთვის; ასეთივე ხელოვნურობა იგრძნობოდა მოსაწვევზე დართულ ტექსტშიც, მაგალითად, ასეთი: "როცა რეალობის განუწყვეტლივ დევნას იწყებ, განცდა მისი თანამდევი პროცესია. დისკურსიულ, რეფლექსიის დონეზე ცდილობ, გაემიჯნო, გახვიდე ცნობიერების ზღვარს მიღმა – გაქრა სარკმელი. სარკმლიდან იჭრება ოთახში სინათლე, საგნები, რაობანი... ანუ ხდება რაობასთან, სინათლესთან, განმანათლებლობასთან კავშირი. ასეთი ფოტოგრაფია ძირეულად ცვლის მხატვრული სივრცის საზღვრებზე წარმოდგენას და, შესაბამისად - "ოპტიკური რეალობის" სტატუსსა და ენას". თქვენი არ ვიცი, მაგრამ ასეთი შეფასებების კითხვით, ცოტა არ იყოს, ვიღლები. ნათელას ფოტოები იმდენად სადა და მეტყველია, რომ მსგავს ხელოვნებათმცოდნეურ რემინისცენციებს არ საჭიროებს. ასე ფიქრობენ პირადად ჩემთვის ძალზე პატივცემული ფოტოხელოვანნიც, რომლებიც გუშინ გალერეა "კოპალას" სტუმრობდნენ.

გოგი ცაგარელის აზრი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის ძალზედ კარგი ფოტოხელოვანია. "საოცრად მიყვარს ნათელას ფოტოები, თუმცა ძნელია, განმარტო - რატომ. ყოველთვის ვამბობ, არ შეიძლება, გადაიღო მხოლოდ ადამიანი, უნდა დააფიქსირო მისი შინაგანი მდგომარეობა - სწორედ ეს სძენს ფოტოს ფასეულობას. გარდა ამისა, ნათელამ კარგად იცის ის თემა, რაზეც მუშაობს. რამდენიმე დღე ცხოვრობს სოფელში, აკვირდება მოვლენებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოგვცემს. ამაშია მისი ფოტოების მომხიბვლელობის საიდუმლო", - ამბობს ბატონი გოგი.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნათელა გრიგალაშვილი სოფელს არჩევს.*

თავად ნათელასთვის ქალაქგარეთ გასვლა და მოვლენებზე დაკვირვება, რამდენიმე წელია, ფუფუნებაა. როგორც ბევრი მისი კოლეგა, ისიც, ძირითადად, საარსებო წყაროსთვის მუშაობს. გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოების ნაწილი გასულ წლებშია გადაღებული. როგორც თვითონ ამბობს, ერჩივნა, საზოგადოების წინაშე ახალი ნამუშევრებით წარმდგარიყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ფოტოები მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვისაა ცნობილი, თამამად შეიძლება მათ ახალი ვუწოდოთ.

თუმცა, ძნელია, გამიჯნო ნათელას ძველი და ახალი ნამუშევრები, რადგან თემატიკა უცვლელია – ქართული სოფელი.

ჩვენი წერილის გმირს მიაჩნია, - ძალიან საინტერესო დროში ვცხოვრობთ, განსაკუთრებით - ფოტოგრაფებისთვის. თუმცა, დღეს ფოტოგრაფები მხოლოდ კანცელარიას და პარლამენტს იღებენ, არადა უამრავი კარგი თემა იკარგებაო.

**რატომ მაინცდამაინც სოფელი? პასუხი მარტივია იმიტომ, რომ ადამიანები იქ უფრო მეტად არიან გახსნილნი და არც ქალაქისთვის დამახასიათებელი აგრესია ახასიათებთ. ყოველ შემთხვევაში, არ მახსენდება, გადაღებისას პრობლემები შეექმნათ**

რატომ მაინცდამაინც სოფელი? პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ ადამიანები იქ უფრო მეტად არიან გახსნილნი და არც ქალაქისთვის დამახასიათებელი აგრესია ახასიათებთ. ყოველ შემთხვევაში, არ მახსენდება, გადაღებისას პრობლემები შეექმნათო. ნათელას ფოტოებიც გახსნილია, თუმცა - სევდიანი. თავადაც ამბობს, - ბედნიერი, გალაღებული და მხიარული ფოტოები ნაკლებად მაქვსო. ამის მიუხედავად, მისი ერთი სევდიანი ფოტო მეტად გამახსოვრდება, ვიდრე მავანთა ათასი "ძალით გაღიმებული" კადრი. ფოტოხელოვანი გია ჩხატარაშვილი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს არის ნათელა გრიგალაშვილის "საფირმო ნიშანი". "ნათელას აქვს საკუთარი ხელწერა, რომელშიც მისი სული ჩანს. იმდენად განიცდის თემას და სიუჟეტს, რომ ნამუშევარს მინიმალური ტექნიკური ხერხებით აკეთებს. ამ ფოტოებს ერთხელ რომ შეხედავ, აღარ დაგავიწყდება. ნაღდია, და ამიტომაც არის ფასეული", - ფიქრობს ბატონი გია.

დაბოლოს, ამ ნაღდი ფოტოების ფონზე, ისევ გამოფენის შეუსაბამო სახელწოდება ამომიტივტივდა. გაირკვა, რომ ნათელა აქ არაფერ შუაშია. "დამნაშავეები" არიან გამოფენის ორგანიზატორები. პროექტ "საზოგადოება და არტიმიჯების" (პროექტმა IRIS-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში – "ადამიანის უფლებები ქართული კულტურის ნაწილია" - გაიმარჯვა) ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ალექსანდრა გაბუნიამ განმიმარტა, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრი ცოტათი განსხვავებული იყო. მათ სურდათ, ერთ სივრცეში ეჩვენებინათ ამ პროექტის ფარგლებში გადაღებული ვიდეოფილმი ("რამდენიმე განმარტოებული კადრი რამდენიმე ეული არსებისა და საგნის შესახებ", რეჟისორი - ქეთევან გუჯაბიძე) და გაეხსნათ ნათელას გამოფენა. სამწუხაროდ, ტექნიკურად ეს არ მოხერხდა, გამოფენის სახელწოდება კი აღარ შეცვალეს.

ნათელა გრიგალაშვილის არადისფუნქციური ნამუშევრების ნახვა გალერეა "კოპალაში" 22 აპრილამდე შეგიძლიათ.

# ჩარლი ჩაპლინი - 115

### გუშინ ჩარლი ჩაპლინის კლუბში საიუბილეო საღამო გაიმართა

სალომე კიკალეიშვილი

*"უცებ გადავწყვიტე, ჩამეცვა ფართხუნა შარვალი, წელზე შემოჭერილი მოკლე ქურთუკი, ქვაბურა ქუდი დამეხურა, დიდი, ფრატუნა ფეხსაცმელები წამომეცვა და ხელში ჯოხი დამეჭირა. მინდოდა, რომ ყველაფერი უკუღმართად ყოფილიყო - ფართხუნა შარვალი და მოკლე ქურთუკი, პატარა ქუდი და დიდი ფეხსაცმელები. მაკ სენეტის წინაშე მედიდურად დავაბიჯებდი და თან დაუდევრად ვიქნევდი ჯოხს. ჩემი გმირი ხომ მრავალმხრივი კაცია: მაწანწალაც, ჯენტლმენიც, პოეტიც, მეოცნებეც და ეულიც, რომელიც მუდამ რომანტიკული სიყვარულის და თავგადასავლების ძიებაშია", – წერდა ჩარლი ჩაპლინი იმ პატარა, სასაცილო კაცუნაზე, რომელიც 10-იან წლებში მაქს სენეტის სტუდია "კისტოუნში" შექმნა. კაცუნაზე, რომელიც დღესაც გახალისებს და გაცინებს თავისი სულელური საქციელით თუ მოუქნელი მოძრაობებით.*

გუშინ ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შენობაში მოთავსებულ ჩარლი ჩაპლინის კლუბში საბავშვო კინოცენტრმა "ფიფქიამ" და მისმა ორგანიზატორებმა საიუბილეო საღამო მოაწყვეს. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საიუბილეო საღამო, არც ამ ღონისძიებას ჩაუვლია ტორტისა და ალკოჰოლური სასმელის გარეშე. ალბათ, ჩაპლინი ყველაზე ხნიერი იუბილარია, რომელსაც 16 აპრილს 115 წელი შეუსრულდა.



*ჩარლის საიუბილეო ტორტთან.*

პირველ სართულზე, მყუდროდ მოწყობილ ოთახში შესვლისთანავე თავი ჩაპლინის სამყაროში, ხოლო ფილმის ჩვენებისას 10-იან წლებში გეგონებოდათ, რადგან აქ წარმოდგენილი ხუთი ფილმი, რომლებსაც წელს 90 წელი შეუსრულდათ, ორგანიზატორებმა 16 მმ ფირით გაუშვეს. ყოველივე, იქნებოდა ეს წიგნები, ფიგურები, უძველესი კინოსაპროექციო აპარატურა, 16 თუ 35 მილიმეტრიანი ფირები, ჩაპლინის ფოტოები თუ მისი ფილმების სარეკლამო პლაკატები, რომლებიც საკმაოდ იყო გამოფენილი კლუბში, კინოცენტრის პრეზიდენტის ქალბატონ ლალი გორგასლიძის დამსახურებაა, რომელიც წლების მანძილზე ოჯახებიდან აგროვებდა ან უცხოეთიდან ჩამოჰქონდა ყველაფერი, რაც კი მის საყვარელ მსახიობთან იყო დაკავშირებული. "ჩარლი ჩაპლინი იმდენად დიდი ფიგურაა, რომ ძნელია, მასზე ისაუბრო. ყველაფერი, რაც კი აქაა წარმოდგენილი, წლების მანძილზე მაქვს შეგროვილი. ნელ-ნელა დაიბადა ჩაპლინის კლუბის შექმნის იდეა. სწორედ ჩარლი ჩაპლინი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომლითაც ჩვენი ახალი პროექტით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებთან კინოს, ხელოვნების გაცნობით დავიწყეთ ურთიერთობა. ყველაზე ძვირფასი ჩვენ კლუბში ქ. ქუთაისის სმენა და მეტყველებადაქვეითებულ ბავშვთა მიერ გამოგზავნილი ნახატებია, რომელთაც ისე შეუყვარდათ ჩარლი ჩაპლინი, რომ 115 წლისადმი მიძღვნილ საღამოზე თავისი ნახატები, თავისი ჩაპლინები გამოგვიგზავნეს. ჩარლის ენა ხომ ყველასთვის გასაგებია", – განაცხადა ქალბატონმა ლალიმ.

რაც შეეხება თავად კინოცენტრს, იგი 1989 წლიდან არსებობს და დღემდე უამრავი საიტერესო პროექტის ავტორია. სწორედ "ფიფქიას" ბაზაზეა გახსნილი "ქართული კინოს", "რუსული კინოს" კლუბები, "უოლტ-დისნეის" კლუბი (რომელსაც უკვე ორჯერ ჰყავდა ბავშვები წაყვანილი ლოს ანჯელესში, "დისნეი-ლენდში"), სხვადასხვა საიუბილეო საღამო, ჩვენებები. 2003 წლის აგვისტოდან კი ფუნქციონირებს ე.წ. მოძრავი ჩვენება, რომლითაც კინოცენტრი უკვე ეწვია საქართველოს რეგიონებს, ბავშვთა სახლებს, სკოლებს, რომლებიც არც ისე განებივრებულები არიან ეკრანზე ფილმების ყურებით. "ფიფქია" კი სწორედ მოზარდთა კულტურულ-ესთეტიკურ აღზრდას, კინოხელოვნების გაცნობასა და საქველმოქმედო ჩვენებების მოწყობას ისახავს მიზნად.

ამჟამად კინოცენტრი ქართული კინოს ისტორიის საარქივო მასალების მოძიება-დამუშავებას, თანამედროვე ახალგაზრდული კინოკატალოგის შექმნას, "კინოფილატელიის" კლუბის და მრავალი სხვა ღონისძიების განხორციელებას გეგმავს.

ისღა დაგვრჩენია, კინოცენტრ "ფიფქიასა" და მის აქტიურ ორგანიზატორებს კიდევ უფრო საინტერესო პროექტები და წარმატება ვუსურვოთ.

# როგორ გაჭავრდნენ რეივერები

რადგან ბერლინმა მათ მიღებაზე უარი განაცხადა, "სიყვარულის აღლუმის" ორგანიზატორები მომავალ წელს ჰამბურგში გადასვლით იმუქრებიან. "თუკი ბერლინმა მომავალ წელსაც არ გაამართლა, სხვა ქალაქს რამენაირად მოვძებნით. ჰამბურგი ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია," - განაცხადა "ლავ პარადის" ხელმძღვანელმა, ფაბიან ლენცმა გაზეთ "ჰამბურგერ აბენდბლატში".

ბერლინის სენატი აღლუმის ორგანიზატორებთან საუბრის გაგრძელებას გეგმავს, მაგრამ ტექნომსვლელობის დამაარსებელი, დოქტორ მოტე, ამ განცხადებას ფრიად სკეპტიკურად უყურებს. მას არ სჯერა, რომ ორ კვირაში მეტ-ნაკლებად მისაღები გადაწყვეტილება მომწიფდება. ეს გასაგებიცაა: ამ დროში დიდ ფინანსურ გარღვევას არაფერი ეშველება, ახალი სპონსორები ჯერჯერობით არ გამოჩენილან – "ყოველ წელს არ შეიძლება იმის იმედად ყოფნა, რომ



*„სიყვარულის პარადის" ისტორიიდან.*

სახელმწიფო ფულს გაიმეტებს, მით უმეტეს, რომ ის თავადაც არ გააჩნია".

ჰამბურგი "სიყვარულის აღლუმის" პერსპექტივით აშკარად კმაყოფილია. "თუკი ორგანიზატორები მოგვმართავენ, მათ შემოთავაზებას სიხარულით განვიხილავთ," - ითქვა "ჰამბურგერ აბენდსბლატში". "აღლუმი ძალიან მიმზიდველი სანახაობაა, და ბერლინელებისა ყველას გვშურდა".

გაზეთ "ბილდში" კი ნათქვამია, რომ "თუ ბერლინელები ვერ ხვდებიან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ღონისძიება, აღლუმი ჩვენთანაც მშვენივრად გაიმართება".

დოქტორი მოტე იმედოვნებს, რომ "აღლუმი არ მომკვდარა". რადიო "მულტიკულტიში" მან თქვა, რომ 600 ათასი ევროს არქონა მისი შეფერხების ერთადერთი მიზეზია.

პირველი "სიყვარულის აღლუმი" ტექნო-დიჯეი დოქტორ მოტემ 1989 წელს გამართა. მაშინ ბერლინის ქუჩებში, დევიზით "მშვიდობა, სიხარული, მაჭკატები" 150 ტექნოს მოყვარული ცეკვავდა. 1999 წელი "სიყვარულის აღლუმისთვის" სარეკორდო იყო – მონაწილეთა რაოდენობამ 1,5 მილიონს მიაღწია. 2000 წლის შემდეგ "სიყვარულის აღლუმს" სხვა ქალაქებშიც მართავენ, მათ შორის, ვენაში, თელავივში და მეხიკოში. წელს, 25 სექტემბერს, სიყვარულის დღესასწაულს სან ფრანცისკოშიც აღნიშნავენ.

# როგორ იწერება პიესა

ცნობილი ამერიკელი დრამატურგი არტურ მილერი 88 წლისაა, მაგრამ გაცილებით უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მასზე ბევრად ახალგაზრდა მწერლები. ახლაც კი ნიუ იორკელი მაყურებელი მისი ორი პიესის თეატრალურ ვერსიას უყურებს. გარდა ამისა, სან დიეგოს "ოლდ გლოუბის" თეატრში მილერის Resurrection Blues-ის გადაკეთებულ ვერსიას თამაშობენ. შემოდგომაზე კი ჩიკაგოს გუდმანის თეატრში მილერის სრულიად ახალი პიესის Finishing the Picture მსოფლიო პრემიერა გაიმართება. მანამდე ბროდვეიზე After the Fall-ის განახლებულ ვარიანტს იხილავენ. ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისი მთავარი გმირი ქალი მერილინ მონროს პროტოტიპი გახლავთ. საერთოდ, მონრო გარდა იმისა, რომ არტურ მილერის საყვარელი ცოლი იყო, ექსკლუზიურად მისი მსახიობიც გახლდათ. სწორედ მონრო თამაშობდა ერთ-ერთ მთავარ როლს მილერის პიესის Misfits-ის მიხედვით გადაღებულ ფილმში (კლარკ გეიბლთან ერთად).

"მე უცნაურად ვწერ. ვიწყებ ერთ პიესაზე მუშაობას, მერე გვერდზე გადავდებ და სხვაზე გადავერთვები", - ასე განმარტავს მილერი "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტთან ინტერვიუში თავისი პროდუქტიულობის მიზეზს; ანუ გამოდის, რომ კონექტიკუტის შტატში, დიდი დრამატურგის მყუდრო ბინაში უამრავი იდეა და დაწყებული ნაწარმოები ინახება. ისინი მშვიდად განისვენებენ თაროებზე და ელიან რაღაც ქვეცნობიერი, მოულოდნელი მუხტის გამოჩენას, რომელიც ავტორს მათთან დააბრუნებს.


მერლინ მონრო და არტურ მილერი.

მაგალითად, მილერის ბოლო პიესა Finishing the Picture მთელი ათი წლის განმავლობაში ელოდა მისგან გაქცეულ შემოქმედს – მილერმა წერა დაიწყო და მეოცე გვერდზე მოულოდნელად გაიყინა. რამდენიმე წლის შემდეგ ის მტვრით დაფარულ ფურცლებს კვლავაც მიუბრუნდა. ამას ავტორი, ნაწილობრივ, პრეზიდენტ რონალდ რეიგანს უნდა უმადლოდეს. სწორედ რეიგანის კარიერამ – კინოს გადასაღები მოედნიდან პოლიტიკასა და თეთრ სახლში, უბიძგა მილერს ვრცელი და საინტერესო თემისკენ, რომელიც თვითონ ასე დაასათაურა – პოლიტიკისა და თეატრის ურთიერთდამოკიდებულება.

ამ საკითხის შესახებ დრამატურგმა ვაშინგტონში რამდენიმე წლის წინ ლექციაც წაიკითხა და შემდეგ ეს ნააზრევი მცირე ზომის წიგნად აქცია. მან პოლიტიკოსი განიხილა, როგორც მსახიობი და მსახიობი, როგორც პოლიტიკოსი (არაპროფესიონალების, მათ შორის, ჯორჯ ბუშის ჩათვლით). საბოლოო ჯამში კი, დაასკვნა, რომ მსახიობი თანაბრად არის, როგორც სოციალური, ისე კულტურული ფენომენი. მილერმა დაასკვნა და სწორედ მაშინ გაახსენდა, რომ დიდი ხნის წინ დაწყებული და თაროზე ობლად შემოდებული Finishing the Picture ჯიუტ, მეამბოხე მსახიობ ქალზე იყო; თანაც, ეს დაუმთავრებელი პიესა მეტაფორაც გახლდათ იმის შესახებ, რომ ძალაუფლებაც წარმოდგენაა და შოუა.

"ჩვენ ქვეყანას მსახიობები განაგებენ, - გვიყვება მილერი, - თამაშის მიღმა კი რაღაც სიკვდილის როკვის მსგავსიც ხდება. პოლიტიკოსები მუდამ ცდილობდნენ, ხალხისთვის თავი იმ პიროვნებებად მოეჩვენებინათ, რომლებიც სინამდვილეში არ იყვნენ. როცა ამ თემაზე ვსაუბრობ ხოლმე, ყოველთვის ძველი რომაელები მახსენდება. მათ რიტუალიზებული პერფორმანსის ძალა ხომ შესანიშნავად იცოდნენ. თუმცა, რატომ მარტო რომაელები - ამ ძალაუფლებას ყველა კულტურა ფლობს. უბრალოდ, მე მანცვიფრებს ის ფაქტი, რომ ამ თამაშს ჩვენი ქვეყანის ხელმძღვანელები ასე ღიად, უხეშად და უბოდიშოდ თამაშობენ".

ინტერვიუს ბოლოს არტურ მილერი დრამატურგიაზე საუბრობს და აცხადებს: "მე დღემდე ძალიან ვაფასებ ამ ფორმას. პიესის წერა უდიდესი ადამიანური თავგადასავალი გახლავთ... რაც მთავარია, საჭირო არაა, რაღაც მექანიზმები, ხელსაწყოები. დრამატურგია ძალზედ პრიმიტიული ხელოვნებაა და მთელი მისი მომხიბვლელობაც ამ პრიმიტივიზმში იმალება".

დაბოლოს, გაინტერესებთ, მუშაობს თუ არა 88 წლის მწერალი ახალ პიესაზე? მილერი გვპასუხობს: "ალბათ, ვმუშაობ, მაგრამ ჯერ ვხვდები".

# რა დააშავა საზაფხულო და ტკბილმა სურნელმა?

### რას ნიშნავს, როცა არ გაქვს კუნძული

თამარ ბაბუაძე

"ესკადას" ახალი საგაზაფხულო სუნამოს ქართულ პრეზენტაციაზე, "ისი პარიში", არ ჰქონიათ კუნძული და ზღვა, მზე და მუსიკა, არ მოუყვანიათ არც თეთრ ჯინსში გამოწყობილი და თმაში ყვავილებჩაწნული გოგონები. თუმცა, დამსწრეთ მზიან კუნძულზე ყოფნის ასოციაცია მისვლისთანავე შეექმნათ. თბილისის მტვრიანი ქუჩებიდან ეგეოსის ზღვაში, მიკონოსის კუნძულზე "ესკადას" ბოლო სუნამომ "აილენდ ქისმა" (Island Kiss) გადაგვასახლა. თავიდან წამოვიდა მანგოსა და ფორთოხლის მგრძნობიარე, ტკბილი სურნელება, რომელიც მოგვიანებით მაგნოლიასა და თეთრი ატმის ნაზავმა შეცვალა, დაბოლოს, "ესკადასთვის" დამახასიათებელი გრილი და თან საზაფხულო არომატი დარჩა.

განწყობა პრეზენტაციაზე ნაჩვენებმა ვიდეორგოლმაც გაამძაფრა. სუნამოს სარეკლამო კლიპის გადასაღები მოედანი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ემ-ტი-ვი-ს რომელიმე ცხელი ათეულისთვის ზღვის ნაპირზე ჩაწერილი გადაცემა. თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა – "ესკადას" ბოლო სუნამო, მართლაც, ისეთი ახალგაზრდული და "ემტივური" აღმოჩნდა, რომ საზაფხულო არდადეგების დროულად დადგომა ყველას ანატრებინა.

"აილენდ ქისი" ევროპაში ორიოდე თვის წინ გამოვიდა. ის "ესკადას" გაზაფხული/ზაფხულის ტანსაცმლისა და აქსესუარების კოლექციის ნაწილია. ეს ნოვატორული ტრადიცია 1993 წლიდან დამკვიდრდა. მაშინ კომპანიის მესვეურებმა გადაწყვიტეს, სუნამოები კოლექციების ორგანულ ნაწილად მოეაზრებინათ და სურნელიც ზუსტად იგივე ფერების, განწყობისა და სტილის მიხედვით შეექმნათ, რასაც მათი სამოსი გადმოსცემდა. ასე ქმნიდნენ გაზაფხული/ზაფხულისა და შემოდგომა/ზამთრის შესაბამის არომატებს ამ სეზონების კოლექციებთან ერთად. შეგახსენებთ, რომ სეზონური სუნამოების გამოშვება აბსოლუტურად ნოვატორული იდეა გახლდათ, რისთვისაც "ესკადას" საგანგებო ჯილდოც გადაეცა.

თბილისში კი ჯერაც იყიდება "ესკადას" შარშანდელი საზაფხულო სუნამო "იბიცა ჰიპი". როგორც სათაურიდან ხვდებით, ეს არომატი კუნძულ იბიცას და გართობა-დასვენების იქაურ სტილს, იქაურ ზღვის ტალღებს და ბუნებას მიეძღვნა. წელს სურნელის ავტორი, წარმოშობით შოტლანდიელი ბრაიან რენი უკვე ეგეოსის ზღვაში გაბნეული კუნძულებიდან ერთ-ერთს – მიკონოსს ესიყვარულება.



მიკონოსის კუნძულის სურნელი.

რა პრინციპით არჩევს რენი კუნძულებს და რატომ, საერთოდ, კუნძული? – საქმე ის გახლავთ, რომ უკვე რამდენიმე წელია, გაზაფხული/ზაფხულის სუნამოებსა და კოლექციებს ის იმ შთაბეჭდილებებზე აფუძნებს, რომელთაც ზაფხულში დასვენებისას აგროვებს ხოლმე. ასე რომ, სიტუაციას ნათელი ეფინება: რენიმ იბიცაზე დაისვენა და "იბიცა ჰიპი" შექმნა; ერთხელ ფრანგულ პროვანსში წავიდა და "სამერ ინ ფროვანს" მოიგონა; გასულ ზაფხულს მიკონოსს სტუმრობდა და იქ მიღებული შთაბეჭდილებები ახალ სუნამოდ – "აილენდ ქისად" აქცია.

ერთი სიტყვით, ოდნავ სახალისო სიტუაცია იქმნება – საზოგადოებას ერთი კაცის (თუნდაც, ის ამაყი შოტლანდიელი და ფანტაზიით სავსე ადამიანი იყოს) საზაფხულო შვებულების შთაბეჭდილებები სუნამოს საშუალებით გადაეცემა... მეტიც, რენი ამ შთაბეჭდილებებს ფლაკონში და პლაკატშიც აქსოვს. მოცისფრო-მოვარდისფრო ფლაკონს "ესკადას" საფირმო ნიშნად ქცეული გულის ფორმა აქვს და გართობისკენ გვიბიძგებს. ფოტოზე კი ცისფერი და თეთრი ფერი ჭარბობს – ცისფერი, რენის განმარტებით, ეგეოსის ზღვის ტალღების ფერი ყოფილა, თეთრი კი – სახლების ფერი – თურმე, მიკონოსზე სულ თეთრი ბერძნული სახლები დგას.

რაც შეეხება "ესკადას" გაზაფხული/ზაფხულის კოლექციას, მის დათვალიერებას საქართველოს სინამდვილეში, ალბათ, ვერ შეძლებთ. თუმცა, კატალოგის გადახედვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ "ესკადას" ახალი აქსესუარები და სამოსიც ზუსტად ასეთივე მხიარული და ეგზოტიკური განწყობითაა შექმნილი. რაც შეიძლება მეტი სიჭრელე, თეთრი ჯინსი, ვარდისფერი, ფორთოხლისფერი პომადები, წვრილქუსლიანი, ღია სანდალი, ჭრელი ჩანთა, თავზე ბაფთები, შიფონის შარფები... – ერთი სიტყვით, ყველაფერი მზიანი და ცხელი კუნძულებისკენ გვიბიძგებს.

თუმცა, პრეზენტაციაზევე დაისვა ერთი "ქართული" პრობლემა – ჩვენთან ასეთ მხიარულ არომატებს ბევრი არ სწყალობს. ზაფხულში თბილისელებს გრილი და მშვიდი სურნელები ურჩევნიათ – პარფიუმერული მაღაზიების გამოცდილება ამაზე მეტყველებს. იქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ საქართველოს კუნძული არ აქვს და ხალხს კი – იმის საშუალება, რომ დასასვენებლად, თუნდაც, ბრაიან რენის მიერ გაღმერთებულ მიკონოსზე წავიდეს. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, ვინატროთ – საქართველოს თავისი ზღვისპირეთის მთლიანობა მაინც მალე აღედგინოს, თუ ერთ პატარა, თეთრ და მხიარულ კუნძულს არავინ გვაჩუქებს.

# ამერიკის 52-ე მზეთუნახავი

მას შემდეგ, რაც კინო არსებობს, "ოცნებების ფაბრიკა" - ჰოლივუდი ქალის იდეალური სახის შექმნას ცდილობს. თუკი დღეს ტელემაყურებელს სერიალების ვარსკვლავები, ვთქვათ, სარა ჯესიკა პარკერი მოსწონთ, უწინ ლამაზ ქალებად ელიზაბეტ ტეილორს თუ დორის დეის თვლიდნენ, და სილამაზის დედოფლის წოდებისთვის მებრძოლნიც სწორედ მათზე აკეთებდნენ სწორებას.

ასე, ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე შეერთებული შტატების სილამაზის კონკურსებში სამმა ლიზ ტეილორის ალი-კვალმა გაიმარჯვა. ადრეულ სამოციანებში "ამერიკის შეერთებული შტატების ულამაზესი ქალის" წოდება, დორის დეის მსგავსად, ქერად შეღებილმა ქალებმა მოიპოვეს.

პატარა გოგოს, უფრო სწორად, დაუდგენელი სქესის მოზარდის სხეული სამოციანების მიწურულს გახდა მოდური. გოგონებმა თმაც დაიგრძელეს. მაგრამ, უცებ გაირკვა, რომ ქალები არა მარტო გახდნენ, არამედ გააქტიურდნენ კიდეც. მათ არა მარტო კინოში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც აღარ აკმაყოფილებდათ ვინმეს მეუღლის, ასულის თუ შეყვარებულის როლი. ჩაითვალა, რომ ქალმა ბევრი უნდა ივარჯიშოს, რომ დაკუნთული სხეული მისი აუცილებელი ატრიბუტია, და ენამოსწრებულობა და პროფესიონალიზმი ჭეშმარიტ "მისს" სახეზე უნდა ეტყობოდეს. 1975-1977 წლების ამერიკის ლამაზმანები სწორედ ასეთები იყვნენ.


მირიამ სტივენსონი - პირველი მისს ამერიკა. 1954.

ოთხმოციანების ქალებს განიერი მხრები და წვრილი წელი ჰქონდათ. ყველაფერ ამას ტალღოვანი (ფენით დაყენებული) თმა აგვირგვინებდა.

1993 წელს, პირველად შეერთებული შტატების სილამაზის კონკურსის ისტორიაში დედოფლის წოდება შავკანიანმა ქალმა მოიპოვა. ჰოლი ბერის სილამაზის გავლენით კი, 2002 წლის "მის აშშ" ზედგამოჭრილი "ბონდის გოგონა" იყო.

წლევანდელი ლამაზმანიც მეტისმეტად ჰგავს კინოვარსკვლავს, "ოსკაროსან" შარლიზ თერონს. 25 წლის, ქერათმიანი და ლურჯთვალება, 1,77 მეტრის სიმაღლის შენდი ფინესი მინესოტას შტატის მკვიდრია. ნაზი და აქროლადიაო, - ნამდვილად ვერ დააბრალებთ - ის მაკდონალდსის მენიუს დიდი ტრფიალი ბრძანდება. მას საუნივერსიტეტო განათლება აქვს, ფსიქოლოგია, და საბავშვო წიგნიც აქვს დაწერილი.

როცა თავისი გადედოფლების ამბავი შეიტყო, მას არც გული წასვლია, არც ნიკაპი აჰკანკალებია და არც სახეზე აუფარებია ხელები. შენდი გიჟივით ხტოდა, გვირგვინს იქნევდა, მოკლედ, სავსებით ადეკვატური იყო.

წოდების გარდა, მას ბევრი რამ ჰქონდა გასახარელი: ბინა ნიუ იორკში, საკუთარი შემოსავალი და თორმეტი თვის განმავლობაში მრავალი საინტერესო მოგზაურობა. გარდა ამისა, შენდის შეუძლია, ორი წელიწადი ნიუ იორკის კინო და ტელესკოლაში ისწავლოს, და 1 ივნისს "მის მსოფლიოს" კონკურსზე, ეკვადორში ამოჰყოს თავი.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| გოჩა მანველიძე | "შელეხი" | შ.პ.ს. "თბილისელები" | 3.6 |
| დათო მაღრაძე | "პოეტი+" | საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი | 3.6 |
| გოჩა მანველიძე | "სარანგი" | შ.პ.ს. "თბილისელები" | 1.6 |
| რეზო გაბრიაძე | კრებული | "პრომეთეს ქვა" | 1.2 |
| მაკო ჯანჯღავაშვილი | "კულტუროლოგია XX საუკუნე" | "წყაროსთვალი" | 1.2 |
| გიორგი მაისაშვილი | "ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის" | | 1.2 |
| | "სამი გოჭი" | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.2 |
| ალექსანდრე რონდელი | "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში" | "მეცნიერება" | 1.2 |
| ირაკლი წერეთელი | "სოჭამოუკის ქამინდელი ლექსები" | | 1.2 |
| ლადო ასათიანი | "ცისის სიმშარი" | "ლიტერა" | 1.2 |



### საუკეთესო თანამედროვე სიმღერები ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | ჩარტებში გატარებული კვირა |
|---|---|---|
| ჯოშ გრობანი | You Raise Me Up | 25 |
| შერილ ქროუ | The First Cut Is The Deepest | 27 |
| დაიდო | White Flag | 32 |
| Five For Fighting | 100 Years | 16 |
| შენია თვაინი | Forever And For Always | 50 |
| "თრეინი" | Calling All Angels | 40 |
| მაიქლ მაქდონალდი | Ain't No Mountain High Enough | 24 |
| "მეჩბოქს თვენთი" | Unwell | 48 |
| ანქლ ქრეკერ და დუბი ბრო | Drift Away | 57 |
| მარტინა მაკბრაიდი | This One's For The Girls | 12 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| ქრისტეს ვნებანი | მელ გიბსონი | ჯეიმს კავიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 15,216,723 | 353,006,351 |
| ბიჭი-ჯოჯოხეთიდან | გილერმო დელ ტორო | რონ პერლმანი, სელმა ბლეარი, ჯონ ჰარტი | 10,824,129 | 40,828,171 |
| ჯონსონების შვებულება | კრისტოფერ ერსკინი | სედრიკ ენტერტეინერი, სოლანჟ ნოულსი | 9,375,307 | 11,814,504 |
| ალამო | ჯონ ლი ჰენკოკი | დენის ქუეიდი, ბილი ბობ თორნტონი, ჯეისონ პატრიკი | 9,124,701 | 9,124,701 |
| Walking Tall | კევინ ბრეი | დუეინ "როკ" ჯონსონი, ჯონი ნოქსვილი, ეშლი სკოტი | 8,442,008 | 28,953,156 |
| Home on the Range | უილ ფინი, ჯონ სენფორდი | ჯუდი დენჩი, სარა ჯესიკა პარკერი, კუბა გუდინგი | 8,105,171 | 27,418,973 |
| სკუბი-დუ-2 | რაჯა გოსნელი | მეთიუ ლილარდი, ფრედი პრინცი, ალისია სილვერსტოუნი | 8,015,496 | 62,878,150 |
| მთელი ათი იარდი | ჰოვარდ დოიჩი | ბრიუს უილისი, მეთიუ პერი, ნატაშა ჰენსტრიჯი, ამანდა პიტი | 6,685,381 | 6,685,381 |
| მოჯადოებული ელა | ტომი ო'ჰევერი | ენ ჰეთევეი, ჰიუ დენსი | 6,169,030 | 6,169,030 |
| მეზობელი გოგონა | ლუკ გრინფილდი | ემილ ჰირში, ელიშა კატბერტი | 6,003,806 | 6,003,806 |

ფეხბურთი

www.pfl.ge

# "დინამო" გონს მოდის

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის ლამის მთელმა პირველმა წრემ ისე ჩაიარა, რომ თბილისის "დინამოს" გამარჯვება არ უზეიმია. როგორც იქნა, შუშაკის გუნდმა ნავსი გატეხა და გუშინ პირველი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში, რითაც მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

საქართველოს ჩემპიონისა და ჩემპიონობის მთავარი მაძიებლის მეტოქე გორის "დილა" იყო. როგორც ჩანს, გორელებს ფინალურ ექვსეულში მოხვედრით საჩემპიონატო "პროგრამა მაქსიმუმი" უკვე შესრულებული აქვთ და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას არ აპირებენ. წინა ტურში "დილამ" საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით 0:4 წააგო მატჩი "სიონთან", რითაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა სერიოზულად დაძაბა. ამჯერადაც ქართლელებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ზედიზედ 4 წარუმატებელი თამაშით გაღიზიანებულ "დინამოს". მასპინძლებმა 5 უპასუხო გოლი (გოგობერიშვილი 16`, ანჩაბაძე 56`, და როჩა 63`, ბობოხიძე 71`, იაშვილი 90`) გაიტანეს მეტოქის კარში. განსაკუთრებით ლამაზი "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელის, ალექსანდრე იაშვილის მიერ შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილი გოლი გამოდგა. მოედნის ცენტრში ბურთის დაუფლების შემდეგ იაშვილი დრიბლინგით და ცრუ მოძრაობით გასცდა "დილას" ლამის ნახევარ შემადგენლობას, მეკარეც მოატყუა და გოლი გაიტანა, რითაც ტრიბუნებზე შეკრებილ მცირერიცხოვან გულშემატკივარს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების კარში მარადონას მიერ გატანილი ულამაზესი გოლი გაახსენა.

მატჩში საუკეთესო იყო "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი მიხეილ ბობოხიძე, რომელმაც, იმის გარდა, რომ გოლი გაიტანა, ფლეიმეიკერის ფუნქციაც შეითავსა: და როჩამ და ანჩაბაძემ სწორედ მისი ზუსტი პასების მერე გაიტანეს გოლები.

თამაში იმითაც აღინიშნა, რომ ტრავმა მოიშუშა და შეცვლაზე ითამაშა საქართველოს ნაკრებისა და "დინამოს" გარემარბმა, ლადო ბურდულმა. გადამწყვეტი, მეორე ეტაპის დაწყების წინ ბურდული სერიოზული შევსებაა შუშაკის გუნდისთვის.

"თამაშამდე ჩემი ფეხბურთელები დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყვნენ, ამიტომ პირველ ტაიმში "დინამოს" თამაშს მცირე ნერვიულობა ეტყობოდა. თან, მხოლოდ ერთი გოლი გავიტანეთ და რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილმა მეორე გოლმა დაძაბულობა მოგვხსნა და ჩემმა გუნდმა საქმე დამსახურებულ გამარჯვებამდე მიიყვანა. როგორც იქნა, წარუმატებელი თამაშების სერია შევწყვიტეთ, რისთვისაც ჩემს ბიჭებს დიდ მადლობას ვუხდი", - განაცხადა მატჩის შემდეგ ივო შუშაკმა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ბოლნისში, სადაც პირველ ადგილზე მყოფმა "სიონმა" "თბილისს" უმასპინძლა. მთავარი მოვლენები პირველ ტაიმში განვითარდა. 30-ე წუთზე გიორგი ჭელიძემ გახსნა ანგარიში და სტუმრები დააწინაურა. თუმცა, ტრაიმის მიწურულს სიჭინავამ წონასწორობა აღადგინა და საკუთარ გუნდს პირველი პოზიცია შეუნარჩუნა.

ჩემპიონობის კიდევ ერთმა მაძიებელმა, თბილისის" ვიტ ჯორჯიამ" ქალაქურ დერბიში სტუმრად, მინიმალური ანგარიშით, ადამიას გოლით დაამარცხა (1:0) "ლოკომოტივი" და ქულებით "სიონს" გაუთანაბრდა.

31-31 ქულა დააგროვეს "სიონმა" და "ვიტ ჯორჯიამ", "დინამო" - 30, თბილისი - 27, "ლოკომოტივი" და "დილა" – 19-19.

შემდეგ ტურში შეხვდებიან: "ლოკომოტივი" - "დინამო", "სიონი" - "ვიტ ჯორჯია", "თბილისი" - "დილა".

ფორმულა 1

# იმოლა - ოცნებების სასაფლაო

ნინო პირველი

25 აპრილს ფორმულა 1-ის მეოთხე რბოლა უნდა გაიმართოს. ეგზოტიკური ბაჰრეინის შემდეგ ფორულას საჯინიბოები ისევ კარგად ნაცნობ სან-მარინოს უბრუნდებიან. იმოლას საბედისწერო ტრასა, სადაც არაერთი ავარია მომხდარა, კვლავაც ფორმულას კალენდარში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ბერნი ეკლსტოუნს ამ სეზონშივე სურდა ენცო და დინო ფერარების სახელობის "სასაფლაოს" დახურვა. ამ ტრასის სიგრძე 4.933 კილომეტრია და 62 წრისგან შედგება. იმოლას ანტიკურ ხანაში ფორუმ კორნელი ერქვა. ჯერ კიდევ 80 წელს ქრისტეს დაბადებამდე ფორუმ კორნელიში მოსახლეობის მთავარი გასართობი ამფითეატრში მოწყობილი ცხენების შეჯიბრება იყო. მეოცე საუკუნეში ცხენები ავტომობილებმა შეცვალა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში მყოფ იტალიაში, ალბათ, ვერავის წარმოედგინა ისეთი არისტოკრატიული გართობა, როგორიც მანქანებისა თუ მოტოციკლების შეჯიბრება იყო, მაგრამ ოთხ ენთუზიასტს: ალფრედო კამპანოლის, გრაციანო გოლინელის, უგო მონტევეკის და გუალტიერო ვიგის უცნაური იდეა დაებადათ: იმოლას ბორცვებსა და რუხ მთებს შორის სამანქანო ტრასის აგება გადაწყვიტეს... მაშინ ფორმულას ბოლიდებზე არავინ ფიქრობდა. იმოლელ აქტივისტებს, უბრალოდ, მოტოციკლების შეჯიბრების მოწყობა უნდოდათ, მაგრამ, უნებურად, ფორმულას ყველაზე სახიფათო ტრასას ჩაუყარეს საფუძველი. მშენებლობა 1952 წელს დაიწყო და, ცოტა არ იყოს, გაჭიანურდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორგანიზატორები გარკვეულ ბიუროკრატიულ პრობლემებს აწყდებოდნენ, რაც მუშაობას აფერხებდა. 1952 წლის ოქტომბერში პირველი საცდელი რბოლები ჩაატარეს. 1953 წლის 25 აპრილს კი იმოლაში იტალიის ჩემპიონატი გაიმართა მოტოსპორტში. ერთი წლის შემდეგ ტრასაზე უკვე ავტომობილები გავიდნენ. მაშინვე წარმოიშვა მწვავე კონკურენცია "ფერარისა" და "მაზარეტის" შორის. ამ რბოლამ 12 მილიონი ლირის მოგება მოიტანა. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ იმოლას ტრასას დიდი მომავალი ჰქონდა. 1963 წლის 21 აპრილს იმოლამ პირველად უმასპინძლა ფორმულა 1-ის არაოფიციალურ რბოლას. იტალიელთა სამწუხაროდ, ამ შეჯიბრების გამარჯვებული უცხოელი ჯიმ კლერკი გახდა. "ფერარი" იმ წელიწადს საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას ტურნირში. 1965 წელს დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარეს და ტრიბუნები კონფორტულად მოაწყვეს. 1980 წელს იმოლას ტრასა მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში შევიდა, ერთი წლის შემდეგ კი სან-მარინოს გრან პრი დაწესდა. 1989 წელს იმოლაში მოხდა პირველი მძიმე ავარია, რომელიც "იმოლას სასწაულის" სახელით შევიდა ფორმულას ისტორიაში. "ფერარის" პილოტმა გერჰარდ ბერგერმა ტამბურელოს მოსახვევში მანქანა ვეღარ დაიმორჩილა. ცეცხლწაკიდებული ბოლიდიდან თავდაღწეულმა პილოტმა ისიც კი შეძლო, რომ სირბილით გასცლოდა შემთხვევის ადგილს. იმ დღეს ბერგერი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს, ხუთი წლის შემდეგ კი მის ორ კოლეგას უკვე აღარ გაუმართლა. 1994 წელი ყველაზე ტრაგიკული იყო იმოლას ტრასის ისტორიაში: ორ დღეში ორი მძიმე ავარია! 30 აპრილს, საკვალიფიკაციო რბოლისას, მოხდა უბედური შემთხვევა, რომელმაც რონალდ რაცენბერგერის სიცოცხლე შეიწირა. 1 მაისს კი, რბოლის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ფორმულას სახელოვანმა ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ დაასრულა სიცოცხლე იმოლას "ოცნებების სასაფლაოზე". ამ ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ იმოლას ტრასამ ცვილელება განიცადა: 1996 წელს ვილნევისა და ტამბურელოს მოსახვევები დაკეტეს და მათ ნაცვლად ორი ახალი მოსახვევი დააპროექტეს. ამის შემდეგ იმოლაში საშინელი აღარაფერი მომხდარა, მაგრამ ეს ტრასა მაინც ერთი-ერთი ყველაზე სახიფათო და რთულია ფორმულას კალენდარში. შარშან სან-მარინოს გრან-პრი მოიგო მიხაელ შუმახერმა, რომლისთვისაც იმ დღეს საშინლად მძიმე იყო ტრასაზე გასვლა - წინა ღამით ძმებ შუმახერებს დედა გარდაეცვალათ.

რა მოხდება ამჯერად? "ფერარის" გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან ამ რბოლას. რა თქმა უნდა, იმოლაში დამსწრე საზოგადეობის უმრავლესობა სწორედ იტალიელები იქნებიან - "ფერარისა" და მიხაელ შუმახერის ტიფოზები, რომლებიც "სკუდერიისგან" მხოლოდ ერთს ითხოვენ: ბრწყინვალე გამარჯვებას. გასულ წელს მიხაელ შუმახერის საჩემპიონო მსვლელობა სწორედ იმოლადან დაიწყო: უფროს "შუმის" სან-მარინოში ჩასვლამდე ერთი რბოლაც კი არ ჰქონდა მოგებული. ახლა შუმახერს ასე ნამდვილად აღარ უჭირს. სეზონის სამივე გრან-პრი უკვე მისი საკუთრებაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, "ფერარი" უარს არ იტყვის კიდევ ერთ გამარჯვებაზე, მით უმეტეს, იმოლაში. "ფერარის" მეტოქეებისგან დიდი სიახლეები არ არის მოსალოდნელი. კრიზისში მყოფი "მაკლარენ-მერსედესი" ახალი ბოლიდის გამოყვანას ივლისში, ჰოკენჰაიმის რბოლის დროს გეგმავს. "უილიამსი", "ბარი" და "რენო" ისევ ძველი რესურსებით გადიან ტრასაზე. სხვათა შორის, იმოლას რბოლა სულაც არ ითვლება გრანდების საყვარელ ტურნირად. აქაური ტრასის მისახვევ-მოსახვევები იმდენად თავისებური და დამაბნეველია, რომ დიდი საჯინიბოების პილოტები ხშირად იმტვრევენ კისერს, რაც ნაკლებად წარმატებულ გუნდებს ქულების აღების შესანიშნავ შანსს აძლევს. ვნახოთ, ამჯერად როგორ განვითარდება მოვლენები...

სუმო

# „შავი ზღვა" იაპონიაში

გიგა გურასაშვილი



ლევან ცაგურია (კოკაი) სტუმრად „24 საათის" რედაქციაში.


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტოები

"24 საათის" რედაქციის კედლებს არაერთი სტუმარი უნახავს. ფაქტობრივად, ყველა პროფესიის, მაგრამ ჩვენი დღევანდელი სტუმრის მსგავსი ინტერესი თუ ეფექტი არც ერთ წინამორბედს არ გამოუწვევია.

19 წლისამ ტოკიოში ამოყო თავი. ორ წელიწადში აიარა სუმოს იერარქიული საფეხურები და უკვე მეორე წელიწადია, მეექვსე ელიტარულ ჯგუფშია. ისაა კლუბის გამწევი ძალა. ბეჯითი შეგირდი, იმედი და სახე. სთხოვენ იაპონიაში დარჩენას და ოინტე კაზებიას (ქარიშხალი) ანუ იმ კლუბის ჩაბარებას, რომლის ღირსებასაც იცავს, მაგრამ... აცვია კიმონო და ატარებს ჩომაგის. ქუჩაში სცნობენ და ავტოგრაფებს სთხოვენ. ჰყავს საკუთარ გულშემატკივართა გუნდი. ერთი სიტყვით, გაიცანით ლევან ცაგურია, ანუ, როგორც იაპონიაში ეძახიან, კოკაი, იგივე "შავი ზღვა".

**- ბუნებრივია, სუმოს ბავშვობიდან არ მისდევ. სპორტის რომელ სახეობას მისდევდი და წარმატებები თუ გქონდა?**

- ცხრა წლისა თავისუფალ ჭიდაობაზე მიმიყვანეს. მაშინ აფხაზეთში ვცხოვრობდი. ომი რომ დაიწყო, თბილისში ჩამოვედი. ამასობაში წელიწადი გამიცდა. მერე ისევ დავუბრუნდი ხალიჩას და საქართველოს ჩემპიონი გავხდი. საერთაშორისო ტურნირიც მოვიგე.

**- თუ ასეა, რატომ გაცვალე ფინკა მაოშზე და, საერთოდ, როგორ მოხვდი საჭიდაო ხალიჩიდან დოხიოზე?**

- როდესაც ლევან ებანოიძე, ასევე ყოფილი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, არაპროფესიულ სუმოში გადავიდა, სუმოს ფუძემდებლებთან კონტაქტები დაამყარა. არაპროფესიული სუმო იაპონიაშიც არსებობს. იაპონელებთან ურთიერთობის გაღრმავების შემდეგ მათ ჩემი თავი წარუდგინა. იმ კაცს, ვისაც ჩემი შესაძლებლობები გააცნეს, პროფესიულ სუმოში საკუთარი სიტყვა ეთქმის და მანაც, ასე ვთქვათ, სიტყვა შემაწია.

**- ესე იგი, რეკომენდაცია გაგიწიეს.**

- დიახ. "თავისუფალში" 130 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვდიოდი. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ეს წონითი კატეგორია 120 კილოგრამამდე დაიყვანა. პრაქტიკულად, 15 კილოგრამი უნდა დამეკლო, რომ ახალ წონაში გამოვსულიყავი. მოკლედ, უკატეგორიოდ დავრჩი. პრინციპში, წონაში დაკლებაც შეიძლებოდა, მაგრამ გულმა სუმოსკენ გამიწია. მაინც ახალი სახეობა იყო. ბევრი არ მიფიქრია - იაპონიაში წავედი.

**- როგორი შთაბეჭდილება დატოვეს იაპონიამ, იაპონელებმა? როგორი იყო პირველი ეფექტი?**

- თავიდან ძალიან გამიჭირდა, ძირითადად, ენის უცოდინარობის გამო. ვერც იქაურ სამზარეულოს ვეგუებოდი. ერთი სიტყვით, უცხო გარემოში, სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. თუმცა, ყველა გვერდით დამიდგა. ურთიერთობაში იაპონელები ძალიან კარგები, საქმეში კი მეტისმეტად მომთხოვნები არიან. ვარჯიშებზე სიქას გვაცლიან, სულის მოთქმის საშუალებას არ გვაძლევენ, ერთი სიტყვით, ძალიან მკაცრად გვექცევიან. მაგრამ ეს ხდება მზადებისას. გარეთ კი... სავარჯიშო დარბაზის კარს მიღმა სიმკაცრე აღარავის ახსოვს. გარეთ, პირად ურთიერთობაში, ძალიან თბილები ხდებიან.

**- დღის გრაფიკი როგორია?**

- ვინაიდან ახლა ელიტაში ვარ, დილით 6 საათზე ვდგები. მანამდე კი 5 საათზე მიწევდა ადგომა. ნახევარ საათს საკუთარი თავის წესრიგში მოყვანას ვანდომებ. მერე ჩავდივარ დარბაზში, ვაწყობთ, ვშლით დოხიოს (საჭიდაო მოედანი) და ვიწყებთ ვარჯიშს, რომელიც 11 საათამდე გრძელდება. ვარჯიშის შემდეგ შევდივარ აბაზანაში. მაგრამ ვიდრე შხაპის მისაღებად შევალ, მანამდე ჩვენს ქვემოთ მდგომნი ვალდებულნი არიან, ვარჯიშის დასრულებისთანავე შხაპის მიუღებლად სამზარეულოში გაიქცნენ და ჩვენ, ელიტაში მყოფთ, საჭმელი მოგვიმზადონ, რადგან აბაზანიდან გამოსულებს მაგიდასთან მისხდომამდე მოცდა არ მოგვიხდეს. ვიწყებთ ჭამას და იერარქიულად ქვედა საფეხურზე მდგომნი შორიდან გვიყურებენ, იქნებ ვინმეს, ვთქვათ, წყალი მოუნდეს.

**- ელიტაში გადასვლამდე, ალბათ, შენც იგივეს აკეთებდი.**

- რაღაცის კეთება მეც მომიხდა, მაგრამ არა იმდენის, რასაც სხვები აკეთებენ. არ გეგონოთ, რომ ამგვარი მოვალეობები მარტო უცხოელ რიკიშებს (მოჭიდავე) აქვთ. სუმოში მნიშვნელობა არა აქვს, ვინ საიდანაა, ყველასთვის თანაბარი პირობებია, რა თქმა უნდა, იერარქიულად. არიან, რიკიშები, რომლებიც 10-15 წლის განმავლობაში ვერ დაიწინაურებულან და იმათი მსახურები არიან, რომლებიც მათზე მაღლა, ელიტაში არიან. ასეთია სუმოს ტრადიცია და თუ ვინმეს არ მოსწონს, შეუძლია სხვა საქმეს მოკიდოს ხელი. თუმცა, ეს ყოველივე რიკიშს იმისკენაც უბიძგებს, რომ ელიტაში ავიდეს და, ამასთან, შავი სამუშაოსგან გათავისუფლდეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კონკურენცია. ზოგადად, ათასამდე პროფესიონალი რიკიშია და აქედან 55-60 ელიტაშია. ანუ, დაახლოებით 950 რიკიში იბრძვის ელიტაში მოსახვედრად...

ვარჯიშის შემდეგ საკმაო დრო ეთმობა ჩომაგის (ასე ეწოდება რიკიშების ვარცხნილობას.-რედ.) მოწესრიგებას. ვარჯიშისას ხომ წაიქცევი, ქვიშაში ამოიგანგლები. თმის მოსაწესრიგებლად კი გვყავს ბავშვები, რომლებიც ამ საქმეს ნახევარ საათს ანდომებენ.

**- ისე უხალისოდ ჰყვები თმის წესრიგში მოყვანის პროცედურაზე, ეტყობა, ყელში გაქვს ამოსული...**

- ასეცაა. დიდი დრო მიაქვს. ვარჯიშის, აბაზანის მიღების, ჭამისა და ვარცხნილობის შესწორების შემდეგ, დაახლოებით პირველ საათზე, დასაძინებლად მივდივართ, რათა დახარჯული ენერგია აღვიდგინოთ. ოთხ საათამდე გვძინავს. ამის შემდეგ, ფაქტობრივად, აღარაფერს ვაკეთებთ. ეს ჩვენ გვაქვს ამის უფლება, თორემ დანარჩენები, ვინც ელიტაში არ არიან, ოთახებს გვილაგებენ, სარეცხს გვირეცხავენ. ჩვენს კლუბში ყველას თავისი ფუნქცია აქვს. ერთ ჯგუფს რეცხვა ევალება, მეორეს - დალაგება, მესამეს - საჭმლის მომზადება...

**- თქვენზე ამბობენ, საფეხურები ძალზე სწრაფად გაიარაო...**

- ჰო, სწრაფად დავწინაურდი და ამან მიშველა, თორემ მაგას რა გამაკეთებინებდა?!

**- ასეთ ვარცხნილობასთან და ჩაცმულობასთან შეგუება არ გაგიჭირდა?**

- აქედანვე ვიცოდი, რაზეც მივდიოდი, რა ვითარებაშიც მომიწევდა ყოფნა.

**- ელიტაში მოსახვედრად რა არის საჭირო?**

- სულ ექვსი ჯგუფია. ყველაზე დაბალი პირველია. იმისთვის, რომ მეორე ჯგუფში და, შესაბამისად, მესამეში დაწინაურდე, შეჯიბრებების მოგებაა საჭირო. ერთგვარი გარდამავალი საფეხურია მეოთხე ჯგუფი, რომლიდანაც ელიტარულ მეხუთე და მეექვსე ჯგუფში მოხვედრის შანსი ჩნდება, რა თქმა უნდა, ორთაბრძოლათა მოგების შემთხვევაში. თანაც, რაც უფრო მაღალია ჯგუფი, მით უფრო მცირდება რიკიშების რაოდენობა თითოეულ ჯგუფში. კონკრეტულ ჯგუფსაც საკუთარი რეიტინგი აქვს. მაგალითად, მესამე ჯგუფში დაახლოებით 120 რიკიშია, მაგრამ მეოთხეში გადასვლის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვინც ამ ჯგუფის ათეულში შედის. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ქვევით მდგომი მასზე მაღლა მდგომი ჯგუფიდან რომელიმეს "ჩამოგდებას" შეძლებს. სწორედ ამ შემთხვევებშია ორთაბრძოლები საინტერესო და დაძაბული. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაღლა მდგომს დაქვეითება არ სურს, ხოლო დაბლა მდგომს შანსი აქვს, მასზე დაწინაურებულის ადგილი დაიკავოს. ერთი სიტყვით, უკან დასახევი არც ერთ რიკიშს არ აქვს.

**- როგორია თქვენი კვების რაციონი?**

- ძირითადი საკვებია ჩაკომადე - ერთგვარი წვნიანი, რომელიც ყველანაირი ხორცეულისა და ბოსტნეულისგან მზადდება.

**- სასმელი? დალევის უფლება თუ გაქვთ?**

- ჩვენს კლუბში, სადილისას, დალევა არ შეიძლება. არის კლუბები, სადაც ამის უფლებას აძლევენ, ოღონდ მცირე ოდენობით. თუ სადმე სტუმრად, ესე იგი, მოსალხენად მიდიხარ, მაშინ შეგიძლია დალიო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველდღიურად შეგიძლია სვა.

**- მტრისას, თუ რომელიმე მათგანს ცუდი სიმთვრალე აქვს... ვინმე შეაჩერებს თუ რა?**

- თუ სადმე სხვაგან ვართ, გვევალება, ვიყოთ თავდაჭერილები, რადგან ყოველი ჩვენგანი იმ კლუბის სახეა, რომელსაც ის წარმოადგენს. კლუბი იგივე ოჯახია. ოჯახის ღირსებას კი ყველა უფრთხილდება. ნებისმიერ თავყრილობაზე რიკიშები ძალზე თავდაჭერილები არიან. თუ შენ რიკიში ხარ და ვინმე შეურაცხყოფას მოგაყენებს, მაშინაც კი თავი უნდა დახარო, რადგან ჩომაგი გაქვს.

**- ქართული სამზარეულოდან იაპონურზე გადაწყობა არ გაგიჭირდა?**

- აუ, ძალიან. იმან მიშველა, რომ ბრინჯი მომეწონა. ესეც ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საკვები პროდუქტია. იქ ბრინჯს ისე ჭამენ, როგორც ჩვენში პურს. ბევრმა უცხოელმა ბრინჯის ჭამაზე უარი თქვა და იძულებული გახდა, კარიერისთვის თავი დაენებებინა. იყო რიკიში და ბრინჯი არ ჭამო, წარმოუდგენელია.

შიგადაშიგ ბრინჯს ჩემებურადაც შევკაზმავ ხოლმე - მაიონეზითა და კეტჩუპით.

**- რიკიშისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა წონაცაა. მაინტერესებს, დღეში დაახლოებით რამდენს ჭამ?**

- გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩემს კლუბში ყველაზე ცოტას მე ვჭამ. მაძალებენ კიდეც. სხვებს შეხედე, ხუთ-ექვს ულუფა ბრინჯს ჭამენ, შენ კიდევ ერთს ძლივს ერევიო. მაგრამ არაფერი გამოსდით. ოფიციალურად დღეში ორჯერ გვაჭმევენ.

**- თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

- თავისუფალი დრო თითქმის არა მაქვს. მუდმივად ვვარჯიშობთ. მხოლოდ შეჯიბრების შემდეგ გვაქვს სამი-ოთხი დღე, თუმცა, იმ დღეებსაც, ძირითადად, ვარჯიშში ვატარებთ. თუ მაინც მოვახერხეთ სულის მოთქმა, აი, მაშინ კი სრული პროგრამით ვერთობით.

**- ალბათ, საკუთარი ფან კლუბიც გაქვთ...**

- მას შემდეგ, რაც ელიტარულ ჯგუფში გადავედი, ყველა ქალაქში მყავს გულშემატკივართა კლუბები. ძირითადად, ტოკიოში, ოსაკაში, ნაგოიაში.

**- როგორც ვიცი, მეექვსე ჯგუფში არც ერთი ევროპელი არაა...**

- ელიტარულ ჯგუფში მხოლოდ მონღოლები და იაპონელები არიან. მე ვარ ერთი ქართველი.

**- სამი წელიწადია, იაპონიაში ცხოვრობ. გარკვეული ხარ მათ ტრადიციებში და მისდევ სპორტის წმინდა იაპონურ ტრადიციულ სახეობას. ხომ არ შემოუთავაზებიათ იქ დარჩენა, დამკვიდრება, ან ბუდიზმის მიღებაზე ხომ არ ჩამოუგდიათ სიტყვა?**

- მე ქართველი ვარ და ქართველად დავრჩები. თუ ვინმე მეტყვის, ქრისტიანობას უღალატეო, მაშინვე ქუდს დავიხურავ და შინ გამოვიქცევი. იქ ყველამ იცის, რომ მე საქართველოდან ვარ.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ინგლისურმა პრესამ გასცა "ჩელსის" ახალი, შესაძლო მწვრთნელის სახელი. მოარული ხმების მიხედვით, "არისტოკრატების" ახალ დამრიგებლად "მიდლსბროს" მწვრთნელი სტივ მაკლარენი მოიაზრება. ამ კანდიდატურის უპირატესობაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ ადრე ის "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორთან, პიტერ კენიონთან ერთად "მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობდა. გუშინწინ კლაუდიო რანიერისთან მოლაპარაკება შეწყდა, ასე რომ, არ არის გამორიცხული, პიტერ კენიონი უკვე ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დევიდ ბექჰემმა მოლაპარაკება დაიწყო ლონდონის "ჩელსისთან". "დეილი ექსპრესის" ცნობით, ფეხბურთელმა მოლაპარაკებები ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო. თუ შეთანხმება წარმატებით დასრულდება, ბექჰემი ნისლიან ალბიონს სეზონის ბოლოს დაუბრუნდება. ინგლისელი უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ ხვდებიან მას "რეალის" გულშემატკივრები მას შემდეგ, რაც გუნდი ცუდად თამაშობს. აბრამოვიჩი მზად არის, ბექჰემის სანაცვლოდ 28 მილიონი ევრო გადაიხადოს. ამასთან, "ჩელსი" აპირებს, ინგლისის ნაკრების კაპიტანს კვირაში 100 000 გირვანქა სტერლინგი უხადოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბექჰემის გარდა, რომან აბრამოვიჩი ლამობს, "რეალს" მიჩელ სალგადოც წაჰგვაროს. თუმცა, სალგადოს "სამეფო კლუბთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული. აბრამოვიჩი უკან მაინც არ იხევს და მზად არის, ამბიციურ მადრიდელებს ფეხბურთელში 40 მილიონი გირვანქა შესთავაზოს. თვითონ სალგადოს კი 4-წლიან კონტრაქტს ჰპირდება და ყოველ წელიწადს 4 მილიონ გირვანქასაც გამოუყოფს ხელფასის სახით.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ უკვე პრაქტიკულად შეადგინა იმ ფეხბურთელთა ნუსხა, ვინც ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. "ჩემთვის რომ ეთხოვათ, განაცხადი დღეს საღამოს ან ხვალ დილით შეადგინეო, მე შევძლებდი, 20-21 ფეხბურთელის გვარი დამესახელებინა", – აღნიშნა მწვრთნელმა. ერიქსონმა განაცხადა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელს უესლი ბრაუნსა და "ტოტენჰემის" მოთამაშეს ჟერმენ დეფოს ის ჯერ კიდევ განიხილავს, როგორც პორტუგალიაში გამგზავრების კანდიდატებს. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატზე ინგლისელთა შანსებს, მწვრთნელმა თქვა: "ინგლისს შეუძლია ტურნირის მოგება. ეს ყველამ კარგად იცის. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, მე არც ვეცდები, გულშემატკივართა წინაშე თავი გავიმართლო".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შვედეთის ნაკრებისა და "ანკონას" მეკარე მაგნუს ჰედმანი ევროპის ჩემპიონატზე სათადარიგო მეკარის რანგში გაემგზავრება. თავად მეკარე განმარტავს, რომ საჭიროა, იტალიის ჩემპიონატში კიდევ 10 მატჩი ჩაატაროს, რომ დაამტკიცოს თავისი პირველობა ეროვნულ ნაკრებში. "მე შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში 50-ზე მეტი მატჩი გამიმართავს და უზარმაზარი გამოცდილება დამიგროვდა, – განაცხადა ფეხბურთელმა, – ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ ეს საკმარისია".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ერევნის "პიუნიკის" კამერუნელ ფეხბურთელს ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ერევანში თავს დაესხნენ. "არარატთან" მატჩის შემდეგ, რომელშიც ლომბემ გოლი გაიტანა, ის სამ თანაგუნდელთან ერთად შინისკენ გაემართა. თუმცა, გზად, თავდასხმის დროს, მას დანით ორი ჭრილობა მიაყენეს. ის საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ ექიმებმა მალე გამოწერეს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ერთ დროს "ჩიკაგო ბულზის" ლეგენდარულმა კალათბურთელმა სკოტი პიპენმა გადაწყვიტა, დაასრულოს სპორტული კარიერა. მან ტრავმის გამო წლეულს თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა და არ უნდა, რომ მომავალში საკუთარი თავიც და გუნდიც დატანჯოს. "ჯერჯერობით მზად არ ვარ, საბოლოო გადაწყვეტილება მივიღო, მაგრამ ზუსტად იმის თქმა შემიძლია, რომ თუ კიდევ ერთ სეზონს ვითამაშებ, ის აუცილებლად უკანასკნელი იქნება", - განაცხადა სკოტი პიპენმა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** სერენა უილიამსის კორტზე დაბრუნება ხანმოკლე გამოდგა. ამერიკელმა ჩოგბურთელმა უკვე მოხსნა საკუთარი განაცხადი ფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე. გუშინ კი Family Circle Cup-ის ტურნირში თამაშზეც უარი განაცხადა. უილიამსმა თქვა, რომ ბევრი თამაშისა და ვარჯიშის გამო ისევ დაიზიანა მარცხენა მუხლი. რა დროით დაისვენებს უმცროსი იულიამსი, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მარატ საფინი კარგად თამაშობს ეშტორილის ტურნირში, სადაც ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძეც ასპარეზობს. მან მწვრთნელი შეიცვალა. ამიერიდან რუსეთის საუკეთესო ჩოგბურთელს შვედი პეტერ ლუნდგრენი გაწვრთნის. ამის შესახებ თვითონ ჩოგბურთელმა განაცხადა ტიერი აშიონესთან გამართული მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე (ეს მატჩი საფინმა მოიგო). ლუნდგრენი უაღრესად გამოცდილი მწვრთნელია. ის ადრე მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, როჯე ფედერერთან მუშაობდა.

ბილიარდი

# Dave B - ქართველი ამერიკულ პულში

დავით ბერსენაძე

*პროფესიონალი მობილიარდე დავით ბერსენაძე აშშ-ში ცხოვრობს და თამაშობს პულს. "ძლიერი მობილიარდეა, ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტი იყო", - თქვა ამირან კოხრეიძემ საბილიარდო "რიოში" საქართველოს ჩემპიონატზე.*

## პირამიდიდან პულამდე - საქართველოდან ამერიკამდე

1989 წელს მოსკოვში ჩატარდა ღია საერთაშორისო ჩემპიონატი რუსულ პირამიდაში, სადაც მესამე ადგილი დავიკავე და 25 000 დოლარი მოვიგე, მაგრამ ხომ იცით, რა დრო იყო. რა თქმა უნდა, ფული ვერ ავიღე. იმ დროს საქართველოს კარგი სკოლა ჰქონდა. სსრკ-ს ჩემპიონატებში, ტრადიციულად, მოსკოველი სპორტსმენების მერე უძლიერესები ვიყავით. მაშინ, ძირითადად, რუსულ ბილიარდს ვთამაშობდით. დღეს მსოფლიო სხვა ბილიარდს თამაშობს. პულის თამაში გვიან, 1999 წელს დავიწყე. ხოლო რა არის ნამდვილი პული, 2000 წელს ლას ვეგასში, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასულმა ვნახე. აი, მაშინ გადავწყვიტე, რომ სერიოზულად დამეწყო პულში ვარჯიში.



დათო ბერსენიძე.




## ჭადრაკი, გოლფი და ფორმულა 1, მოკლედ კი - ბილიარდი

ბილიარდის თამაში 1980 წელს თბილისში დავიწყე. მაშინ 17 წლის ვიყავი. დღეს ვთვლი, რომ ეს უდიდესი სპორტია, მეტიც, ეს ცოცხალი ორგანიზმია: განუწყვეტლივ იზრდება, იცვლება, ვითარდება და შენც მიჰყვები. ამ სპორტში სრულყოფილების მიღწევა ძალიან რთული ამოცანაა. წარმოიდგინეთ, როცა მობილიარდე დგება მაგიდასთან, მან პირველიდან ბოლო სვლამდე უნდა გათვალოს პარტია: თამაში ჯერ არ დაწყებულა და შენ უკვე გონებაში ხედავ მისი დასრულების სქემას. ფიქრობ: პირველი დარტყმა ასეთი იქნება, ეს ბურთულა აქ დამიჯდება, ის - იქ, ყველა ბურთულის კომბინაცია გონებაში თამაშდება. მერე მეორე დარტყმა, ისევ ხედავ ბურთულების განაწილებას და ასე ბოლომდე. ხომ ფანტასტიკაა. ეს ჭადრაკის რანგის გათვლებია. მაგრამ ჯერ მხოლოდ ნახევარი საქმეა. გონების მუშაობის შემდეგ იწყება ტექნიკა. კარგ გათვლას კარგად შესრულება სჭირდება, ანუ შენი ნაფიქრი უნდა წარმოადგინო. აი, აქ უკვე იწყება სანახაობა. გინახავთ, ალბათ, კიის ნამდვილი პროფესიონალები რა სასწაულებს ახდენენ. აქ ისეთივე ტექნიკურობა და დარტყმის სიზუსტეა საჭირო, როგორც გოლფში. ყველაზე მთავარი, ჩემი აზრით, "ბურთულის შეგრძნებაა", ანუ წამის იმ მესედის შეგრძნება, როცა კია ბურთულას ეხება. ხშირად ის, რაც მაგიდაზე ხდება, ფიზიკის კანონებს არ ექვემდებარება. მხოლოდ "შეგრძნებას" შეუძლია, ორი აბსოლუტურად მრგვალი ზედაპირის (ბურთულა და კიის ბოლო) წამიერი შეხების დროს შეასრულოს სწორი და მრავლისმომცველი დარტყმა. არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი - ესაა ნერვები და ფსიქოლოგიური გამძლეობა. თუ რკინის ნერვები არა აქვს, რაც არ უნდა ბრწყინვალე მონაცემები ჰქონდეს, სპორტსმენი ვერ იქნება. ცნობილია, რომ მობილიარდეები სერიოზული მატჩის დროს რამდენიმე კილოგრამს იკლებენ. ამის მიზეზი სტრესია. ფსიქოლოგიური სიმტკიცის თვალსაზრისით, მობილიარდე შეიძლება ფორმულა 1-ის პილოტს ან მსროლელს შევადაროთ. ჭადრაკის, გოლფისა და ფორმულა 1-ის სიმბიოზი - აი, ეს არის ბილიარდი.

## ითამაშე ბილიარდი და წერე ლექსები

ვინც ერთხელ ეზიარა ბილიარდის სამყაროს, ის ბოლომდე მისი ერთგული რჩება - "ბილიარდზე უკეთესი მხოლოდ ბილიარდიაო". ეს განსაკუთრებული ატმოსფეროა: მძიმე, მასიური მწვანემაუდგადაკრული მაგიდები, სპეციალური განათება, ბურთულები ყრუდ დაგორავს, კიის დარტყმის, ბურთულის ლუზაში ჩავარდნის ხმა, ტაში. ამერიკაში ამ ყველაფრის უდიდესი კულტურაა. BCA (Billiard Congress of America) ლიგის პრეზიდენტის, მარკ ავალონის წინადადებით, კალიფორნიის შტატის მთავრობამ პულის სწავლება high school-ებში დანერგა, რამაც საგრძნობლად გაზარდა დასწრების დონე სკოლებში. პული დღეს ამერიკაში საკმაოდ პოპულარული თამაშია.

პულს აქ ყველა თამაშობს. მაშინ ფლორიდაში ვცხოვრობდი. ერთ კვირაში შტატის ჩემპიონატი იწყებოდა და დიდ მზადებაში ვიყავით. დილიდან საღამომდე ვვარჯიშობდი. სხვადასხვა კლუბში დავდიოდი, ვხვდებოდი პოტენციურ მეტოქეებს. დრო ცოტა მქონდა. ამიტომ ვცდილობდი, არაპროფესიონალებთან არ მეთამაშა. ერთხელ, თამაშის შემდეგ, ერთი კაცი მოვიდა, 70-ს გადაცილებული, მოხრილი, ძლივს დადიოდა. მითხრა: "like to play some?" (გინდა ვითამაშოთ?). ერთი-ორი ფრაზის შემდეგ მივხვდი, რომ საინტერესო ვინმე იყო. უარი არ მითქვამს. საოცარი სცენა იყო - ადამიანი, რომელიც ძლივს დადიოდა და ხელები უცახცახებდა, მაგიდასთან გაახალგაზრდავდა, აბსოლუტური სიზუსტით ურტყამდა და მაღალი კლასის ბილიარდი წარმოადგინა. ჩემი გაოცება რომ შენიშნა, იხუმრა: ხელებს სპეციალურად ვაცახცახებ, რომ ხალხი მოვატყუო და ბევრი ფული მოვიგოო. რა თქმა უნდა, ხუმრობდა. ეს კაცი ჯეფრი ვიქსი ყოფილა, ცნობილი პროფესიონალი, რომლის რთული და თავგადასავლებით სავსე ცხოვრება ნამდვილი ბესტსელერული სიუჟეტია. თავის დროზე ამერიკული ბილიარდის რისხვა, დღეს ერთ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს და უამრავი გატაცებიდან მხოლოდ ორის ერთგული დარჩა: ბილიარდს თამაშობს და ლექსებს წერს.

## რა ხდება რკინის ფარდის მიღმა

ის, რასაც დღეს თბილისში თამაშობენ, სამწუხაროდ, პული არ არის. ქართული ბილიარდი ძალიან ჩამორჩა მსოფლიოს. დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოში სწორი თამაშის ტექნიკა არ არსებობს. დღეს საქართველოში მოთამაშე სპორტსმენი ამერიკულ ან, თუნდაც, ევროპულ კლასს ვერ მიუახლოვდება. ეს გასაგებიცაა. მას არა აქვს გამოცდილება, არ ჰყავს მწვრთნელი, მეტოქეები. დღეს ნიჭიერი ბიჭები, ფაქტობრივად, "იღუპებიან" თბილისში. ერთჯერადი გასვლები მსოფლიო ჩემპიონატზე საკმარისი არ არის. წარმოიდგინეთ საქართველოს მასშტაბით ძლიერი მოთამაშე პულში. ვის უნდა ეთამაშოს, რომ დახვეწოს კლასი? განა რამდენი ადამიანი თამაშობს საქართველოში მაღალი კლასის პულს? ამერიკაში ყოველ წელიწადს მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები, ყოფილი და ახლანდელი ჩემპიონები იკრიბებიან. დიდი ტურნირები ლამის კვირაში ერთხელ ტარდება. მე თითქმის ყველა ტურნირში ვიღებ მონაწილეობას. წარმატებებიც მაქვს. წარმოიდგინეთ, რა დიდი გამოცდილება და პრაქტიკაა. ამერიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე წამოსვლის წინ დიდი იმედი მქონდა, კარგ ფორმაში ვიყავი (მაშინ ასე მეგონა). ჩამოვედი თუ არა, აღმოჩნდა, რომ რეალურად მინუსებში ვარ. დიდი დრო წამართვა არასწორი ტექნიკის გამოსწორებამ, რომ მინუსებიდან ნულამდე ავსულიყავი და მხოლოდ ამის მერე დავიწყე წინსვლა. რა თქმა უნდა, ძალიან დამეხმარა ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება. ამის გარეშე არაფერი გამომივიდოდა.

ადრე სხვა დრო იყო. მაშინ რეალურად არც ვიცოდით, რა ხდებოდა "რკინის ფარდის" იქით. თანაც, როგორც უკვე ვთქვი, პირამიდას ვთამაშობდით და ამ სახეობის დიდი სკოლა რუსეთში იყო. მე და ჩემს მეგობრებს ბევრი გვივლია "გასტროლებზე" სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქში. დღეს ახალი რეალობა და ახალი ტენდენციებია. დღეს მხოლოდ სოჭსა და მოსკოვში თამაშით მსოფლიო დონის სპორტსმენი ვერ გახდები. აუცილებელია, პირველ რიგში, სწორი და თანამედროვე ბილიარდის თამაში და პრაქტიკა.

## ერთად გავზარდოთ მსოფლიო ჩემპიონი

2002 წლის აპრილში, აშშ-ში თამაშის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, ფლორიდის შტატის ჩემპიონატში პულში (Florida eight ball challenge) უკვე მეორე ადგილი მოვიპოვე. ეს სერიოზული მიღწევაა. საერთოდ, ფლორიდის შტატი სათამაშო ბიზნესის (Gambling) ცენტრად ითვლება. წლეულს დავერთამფის (Daverthumps) ტურნირზე მეორე ადგილი ავიღე (დავერთამფი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბია ვაშინგტონის შტატში, რომელიც ყოველ წელიწადს ატარებს საერთაშორისო ტურნირებს). გადამწყვეტ პარტიაში კანადის ჩემპიონთან, სტენლი ტურანგოსთან დავმარცხდი. სტენლი ცნობილია თავისი უცნაური ხასიათით, ცრურწმენების მთელი სისტემით, მაგრამ ის, რაც ჩემთან შეხვედრის დროს გააკეთა, ნამდვილად შევა მისი ცრურწმენების ოქროს ფონდში. ტურანგოს ფინალში ვხვდებოდი. მანამდე ექვსი მოგება მქონდა, მათ შორის - ფილიპინელ რაულ აბენოჯართან, ვაშინგტონის ნომერ პირველ მოთამაშესთან. წარმოიდგინეთ დაძაბული თამაში. ორივე მაქსიმალურად კონცენტრირებული ვართ. ვიგებ 7:4-ს. თამაში 11 მოგებამდეა. ტურანგომ წუთშესვენება ითხოვა და სადღაც გაქრა. ცოტა ხანში ვხედავ, რომ ზუსტად ჩემნაირი მაისურა აცვია და მოდის. გულიანად გაცინებას არაფერი მერჩია, მაგრამ თავი შევიკავე. მოხდა სასწაული. ფორტუნა მისკენ გადაიხარა – 11:9 მოიგო და პირველი ადგილი აიღო. მერე ვკითხე: რატომ ჩაიცვი ჩემნაირი მაისურა-მეთქი? მითხრა: შენ ისეთი სპორტსმენი ხარ, რომელსაც უბრალოდ კარგი თამაშით ვერ მოუგებ. მე მჭირდებოდა რაიმე ზუსტად Dave B-ისნაირი (ეს ჩემი სპორტული ფსევდონიმია) და ასეთი რამ მოვიფიქრეო. გარწმუნებთ, ასეთი რამ მხოლოდ სტენლის შეეძლო მოეფიქრებინა. მაისურა კი კლუბის მეპატრონისგან უყიდია. დღეს რამდენიმე კლუბის წევრი ვარ. ახლა ვაყალიბებთ მსოფლიო ჩემპიონატზე გასასვლელ გუნდებს. ჩემპიონატი წლეულს ზამთარში ჩატარდება ლინკოლნ სიტიში, ორიგონის შტატში. ჯერ არ გადამიწყვეტია, რომელი გუნდის სახელით გავალ.

მაქვს რამდენიმე სერიოზული ჩანაფიქრი. უბრალოდ, წინასწარ არ მინდა ამაზე საუბარი. გარდა ამისა, ძალიან მინდა, დავეხმარო ქართულ ბილიარდს. კარგი იქნებოდა ქართველი ახალგაზრდების, პერსპექტიული სპორტსმენების აქ ჩამოყვანა. ამისთვის საჭიროა, თბილისში დაარსდეს ბილიარდის სკოლა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ვიდეომასალითა და ლიტერატურით "სწორი პულის" შესახებ.

ახლო მომავალში, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, კლუბის გახსნას ვაპირებ. სწორედ აქ ექნებათ ვარჯიშისა და სწავლის საშუალება ჩვენს ბიჭებს. კარგი პროგრამა მაქვს თამაშის სწორად სწავლების მეთოდების შესახებ. ეს მეთოდიკა საკუთარ თავზე გამოვცადე. პროგრამა შეიძლება დაინერგოს როგორც თბილისის პარტნიორ კლუბებში, ისე ამერიკაში ჩამოსულ ახალგაზრდებშიც. აქ ჩამოსულებს ხელს შევუწყობ, რომ ბევრ ტურნირში მიიღონ მონაწილეობა.

ჩემი გეგმები ამბიციურია. პირდაპირ გეტყვით: მე ქართველი მსოფლიო ჩემპიონის გაზრდა მინდა. ჩემი გამოცდილება და ნაცნობობის წრე მაძლევს ამის საშუალებას და, ვფიქრობ, ქართული ბილიარდის ფედერაციასთან და კლუბებთან ერთად ეს სავსებით რეალურია. და კიდევ ერთი: დღეს მსოფლიო ჩემპიონი პულში მხოლოდ ამერიკაში შეიძლება გაიზარდოს, რადგან არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი სკოლა და გამოცდილება, როგორც აშშ-ს. არსად არ არის ისეთი სასურველი გარემო მსოფლიო ჩემპიონის ჩამოსაყალიბებლად, როგორც ამ ქვეყანაში.

გგონიათ, რომ ეს არარეალურია? მოვიტან კონკრეტულ ფაქტებს და დაგარწმუნებთ, რომ ეს სულ ახლოსაა რეალობასთან.

დღეს მსოფლიოს საუკეთესო ათეულში, პულში, ხუთი ფილიპინელია. წარმოიდგინეთ, ათიდან ხუთი ფილიპინელია და ეს, მეტწილად, ეფრენ რეისის დამსახურებაა. ეფრენ რეისი, ანუ "ეფრენ მაგი", როგორც მას უწოდებენ, მსოფლიო ჩემპიონია პულში. იგი 49 წლისაა. მის აქტივში უამრავი მოგებაა, მათ შორის, პირველი ადგილი 2002 Challenge of Champions . მის მიერ მხოლოდ ტურნირებზე მოგებულმა თანხამ უკვე ნეხევარ მილიონს გადააჭარბა. იმის გარდა, რომ ის ნიჭიერი სპორტსმენია, დიდი პატრიოტიცაა. რეისმა მსოფლიო ბილიარდის გზა გაუხსნა ფილიპინელებს მხოლოდ იმით, რაზეც მე ვსაუბრობდი. ეხმარება თავისი ქვეყნის შვილებს სწორი პულის სწავლაში და ბილიარდის წრეებში შეჰყავს. გარწმუნებთ, ეს მცირე დახმარება არ არის. დღეს პული, სიმბოლურად, ფილიპინელების ხელშია. იცით, ისინი რომ ამერიკელები ან ევროპის რომელიმე განვითარებული ქვეყნის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, ნაკლებად დამწყდებოდა გული და ოპტიმიზმიც ნაკლები მექნებოდა - დღეს ფილიპინები ისეთივე დაბალგანვითარებული ქვეყანაა, როგორც საქართველო და ამ ღარიბი ქვეყნის ხალხმა ასეთ წარმატებას მიაღწია. ეს უდიდესი პრესტიჟია ქვეყნისთვის - დიდი ფინანსური მოგება და მორალური წინსვლა. წარმოიდგინეთ, პატარა საქართველოს სახელიც რომ გრგვინავდეს მსოფლიო პულში. რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი?! რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი სურვილი ქართველ მსოფლიო ჩემპიონს ვერ გაზრდის. თუ ქართველი მობილიარდეები გვერდში არ დამიდგებიან, არაფერი გამოვა. ამიტომ ყველანი უნდა გავერთიანდეთ იმ დიდი იდეის გარშემო, რასაც ქართველი მსოფლიო ჩემპიონის აღზრდა ჰქვია. ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანი, ვისაც თანამედროვე ქართულ ბილიარდში თავისი სიტყვა ეთქმის, ამ იდეის რეალიზაციაში მონაწილეობით ვალს მოიხდის ქვეყნისა და ხალხის წინაშე.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად


























## გულახდილად პირადზე

***ჟურნალი "Меню Удовольствий", რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ყოველთვიური გამოცემაა, რომელმაც ამა წლის აპრილის ნომერში ახალგაზრდა ფოტოდიზაინერ ლადო ალექსი-მესხიშვილის ფოტოები და ჟურნალისტ ულიანა ლემელეხესის მიერ მასთან გაკეთებული ინტერვიუც გამოაქვეყნა.***

*ლადო ალექსი (LADO Alexi) თბილისში, კარდიოქირურგ ლადო ალექსი-მესხიშვილის ოჯახში დაიბადა, ფოტოხელოვნებას პარიზში სწავლობდა, ახლა ჰამბურგში მუშაობს. კინორეჟისორი უნდოდა გამოსულიყო, მაგრამ ფოტოგრაფის პროფესია აირჩია, როგორც უფრო დამოუკიდებელი. მისი ფოტოები შეიძლება ნახოთ ჟურნალებში: Conde Nast, Elle, Vogve, Paris Match, Deutsch, Jalouse...*

**- ლადო, ფოტოგრაფიაში შენთვის მთავარი რა არის - ადამიანი კადრში, კადრსმიღმა ფოტოგრაფი, გუნება-განწყობა თუ გადაღების ტექნიკური მხარე?**

- რეალური სამყაროს ჩვენება არ არის საინტერესო. "ყველამ ისედაც იცის, რომ ბალახი მწვანეა" (ო. იოსელიანი). მთავარია, ის გადმოსცე, რაც შენშია. ასევე მნიშვნელოვანია თანამოაზრეთა თანამშრომლობა: სტილისტების, დიზაინერების.

**- გადასაღებ მოედანზე ჩამოყალიბებული კადრის მიზანსცენით მოდიხარ თუ ყველაფერი მუშაობის პროცესში იბადება?**

- მე მჭირდება, ზუსტად ვიცოდე, რა იქნება, ამიტომაც წინასწარ ყველაფერს ვიგონებ, ზოგჯერ სხვების მაგივრადაც. ყველაფერი იმაზე უნდა მუშაობდეს, რომ გადაღების ობიექტი ჩემს იდეას გადმოსცემდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, განათება მოიფიქრო. ეს ის ხელწერაა, რომლითაც ფოტოგრაფის ამოცნობა შეიძლება. მე უფრო ტექნიკური ფოტოგრაფი ვარ, ვიდრე სპონტანური. გადაღებაზე რისკფაქტორი არ მსიამოვნებს, მაგრამ იგი აუცილებელია სინჯების, ახალი ფორმების ძიების დროს. რისკის გარეშე მოდაც - ეს მირაჟიც არ იქნებოდა. მაგალითად, იტალიელებმა საცვლები შეიძლება ჩამოიცვან თავზე და თქვან, რომ ეს მოდაშია და ასეც იქნება. გერმანელებს მოდის მიმართებაში სხვადასხვა ქვეყნის, მაგალითად, საფრანგეთის კომპლექსი აქვთ. გერმანული კულტურა პრაქტიკულია და მოგონილი. ყველაფერი გაკიცხვის შიშის გამო ძალიან ფრთხილია, მაგრამ კონფლიქტი იმაში მდგომარეობს, რომ გარეგნული სიცივის მიღმა განცდები, რომანტიზმისკენ შინაგანი ლტოლვა იმალება.

**- შენს რეალიზებას გერმანიაში რითი ახსნი?**

- ვცდილობ, გულახდილად ვაჩვენო პირადი - ის, რაშიც სხვა თავის თავს ამოიცნობს. ეს ყველგან და ყოველთვის უნივერსალურია.

**- დადგმითი ფოტოჟანრის გარდა, რომელ ჟანრებში გიმუშავია?**

- პარიზში, სააგენტო SIGMA და GAMMA-სთვის სოციალურ რეპორტაჟებს ვაკეთებდი. საქართველოში უპატრონო ბავშვთა სახლში სპეციალურად წავედი, მაგრამ შემდგომ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ადამიანების უბედურებას კომერციული მიზნებისთვის იყენებენ - არ მესიამოვნა. კანის კინოფესტივალზე ვიყავი და ცნობილ სახეებს ვიღებდი - მომწყინდა. 2000 წლის დასაწყისში გერმანიაში გადავედი, ბერლინის ცენტრში ფოტოსტუდია ვიქირავე და ინტერნეტ-რესურსებისთვის რეკლამას ვიღებდი. მაშინ ეს მოდაში იყო. ერთ წელიწადში ამ ბუმმა ჩაიარა და ჰამბურგში, დიზაინის სკოლაში სასწავლებლად წავედი.

**- როგორ დაახასიათებთ იმ ნამუშევრების ატმოსფეროს, რომლებიც მოსკოვის გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი?**

- არაკომერციული, არასკანდალური. თეთრ და ლურჯ ფერში. ცივი.

**- გერმანული?**

- დიახ, ეს ნამუშევრები გერმანულ სულს გამოხატავენ. ისინი გერმანული ჟურნალისტებისთვის იქმნებოდა. ეს ტექნიკური, კომპიუტერული ფოტოა.

**- შენი აზრით, ფოტოგრაფისთვის რა თვისებებია მნიშვნელოვანი?**

- თუ ფოტოგრაფი ომს იღებს, ის ნაღმზე ასაფეთქებლად მზად უნდა იყოს, იმათთან ერთად, ვისაც იღებს, როგორც ეს რობერტ კაპპას დაემართა. კუთხიდან გადაღება არ შეიძლება. არც ფულის გამო. მთლიანობას, ჰარმონიას, ერთიანობას უნდა მიეკუთვნებოდე. მხატვარი დიქტატორზე არ უნდა მუშაობდეს, თუმცა, კაფეში ჯდომისას ამის თქმა იოლია...

**- გქონია ისეთი მომენტები, როდესაც ფოტოაპარატთან მისვლა არ გინდა?**

- თუ ხელი მაქვს მოტეხილი, ან თუ ძალიან ადრეა - დილის 5 საათზე.

**- მოდელებში რა თვისებებს აფასებ?**

- ფოტოგენური, არაჭირვეული უნდა იყოს. მიყვარს პუნქტუალურობა, მნიშვნელოვანია პიროვნება, ხასიათი, ადამიანის მზერის ინტენსივობა, რომელიც რაღაცას განიცდის. მიყვარს, როდესაც ადამიანი თვალებში გიყურებს. ზოგჯერ ერთი გამოხედვისგან, ნათქვამისგან ახალი იდეა იბადება. არ მესმის, მამაკაცები მოდელებად როგორ მუშაობენ. უნდა ემორჩილებოდე, პოზიორობდე. ჩემთვის ეს ფენომენია. ადამიანებში გულწრფელობას, ტალანტს ვაფასებ. პათოსიანი ხალხი არ მიყვარს - პირამიდებზე იმ ხალხის სახელები ხომ არ წერია, ვინც ისინი ააშენა. მოდური ოპორტუნისტები არ მიყვარს - თუ შენ მოდურ დისკს ყიდულობ, ეს შენს გემოვნებაზე არ მეტყველებს. მაგრამ, ადამიანურ კომედიაზე თვალყურის დევნება მიყვარს. ყველაზე საინტერესოა, ადამიანის შეგრძნებები დაიჭირო. ამას ძალიან ზუსტად ტარკოვსკი აკეთებდა. ადამიანს რაღაცა უნდა უყვარდეს, თუნდაც ეს უბრალო საჭმელი იყოს.

**- შენ რა გიყვარს?**

- დედა, კინო, ნაცნობობა, ურთიერთობა - განსაკუთრებით ქალებთან. მათ ფარული უფრო მეტი აქვთ. მამაკაცი უფრო იოლი გასაგებია. მიყვარს დრო, როდესაც მას ვერ გრძნობ, როგორც კუბრიკის ფილმში "ოდისეა 2001". მიყვარს მასაჟი და სანელებლების სუნი. საერთოდ, სასიამოვნო მოგონებებთან დაკავშირებული სუნები მიყვარს. მიყვარს გარშემო ყურება და ახლის, შემთხვევითის, საინტერესოს დანახვა. მე უფრო დავთანხმდებოდი, ყრუ ვყოფილიყავი, ვიდრე ბრმა.

**- გიყვარს, როდესაც ფოტოს გიღებენ?**

- ვერ ვიტან! ჩემი მარტო ერთი ფოტო მაქვს - პასპორტში.















*ფოტოები ჟურნალ "Jalouse"-დან*

## დიდი მადლობა

უდიდესი მადლიერებისა და აღელვების გრძნობა გამოიწვია ჩემში ტელეკომპანია "იმედის" ახალმა პროექტმა - "პირველი ნახევარი", რომელიც ვინმე გია გაფრინდაშვილს მიჰყავს და 1998-99 წლებში პატარა კერძო ტელესტუდია N-თენTV-ის მიერ წარმოებულ, I არხის მიერ შეძენილ ჩემს საავტორო გადაცემას "რენომე" ერთი ერთთან ჰგავს. ნამდვილად არ მეგონა, რომ "რენომე", რომელიც პოლიტიკოსებთან და ხელოვნების წარმომადგენლებთან ინტერვიუ-დიალოგს გულისხმობდა, რომელმაც ცოტა ხანი იარსება და იდეოლოგიური, წინასაარჩევნო მოთხოვნების შეუსაბამობის გამო დაიხურა, ვინმეზე და, მით უმეტეს, "ტელე-იმედზე" ასეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა და ექვსი წლის მერე, მსოფლიო ტელეპროგრესის ფონზე, მის იდენტიფიკაცია-კლონირებას მოინდომებდა. მე, როგორც ყოფილი გადაცემის ავტორს, გული ამიჩუყდა, როდესაც ამდენი წლის წინანდელი, უკვე მივიწყებული საკუთარი შეკითხვები გია გაფრინდაშვილმა შემახსენა. ავღელდი, როდესაც გადაცემა "პირველ ნახევარში" ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე "რენომეში", მესამე პერსონაჟად კარიკატურისტი დავინახე, რომელიც ორივე გადაცემაში ერთნაირად, საუბრის მსვლელობისას რესპონდენტის კარიკატურულ ჩანახატს აკეთებდა. ცრემლები მომადგა, როდესაც ვიგრძენი, რომ გია გაფრინდაშვილს, შეიძლება უშედეგოდ, მაგრამ ასე გულით უნდა, დამემსგავსოს. მერწმუნეთ, არავითარი ტელეამბიციები და, მით უმეტეს, სინანული არ გამაჩნია, ვინაიდან ვთვლი, რომ გადაცემა "რენომე" და მე, როგორც მისი ავტორი, უნაკლო, უშეცდომო არ ვყოფილვართ. დღეს, წლების გადმოსახედიდან, ძალიან ბევრს შევცვლიდი, ამოვიღებდი, რაღაცები კი, უბრალოდ, არ მომწონს, მათ შორის კარიკატურისტის, ჩემი აზრით, მოძველებული იდეაც. დრო თავისას შვება, გემოვნება, ხედვა იცვლება და ის, რაც წლების წინ მოგწონდა, დღეს უბადრუკი გეჩვენება. ტელე-იმედის პროდიუსერთა დროში ამგვარი ჩამორჩენილობა, რომელიც მე ძალიან კი მსიამოვნებს, თავისთავად საკმაოდ უცნაურია. რითი შეიძლება აიხსნას 2004 წელს, უზარმაზარი ტელეპროგრესის ფონზე, 1998 წლის საშუალო, I არხის მიერ დაწუნებული, არც ისე ორიგინალური ფორმის მქონე გადაცემის ისეთი ზუსტი გადმოღება. დარწმუნებული ვარ, რომ იმედის ტელევიზიის მიერ ჩემი ტელემოღვაწეობის ამგვარი აშკარა აღიარება დაუმსახურებელია, მაგრამ რადგან ასე მოსწონთ და ასე წვალობენ, კი ბატონო, შემიძლია დახმარებაც კი შევთავაზო.

პირველ რიგში მიმართონ I არხს, რომელსაც, იმედია, სიძველის მიუხედავად, არქივში "რენომეს" კასეტები მაინც ექნება შემონახული. თუ გადმოღებაა, ბარემ ბოლომდე გადმოიღონ, აღიდგინონ, თორემ იტანჯებიან, იხსენებენ და ამით "პირველ ნახევარს" ავნებენ, "რენომეს" ხსოვნას კი შეურაცხყოფენ. თუ მოისურვებენ, არ დავზარდები და გია გაფრინდაშვილს ერთი-ორ უსასყიდლო კონსულტაციას ჩავუტარებ, საკუთარ შეკითხვებს კიდევ უფრო დაწვრილებით შევახსენებ. მივუთითებ სად, როდის და როგორ გაიღიმოს, ავუხსნი, კითხვებს შორის რამხელა პაუზაა დასაშვები, რამდენი კამერა უნდა მუშაობდეს, როგორი "პრახოდებია" უფრო მომგებიანი, კარიკატურისტის პერსონაჟს კი შეელიონ, ვურჩევდი, როგორც გემოვნების თვალსაზრისით საკამათოს და საინტერესო საუბრისთვის (თუ ასეთს მიაღწევენ) არასაჭიროს, ხელისშემშლელ დანამატს. თუ კარიკატურისტის პერსონაჟი იმდენად მოსწონთ, რომ მასთან განშორება არ სურთ, მაშინ უფრო კოლორიტულ კარიკატურისტს შევთავაზებ, რომლის შემოქმედება უფრო მაღალმხატვრული, ტელე-იმედისთვის შესაფერის დონეზე იქნება.

ერთადერთი პრობლემა, რომელსაც ვერანაირად ვერ გადაჭრიან, ის არის, რომ გია გაფრინდაშვილი მე ვერ დამემსგავსება, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც ეს არხის ხელმძღვანელობას და თვით გიას სურთ. თუმცა, ეგება, ამაშიც დავეხმარო და "პირველი ნახევრის" წამყვანს მაკიაჟის ჩემებური გაკეთება, ჟესტიკულაცია, ჯდომის პოზა, საუბრის მანერა, ღიმილი ვასწავლო. ვცადოთ, რას ვკარგავთ?

მოკლედ, ჩემი გულწრფელი მადლიერება მზად ვარ, უსასყიდლო დახმარებით გამოვხატო და მაინც ვთვლი, რომ ჩემს დუბლიორად გია გაფრინდაშვილზე უფრო მომხიბვლელი, სხარტი გონების, ადეკვატურად მომღიმარი, ელეგანტური და გარკვევით მოლაპარაკე წამყვანის პოვნა შეიძლებოდა, თუმცა, გემოვნებაზე არ დავობენ.

ტელე-იმედის პროდიუსერებს ჩემს სასიამოვნო მოგონებად დარჩენილი გადაცემის გაცოცხლების სურვილს ნამდვილად ვერ დავუკარგავ და ყველა შემთხვევაში, ჩემი შრომის ამგვარი დაფასებისთვის უდიდეს მადლობას ვუხდი. დაბოლოს, ერთი რამ მინდა ვურჩიო - როდესაც ვინმეს გადაცემის ან იდეის მოპარვას დააპირებთ, თქვენი და გადაცემის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯობია, ავტორსაც დაუკავშირდეთ და პატარა კონსულტაციები ჩაიტაროთ, მით უმეტეს, რომ თქვენ BBC-ის პროდუქცია ნაკლებად მოგწონთ და უპირატესობას სამამულო ტელევიზიის მოძველებულ პროდუქციას ანიჭებთ.

# სირიული ლეგენდები

## დღეს სირიაში ეროვნული დღესასწაულია

ეკა გვახარია

**სირია** - მდებარეობს აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ. ესაზღვრება თურქეთს, ერაყს, პალესტინას, იორდანიასა და ლიბანს.

**ოფიციალური სახელწოდება** - სირიის არაბული რესპუბლიკა

**სახელმწიფო წყობა** - საპრეზიდენტო რესპუბლიკა

**დედაქალაქი** - დამასკო

**ფართობი** - 185 ათასი კვადრატული კმ.

**ფულის ერთეული** - სირიული გირვანქა

**ოფიციალური ენა** - არაბული

**მოსახლეობა** - 16 მილიონი ადამიანი

**ეთნიკური შემადგენლობა** - არაბები 90%, ქურთები, სომხები, თურქმენები, თურქები, ჩერქეზები, ბოშები და სხვა 10%.

**რელიგია** - მუსულმანები 85%, ქრისტიანები 14% -ზე მეტი.

**კლიმატი** - სუბტროპიკული, საშუალო ტემპერატურა: ზაფხულში ცელსიუსის 32 გრადუსი, ზამთარში - 10, გაზაფხულზე და შემოდგომაზე - 22.

სირია უნიკალური ქვეყანაა; ათასწლეულების მანძილზე თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცივილიზაცია არსებობდა. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა გახლავთ დედაქალაქი დამასკო, რომელიც მსოფლიოში, დღესდღეისობით დასახლებულ უძველეს ქალაქად ითვლება. მისი ასაკი, დახლოებით, 7 ათასი წელია. მას, ერთის მხრივ, მთა კასიუნი ესაზღვრება, მეორეს მხრივ, კი ოაზისი გუტა. დამასკო არაბულ აღმოსავლეთში ყველაზე გამწვანებულ ქალაქად ითვლება. საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ცივილიზაციების - არამეული, ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, არაბული - არსებობამ კი თავისი კვალი დატოვეს ქალაქის გარეგნულ იერზე. რაც შეეხება ქალაქის სახელწოდებას, მისი წარმოშობის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, სახელი "დამასკო" მომდინარეობს არამეული სიტყვიდან "დემეშიუ", რაც "ძმის სისხლს", უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლს" ნიშნავს. ლეგენდის მიხედვით სწორედ დამასკოში, კასიუნის მთის ერთ-ერთ გამოქვაბულში მოკლა კაენმა აბელი. სხვა ვერსიის მიხედვით, ქალაქის უძველეს სახელწოდებად მიიჩნევენ "შამს" - ეს გახლავთ ნოეს უფროსი შვილის სემის სახელის სემიტური ჟღერადობა. არაბი მეცნიერის იბნ ასაკირის მტკიცებით, პირველი კედლები, რომელიც წარღვნის შემდეგ აშენდა, სწორედ დამასკოს კედლები ყოფილა. დამასკო ბიბლიაში თხუთმეტჯერ არის ნახსენები, როგორც ძველი სირიის დედაქალაქი და როგორც სავაჭრო ქალაქი. ქრისტიანული თვალსაზრისით, დამასკო საინტერესოა იმით, რომ აქ ქადაგებდა წმინდა მოციქული პავლე.





სვიმონ მესვეტეს მონასტერი

დამასკოს ღირსშესანიშნაობებიდან გამოირჩევა ომეიადების მეჩეთი; მინარეთი ისი; რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ადგილობრივი გადმოცემების მიხედვით სწორედ აქედან დაეშვება მიწაზე იესო ქრისტე განკითხვის წინა დღეს; აზემას სასახლე; წმინდა ანანიას (დამასკოს პირველი ეპისკოპოსი და იესოს მოწაფე) სახლი; წმინდა პავლეს ეკლესია; ბაბ კისანის კარიბჭე; ეროვნული მუზეუმი მრავალფეროვანი ექსპონატებით; ბაზარი ჰამიდია; ტელ ნაბი ჰაბილის მავზოლეუმი, სადაც გადმოცემის მიხედვით ბიბლიური აბელის საფლავია.

არანაკლებ საინტერესოა სირიის სხვა ქალაქები, მაგალითად, ალეპო, სადაც ლეგენდის მიხედვით წინასწარმეტყველი აბრაამი იმყოფებოდა. აქვე მახლობლად, მიმოზებისა და ევკალიპტების ხეივანი მიგიყვანთ ცნობილ "კრაკ დე შევალიემდე" - ჯვაროსნების ულამაზეს ციხესიმაგრემდე, რომელსაც შუა საუკუნეების პართენონს უწოდებენ. ტარტუსი, სიდიდით მეორე ქალაქია სირიაში, ქრისტიანული გადმოცემის მიხედვით აქ წმინდა პეტრემ აღმართა საკურთხეველი წმინდა მარიამის სახელზე. რაც შეეხება ქალაქ ბორსას, ეს იყო პირველი ქალაქი სირიაში, რომელმაც ისლამი აღიარა. ლეგენდის მიხედვით მუჰამედმა სწორედ აქ გაატარა ახალგაზრდობის წლები. ასევე ეს ქალაქი იყო მოსასვენებელი ადგილი მექაში მიმავალთათვის.

სირიის ჩრდილოეთით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ასზე მეტი მკვდარი ქალაქი. ნანგრევები მიუთითებს, რომ ეს იყო მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია და აქ ქრისტიანები ცხოვრობდნენ. სწორედ აქ იყო წმინდა სვიმეონ მესვეტეს ცნობილი მონასტერი. სვიმეონი დაიბადა 389 წელს სისეში (კილიკიასა და სირიას შორის). მან ორმოცი წელი გაატარა თორმეტმეტრიან სვეტზე, საიდანაც ქადაგებდა. მის მოსასმენად მილიონობით მორწმუნე მოდიოდა. მისმა ქადაგებამ ზოგი ბედუინიც კი გააქრისტიანა. ასკეტიზმის ეს ფორმა, სვიმეონის შემდეგ, ძალინ პოპულარული გახდა აღმოსავლეთში. წმინდანის გარდაცვალების შემდგომ მისი ნეშთი გადაასვენეს ანტიოქიაში, ხოლო 476 წელს სირიაში, ამ ადგილას აიგო კრიპტა (მიწისქვეშა სამლოცველო, სასულიერო პირთა განსასვენებელი), რომლის ნანგრევების ნახვა დღესაც შესაძლებელია.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

17 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": მხ. ფილმი "ახალი ურჩხულები". რეჟ. ეტორე სკოლა. **01.20** მხ. ფილმი "ოპერის ფანტომი". მთ. რ-ში: აზია არჯენტო, გულიან სენდსი

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "როგორ მოიშორო მეზობლის ძაღლი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკა" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "გრაფი მონტე-კრისტო" 1-2ს. **16.55** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** ვესტნიკი **18.45** თბილისის დროით **19.05** ისტორიანი **19.30** ტელეთამაში "იმღერე რამე" **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.20** "ბენი ჰილი" **23.00** ამბობენ **23.45** მხ. ფილმი "ვალენტინი" **01.05** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** ფილმი "მთელი მშვენიერებით". მთ.რ-ში ჯულია რობერტსი, დევიდ დუხოვნი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "მკაცრი და არაჩვეულებრივი" მთ. რ-ში ტომ ბერენჯერი, რეიჩელ ჰოვარდი

### მზე

**09.00** მულტფილმი "ასტერიქსი და კლეოპატრა" **10.20** საბ. სერიალი "იაზონი და არგონავტები" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი "დორი დუკის იდუმალი ცხოვრება" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "მოტაცებული" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "ჩელსი"-"ევერტონი" **21.20** ფეხბურთი მზეზე **22.00** მზერა ლაზეთიდან **23.30** მხ. ფილმი "ტერიმნატორი-3"

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** ჯანმრთელობა **20.00** მხ. ფილმი "ლამაზი სერჟი" **21.35** გლობუსი **22.00** მხ. ფილმი "სიყვარული, ივერია და..."

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ითამაშე როგორც ბექჰემი" **13.40** მხ. ფილმი "ჩვილის გასეირნება" **15.00** მულტფილმი "მონსტრების კორპორაცია" **16.30** მხ. ფილმი "ტალღის ქიმზე" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "რიგითი რაიანის გადასარჩენად" **00.20** მხ. ფილმი "გზაჯვარედინი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30, 17.20, 03.50** იმედის მელოდიები **11.00** "ნბა"-ს ჟურნალი **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** მხ. ფილმი "მაისის ღვინო" **15.15** მხ. ფილმი "ბატონი და ქალბატონი ბრიჯები" **17.35** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაფი-ნიუსი" **20.00** ქართ. სერიალ "ყავა და ლუდი" **21.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.00, 00.15** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **01.20** ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია **03.20** ტვ-მარკეტი

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** დოკუმენტური ფილმი **10.20** ფილმი-ზღაპარი "ჰაჩიპუხი" **11.50** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** კომედია "როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში" **14.20** მუსიკა **14.30** მელოდრამა "სარეცელი ვარდებისაგან" **16.20** მულტფილმი "ველური გედები" **17.10** ბოევიკი "პიკის საათი" **19.10, 20.10, 00.40, 02.50** მუსიკა **19.30** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **20.25** თრილერი "გოთიკა" **23.00** Слово (ავტორი თ.დუმბაძე) **01.00** მელოდრამა "საიმპერატორო კლუბი" **03.00** დრამა "საკმარისია" **05.00** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто" **07.30** Фенимора Купер в фильме **"Приключения на берегах Онтарио" 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** Любовные истории **12.10** "Возвращение домой. Алексей Гуськов. Киев" **13.10** "Заговор против Хрущева" **14.10** Дог-шоу **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.30** Умницы и умники **16.10** "Он совсем не артист...Владимир Ильин" **17.10** Сергей Бодров в фильме **"Стрингер" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** "КВН-2004". Премьер-лига. Первая игра **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.55** "Золотой Граммофон" **00.55** Хью Грант в комедии **"Девять месяцев" 02.50** Мист. триллер **"Предзнаменование**" ("Омен") **04.50** Комедия **"Макс Дьюган возвращается"**

### НТВ

**06.50** Роджер Мур в фильме **"ТОЛЬКО ДЛЯ ВАШИХ ГЛАЗ" 09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам" **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: Мурат Насыров - Паван Кумар. **12.00** Квартирный вопрос: стена вместо стенки. **13.20** "Дикий мир: дельфин и русалка". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.20** Стив Гуттенберг в комедии **"ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ-1" 16.20** Криминальная Россия: поставщик смерти. **17.20** "Женский взгляд". Ольга Будина. **17.55 Сериал "КАМЕНСКАЯ: УБИЙЦА ПОНЕВОЛЕ". 1 с. 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Лия Ахеджакова в фильме **"НЕБЕСА ОБЕТОВАННЫЕ" 23.35** Мэл Гибсон и Джулия Робертс в боевике **"ТЕОРИЯ ЗАГОВОРА" 02.25** Двое в городе. **02.55** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# კომპიუტერი და ტელეფონი უნიტაზზე უფრო ბინძურია



არიზონას მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ თქვენი კომპიუტერის ზედაპირზე მიკრობების რაოდენობა 400-ჯერ აღემატება ტუალეტის უნიტაზზე დასახლებულ მიკრობების რაოდენობას. მკვლევარები რეკომენდაციას გვიწევენ, რომ ანტიბაქტერიული საშუალებებით ჩვენს კომპიუტერულ ტექნიკას დეზინფექცია რაც შეიძლება ხშირად გაუკეთოთ.

ალბათ, ბევრისთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ პესტიჟულ ოფისებში, სადაც სასიამოვნო გარემოა, ოთახების დიზაინი დახვეწილია და თითქოს ყოველდღე გენერალური დასუფთავება ტარდება, მიკრობებით დახუნძლული კომპიუტერებია განთავსებული.

გამოკვლევების თანახმად, ცნობილი გახდა, რომ მობილური ტელეფონი კვადრატულ დიუმზე 25 127-ს, კლავიატურა – 3 295-ს, კომპიუტერის თაგვი კი – 1 676 მიკრობს მოიცავს. საბოლოოდ ოფისი საშუალოდ კვადრატულ დიუმზე 20 961 მიკრობს ითვლის. ისღა დაგვრჩენია, დავიკაპიწოთ ხელი და ამ პრობლემას თავად მივხედოთ - გვირჩევენ მიკრობიოლოგიის სპეციალისტები.

## -ის პროგრამა

**19 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **13.15** არტ რეპორტაჟი. მიდლენდი - ქალაქი სადაც ბახმა ახალგაზრდობის წლები გაატარა. **17.30** ოცდაათი წელი. ლორან პერენის ფილმი. 2000. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **23.05** ჟილ გუჟონი უპასუხებს ტელემაყურებელთა მიერ დასმულ ხუთ შეკითხვას გადაცემაში ხუთი ხუთზე. **01.25** სამი ადგილი ოცდაექვსისთვის. მუსიკალური კომედია. რეჟისორი ჟაკ დემი. 1988.

**20 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ალექსანდრე დიუმას უკანასკნელი მოგზაურობა. დოკ. ფილმი. რეჟისორი ჟანმარიბულე და ჟერომ დიამან ბერჟერი. 2002. **09.30** ტელედილა. **16.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **01.25** წითელი ფარადა. საერთაშორისო სამართალი. იურისტებთან ერთად. რეპორტაჟები არუშადან, სერბიიდან. **05.20** თოვლის დნობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ლორან ჟაუი. 2003.

**21 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **10.15** წითელი ფარადა. საერთაშორისო სამართალი. იურისტებთან ერთად. რეპორტაჟები არუშადან, სერბიიდან. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **24.00** ჩრდილები ღამით. დოკ. ფილმი. **01.25** ფრთები და ფესვები. პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **06.25** დიზაინი. 4/11 სვოჩი.

**22 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ახალი ხმები. გულიდან ამოსული ხმები. **09.30** ტელედილა. **13.15** ექიმი სილვესტერი. მხ. ფილმი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **23.05** დ დიზაინი. **01.30** მოგეთხოვებათ შესაბამისი ჩაცმულობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ფილლიპ ლიორე. კომედია. 1996 **03.50** ერთი გამოგონების ისტორია. დოკ. ფილმი. **05.20** მაშას არჩევანი. მხ.ფილმი. რეჟისორი მარიან ლამური. 2002.

**23 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. 11/30 ზღვისიქითა ქვეყნები. **14.15** დიზაინი 3/11 ბრაუნ ფონოსუპერი **20.05** დინების საწინააღმდეგოდ. იაპონია. დოკ.ფილმი. **21.25** კულტურა და დამოკიდებულებები. პრესა, სამართალი, პოლიცია. **01.30** ჩემი რჩეული მამაკაცი მხ. ფილმი. რაჟისორი ჟერარ კუკი. 2003. **05.20** დიზაინი. TGV ჩქარი მატარებელი

**24 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00,** 21.00. 01,00, 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა) **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **08.35** ღია ბარათი გურმანი **09.30** ტელედილა. **13.15** ჩემი არჩეული მამაკაცი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟერარ კუკი. 2003. **15.05** ღმერთების სახელები. **21.25** კრიმინალი. Mმხ ფილმი. რეჟისორი ჟან-პიერ პრევო. 2001. **23.30** გადაცემა ჰაერში ხსნადი. **01.30** ექიმი სილვესტერი. Mმხ. Fფილმი.

**25 აპრილი**

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია) 03.25(აფრიკა) **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00 15.00, 23.00** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** საბავშვო გადაცემები. **12.30** ბურლინგერის დღიურები **15.05** მედიჩის ბიბლიოთეკა. **17.30** ექიმი სილვესტერი მხ. Fფილმი. შაპენსიო ოქროს ხანა. რეჟისორი ფილლიპ რუსელი. 1996. **21.25** კვირის სტუმარი.**01.05** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი.


**მშენებლობის მართვის სპეციალისტის ვაკანსია**
**არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსი"**

**მოთხოვნები**
**განათლება**
- საინჟინრო-არქიტექტურული

**სასურველი დისციპლინები**
- კონსტრუქციები
- ხარჯთაღრიცხვა
- ПОС (проект организации строительства)

**პროფესიული უნარები**
- მშენებლების შერჩევა
- მშენებლობის დაგეგმვა
- სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლი

მშენებლობის კონტროლის სქემების ფორმირება
მშენებლობის ხარისხისა და ვადების კონტროლი
მშენებლობის პროცედურების ცოდნა

**პირადი უნარები**
ანალიზის უნარი
ორგანიზატორული უნარები
კომუნიკაბელურობა

**ტექნიკური უნარები**
(სასურველია) კომპიუტერი: (MS Office)

**სტაჟი**
7 წელი სამშენებლო ორგანიზაციაში (შესაძლებელია ასევე დთო ან დაო)

**გთხოვთ CV 19 აპრილამდე მოიტანოთ შემდეგ მისამართზე: თ. აბულაძის N21, ტელ: 25 31 88, 25 19 04, ელ.ფოსტა: info@arci.ge საკონტაქტო პირი: ნინო სტურუა**






**საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ**

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

# "ყვითელი ანგელოზი"

*19, 26 აპრილი*
*"თავისუფალი თეატრი"*
*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*





**ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები**

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

**მაგისტრატურა** — **£3950** — **1 წლიანი პროგრამა**
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციულ ტექნოლოგიაში

**ბაკალავრიატი** — **£6950** — **2 წლიანი პროგრამა**
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

**შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მეჯვრისხევის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84; მობილური: 893-35-20-67 ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

**2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£**

**შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა**

**ლონდონში**




მეუღლე ნორა, შვილები მარინე, კოტე ასათიანები, რძალი ნანა ზაალიშვილი, სიძე გურამ კალანდაძე, შვილიშვილები ლადო, ნუკა, მარი, გიორგი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ასათიანი**

**პანაშვიდი: 16, 17 აპრილს 17.00 სთ-ზე.**
**დაკრძალვა: 18 აპრილს 18.00 სთ-ზე.**
**მისამართი: ნუცუბიძის ქ.29**





**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


